1885

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოგანთი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ს ა რ ჩ ე ვ ი

ერმათა საკითხავი წიგნი:

			გვერ.
I.	პატარა ბარტყებს. ლექსი. (რუსულ. გადმოღ.) ი. დ—სა	. .	95
II	ყმაწვილობის სურათები I. მე და ლექსო. ს. ფრონელისა.	.	96
III.	*** ლექსი. ი. დ—ისა.	. . . . .	106
IV.	მშვლის ნუკრის ნაამბობი. პატ. მოთხრ. ლ. რაზიკაშვილისა.		107
V.	ოქრნი ძმანი. ხალხ. ზღაპარი. ბ. გეჯაძისა	. . . .	113
VI.	ძაჯი. ხალხური ბალადა. ბ. კვიცარიძისა	. . . . .	116
VII.	ბესო. ოსური ლეგენდა. (რუსულ. გადმ.) ანასტ. ერისთავისა	.	120
VIII.	რა არის ფრინველი? პროფესორას მ ბოდანოვისა (რუსულად მ).		132
IX.	ყრმას. ლექსი. ბ. კვიცარიძისა	. . . . .	140
X.	მელიას ცულლუტობა. „რეინეკე ლის“, გოეტესი. (გადმ.) ალ. ჭიჭინაძისა	. . . . .	141
XI.	ქაკაბაძე. მოთხრობა შაჰ-აბასის შემოსევის დროიდამ ს. ს—სა	.	148
XII.	ნიგვზის ხე. მოთხრ „ალბიერ“-იდამ გადმოკეთ.	. . . .	156
XIII.	ბიჭია-მენასირე. ხალხ. ზღაპარი. სახალიანისა	. . . . .	161
XIV.	სამი ძმა. ლეონ ტოლსტოის მოთხრ (ფრანგულიდგან) მაროსი.		165
XV.	ფიზიკა. წელიწადი მასი თვისებანი (გაგრძ.) ს. ჯ. მარიანაშვილისა.		177
XVI.	ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები და სხვ.	. . .	187

ამ წიგნისათვის გამზადებული დამტება ვერ იბეჭდება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნოგათი

ერმათა საკითხავი

საყოველთვეო სურათებიანი

ჟურნალი

ჰედაგოგიურის დამატებით

(მშობელთა და აღმზრდელთათვის)

„დადგით და დაჭით მოუშენი
წიგნთა ამ დაჭცდებაინ!“
რუსთველი

№№ III IV და V

წელიწადი მეორე

თბილისი 1885

144

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 30 Мая 1885 г.

სტამბა ი. მელიქიშვილისა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ბარტყებს

I

უსტ ფრთიანებო პატარა ბარტყნო!
ნუ გეშინიათ, იყავით წყნარად;
როგორც კი გინდათ, ითავისუფლეთ
და დაუსტვინეთ სხვა-და-სხვა გვარად!..

* * *

ჩვენგან ნუ შიშობთ, როგორც რომ მტრისგან,—
მე არ მოვსულვარ თქვენ მოსაბარად:
თუ რა მნელია მონობა სხვისა,
გამოცდილი ვარ მარად და მარად...

ი. ფ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყმაწვილობის სურათები

მე და ლექსო

I

ნეტარებით აღსავსე, დაუბრუნებელო, ბედნიერო სიყმაწვილევ! როგორ არ უნდა მიყვარდეს, როგორ არ უნდა ვაფუფუნებდე სიყმაწვილის მოგონებათა! იგინი აყმაწვილებენ, აღამაღლებენ ჩემ სულსა და სიამოვნების უკვდავების წყაროდ ხდებიან ჩემთვის!..

გრაფი ლ. ტალსტოი.

(*„Дѣтство и отрочество.“*)

ბაკიანი წელიწადი იყო ის წელიწადი, როდესაც მე სკოლაში წაყვანა დამიპირეს. რამდენი ხიფათი და უბედურება გამოვიარეთ იმ წელიწადს მე და ჩემმა განუშორებელმა ტოლმა ლექსომ—ენა ვერ ჩამოთვლის. ჯერ ერთი, რომ ჩქარა განშორება მოგველოდა,—მე სკოლაში წამიყვანდნენ და ლექსო კი სახლში დარჩებოდა. ვეღარ ვინავარდებდით ერთად ჩიტებზედ ალალებით, ღობე-ძმვრალასაებ ვეღარ გავმვრეებ-გამოვმვრებოდით ჭალაში; საკერდის ნაირ ჯეჯილებში ვეღარ დავკრეფდით ჩვენ საყვარელ ფამფარას*) და „დილილი-

*) ფამფარა—ბალბასია.

დალალის“ წკრიალით ვეღარ ჩავურბენდით ჯონჯოლიას
გვერდა მჟაუნას და მარწყვის მოსაკრეფად!.. მეორედ...
მეორედ რაღა? განა ეს დანაკლისი კი არა კმარა,
რომ მე და ლექსო უბედურები ვეოფილიყავით?

თუმცა ეს განშორება ძალიან მაღონებდა, მაგრამ
მალე დამავიწყდა, რადგან, ვინ იცის, როდის მოაღ-
წევდა სკოლაში წასვლის დრო და ამიტომაც სრუ-
ლებით აღარ ვსწუხდი.

სხვა უფრო ბევრი რამ სასიოვათო შეგვემთხვა ამ
წელს, ბევრჯელ ცხარე ცრემლი ვეიღვრია, წყალში
თავის დაღრჩობაც გავიძრახია, მაგრამ კი ვერ ავვი-
სრულებია. ხშირად მე და ლექსო სიამოვნებით ვი-
გონებთ იმ წარსულს, ბედნიერ დროს, რომელსაც
„ეძაწვილობა“ ჰქვიან. მხოლოდ მარტო ერთი მისი მო-
გონება ნეტარების ჟრუანტელს მომგვრის ხოლმე. გატე-
ხილი გიტვით—ბევრჯელ წმინდის გულით მინატრია,
რომ ერთი კიდევ განმეორდეს წარსული, ბედნიერი
ეძაწვილობის დრო!..

მზე იწვერებოდა. მისი მგრთალი სხივები ძლივს-
ღა ბჟუტავდენ. სწორედ ღორ-ხბო-ნახირის მოსვლის
დრო იყო. ახალი გაზაფხულის ჰირი იყო და შე-
ბინდების დროს ისე მწარედ დაუზუზუნა ცივმა ზენა-
ქარმა, რომ ორ წამს ქრისტიანი სული აღარ დარ-
ჩენილა გარეთ. გაწუწკებული ძროხებიც კი აბურძგნი-
ლი ბალნით ძუნძულით გარბოდენ ბოსლებისკენ. ამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს მხოლოდ მარტო მე ვიჯექი ჩვენი სახლის ერდოზედ, ჩალების კონებში გახვეული, და გასტერებით გავიცქირებოდი ასანმიანთ საბძლისკენ, საიდამაც გამოჩნდება ხოლმე ეოველი მგზავრი, სერს რომ ამოსცდება. მამა ჩემი გუშინ ქალაქს წავიდა და დღეს უსათუოდ უნდა მოსულიეო, თანაც ლამაზი წაღების მოტანასაც დაპირდა. აი რისთვის ვკაკავებდი სიცივეში და მოუთმენელად ველოდი იმ დროს, როდესაც ჩვენი ჩალის ფერი ცხენი გამოჩნდებოდა.

ერთი მხრისკენ გასტერებით ცქერამ ისე დამღალა, რომ მიმძინებოდა. უცბად რაღაცას ჩხავილმა გამაჯეტინა თვალები. თურმე, ნუ იტყვი, ჩვენი შავი ფისუნია ამოპარულიეო ერდოზედ და ჩალაზე მჯდომარე კაჭკაჭს შიგ კუდში სცემოდა. გულ-გახეთქილმა კაჭკაჭმა დაიჩხავლა და იმის ჩხავილზედ მე თვალები გავახილე. ფისუნია კი დარდიმანდულად ულვაშებს ისწორებდა და თათებით კაჭკაჭის კუდისგან დარჩენილ ბუმბულს იშორებდა. მე გული მომიკვდა ფისუნიაზედ, თითქოს მაჯავრებდა მე იგი, მეგონა, მეუბნებოდა: ,,შენი მოლოდინი და შენი ლამაზი წაღებიც ჩემ ვახშამთან ნივრის წელის ფასადაც არა ღირან და შენის წყრომისა რა მეცოდინება ამისთანა მარცხის შემდეგ''. გულ-მოსული წამოვარდი და რაც ძალი და ღონე მქონდა, ვუკივლე. საწყალი ფისუნია კუდ-ამოძუებული ფხაკა-ფხუკით ძირს დაეშვა. სწორედ ამ დროს ხელ-

მეორედ მივიხედე ასანძიანთ საბძლისკენ და, წარმოდგინე ჩემი სიხარული და აღტაცება! მამა ჩემის ბოხოხა ქუდის კინწირო გამოჩნდა. ჰატარა ხანს უკან ჩვენი ცხენის აცქვეტილი ყურებიც დავინახე... სიხარულისგან გავკარ-გამოვკარი ტაშს და ძირს კიბეზედ დავეშვი. ყველა დამავიწყდა,—ფისუნიას დაცინვაცა და სიცივეც. სიჩქარისგან კინაღამ კისერი მოვიტეხე კიბეზედ, შევვარდი სახლში და ერთი ალიაქოთი ავაყენე: მამა მოდის და ჩემთვის წაღები მოაქვს-მეთქი. უცბად მწარე ფიქრმა გამირბინა თავში, ვაი თუ ვერ იშოვნა, ან დუქნები იყო დაკეტილი... მერე რაღა ვქნა? ნომ უბედური ვიქნები-მეთქი და კიდეც გავემზადე ტირილს, მაგრამ ამ დროს გაიღო კარები და მამა ჩემიც გამოჩნდა. ტირილი დამავიწყდა, მწარე ფიქრები სულ მთლად გაჭრა და მამას კალთებზედ ჩამოვეკონწიალე.

ჩვენმა სოლომ*) ძლივს შემოათრია დიდი გატეხილი სურჯინი. სოლოს სახეზედ ტკბილი ღიმილი ისატებოდა, თითქოს თანაუგრძნობდა ჩემს სიხარულს და მარწმუნებდა, რომ წაღები მოგვიდაო. გაფაცი-

*) ამ სოლოს სახელს ბევრჯელ შეხვდებით ჩემ მოგონებათა სურათებში. ის იყო ჩვენი ერთგული მსახური და ჩემი პირველი წამყვან-მომყვანი სკოლაში. რა სასჯელს არ დავიდებდი, ერთი კიდევ მაჩვენა მისი დიდი შუბლი და მოცინარი თვალები, რომ სიყვარულით გადავკოცნო იგინი. რა ბედნიერნი ვიქნებოდით ორთავენი, ის ჩემის ნახვით და მე მისით!

ცებით დავაცქერდი ხურჯინს და ვერ ვბედავდი — მეკითხნა მამასთვინ, მოძიტანა წაღები თუ არა. ან რა კითხვა უნდოდა, ყველა იცინოდა და ხარობდა და ნუ თუ მარტო მე გამომაკლებდენ სიხარულში? ამ ექვს ერთ წუთსაც არ შეუჰყვრიეარ.

იმ ღამეს სიხარულისაგან ნახევარი არ მძინებია. მეორე დილას, ჯერ მზე არ იყო ამოსული, ფეხზედ წამოვხტი და წაღებს ჯაჯგური დავუწყე ჩასაცმელად, მაგრამ ვერას გავხდი: წაღები ჰატარები აღმოჩნდენ და ფეხებზედ არ ჩამოდიოდენ. ისე დავიქანცე, რომ ოფლი ხვითქით გადმოდიოდა შუბლიდან; ალმული ამდიოდა, ცრემლები მომადგნენ თვალებზედ, სლოკინი მაღრჩობდა. მამამ შენიშნა ჩემი გაჭირვება, მოეხმარა და ბოლოს, როგორც იყო, ჩამაცვა. სიხარულისგან ფეხზედ აღარ ვიდექი. ერთ წამში ხუთჯერ მაინც დავიხედავდი ხოლმე ფეხებზედ. თუმცა წაღები საშინლად მიჭერდენ, მაგრამ ვის ვეტყოდი ამას! დედამ ქოჩორი გადამივარცხნა და სხვა დარიგებასთან ესეც ზედ მიაყოლა:

— ახლა, შვილო, ვაჟი-კაცი ხარ, სკოლაში წასვლის დროც მოვიდა. წრეულ, რთველს მოვრჩებით თუ არა, გაგგზავნით სკოლაში. ვინძლო კარგად ისწავლო და კაი ბიჭი გამოხვიდე.

ეს კი აღარ მიამა. განა სკოლაში წასვლა კი არ მეზარებოდა, კიდევაც მიხაროდა, მაგრამ უცბად გამა-

ხსენდა ჩემი ლექსო, მასთან დაშორება და მეწვიმა, რომ საყვარელმა დედამ ამისთანა აღტაცებული და ბედნიერი წუთი სადღაც შორს წასვლით მომიწამლა. მაინც-და-მაინც დიდ ხანს არც ამას დაუღონებიეარ. ვინ იცის, რამდენი ხანი გაიელიდა სკოლაში წასვლამდინ. ჯერ კალოობა, მერე რთველი, შემდეგ... ეგები მამა სადმე წავიდეს... ეჰ, სწორედ არა ღირს ამაზედ ფიქრი... და გავგურეხლე ჩემ ლექსოსკენ, რომ იმისთვისაც გადამეცა ჩემი სიმხიარულე და ბედნიერება.

— ლექსო, ლექსო! ბიჭო, გარეთ გამოიხედე, რა კრუსიეით შინა გდიხარ? გოგოები და ბიჭები გვიცდიან ენძელაზედ[1]) წასასვლელად.

ლექსო მარდათ წამოხტა, წამოავლო ბარულას[2]) ხელი და გამოვარდა გარეთ. უცბად შეეიკრიბეთ ოცამდინ სოფლის გოგო-ბიჭები და ქიეილ-სიეილით გავსწიეთ „სამარილე სერისკენ". როგორც ზემოთა ვსთქეი, გაზაფხულის ჰირი იეო, მინდორი ალაგ-ალაგ ამშრალიეო და ლილო-ჭრელად მოჩანდა. ხეელ დედა-მიწას ოხშიეარი ასდიოდა კომლიეით. „სამარილე სერიდან" ძირს ვენახებში გატიტვლებული ხეები მოჩანდნენ, მაგრამ ალაგ-ალაგ ჭერამი და ატამი სამურად აეევეილებულიეენენ. ამ ჰატარა ობლად აწო-

[1]) ენძელას იმერეთში ჩიტ-თავას ეძახიან.

[2]) ბარულა წვერ-წათლიანი ჯოხია.

წილს გორაკას კისკასით და ხარხარით მოვედინა და ერთგულად უწყეთ ჩიჩქნა ენძელას. წიწილ-კრუსივით მიიფანტ-მოიფანტნენ გოგო-ბიჭები: ზოგი მხიარულად გასაფხულის თიკანივით სტოდა და ცეკვავდა, ზოგი ბლაგვი დანით წახეხილ ბარულას წვერს უსწორებდა; ზოგან კიდევ ჩხუბი იყო: არა, ჰირველად მე მოვედი ენძელასთან, არა მეო; ზოგან წვერ-წახეხილ ბარულებს, რაც ძალი და ღონე ჰქონდათ, უბრაგუნებდენ ქვას. ერთის სიტყვით ჩვენი უდარდელი, მხიარული ბავშვური ჟივილ-ხივილი, ბარულების რაკარუკი წკრიალით გაისმოდა ძალლა ჰაერში, საიდანაც ცქვიტი, ძალსაზი ტორუა თავს დაგვაბეზებდა, თითქოს დანატრის ჩვენს ბედნიერებასაო.

,,საძარილეზედ'' ენძელა ძალე გაძოილია; ადრე იყო და შინ წასვლა კი არ გვინდოდა. ,,საძარილეს'' ქვემოდან, ღელეს იქით (ღელეში ჯერ კიდევ თოვლი იყო) ძშვენიერი ენძელა იცოდა და, ძართლაც, ჰატარა დაბალი სერი საძურად ამილ-ჰიჰილებული იყო თეთრად და ალაგ-ალაგ წითლად გაფურჩქვნილის ენძელათი. იქ ჩასვლა გვინდოდა, ძაგრამ გეშინოდა, არ ვიცით კი რისა. შარშან სწორედ ამ სერის ჰირზედ საგანიანთ ძოხუცი იორდანე ძოჭკლეს. ოჭ, რა საზიზღრად ძოჭკლეს საცოდავი! თურმე ვენახიდან ძოდიოდა და ვაზის ფოთლები ძოჭქონდა ზაქისთვინ. ჰატარა სერს რომ ძოატანა, სწორედ იმ ალაგას, სა-

ცა ეხლა მშვენიერი ენძელა იყო გაფურჩქნილი, ბალახ-
ებრანძული კაცი დასვდა, წააქცევს საცოდავი და დიდ
სიბ-ქვაზედ თავი უსალეს. სისხლი თქრიალით გადმო-
ვიდა და მოთუთხნა სიბი-ქვა. ეხლაც ტანში ჟრიამუ-
ლი გაძიგლის ხოლმე, როცა იმ ქვასთან გავლა მო-
მიხდება! ეხლაც იქა გდია ის სიბი-ქვა მოწამე სა-
ზიზღარის მკვლელობისა. რადგან იორდანე სისხლის
დენას ვერ მოეკლა, მკვლელებს ამოეცლიათ ასალუ-
ხის ჯიბიდან წვერ-მოტეხილი ჩლუნგი სასხლავი და
იმით, რის ვაი-ვაგლახით, ყელი გამოსჭრეს; ფულად
ხუთი გროში გდებოდა, ისიც წაედოთ. უბედურ იორ-
დანეს ლურჯი ხელსახოცი მიედო ყანერატოზედ და
კიდევ მოეხერხებინა შინამდინ აფოფხება. ალბად ეს
იყო მიზეზი, რომ არავინ ბედავდა იმ სიბ-ქვასთან
ჩასვლას ენძელასთვინ, თუმცა გაფურჩქნილი ენძელა
კი თან გვიტეუებდა ბატარა ცელქებს და, სწორედ
გითხრათ, გვინდოდა იქ ჩასვლა. მარტო ჩასვლას ვე-
რავინ ბედავდა. ერთი-ერთმანერთს ეხვეწებოდენ, წავი-
დეთ ერთადაო, მაგრამ საქმე არ ხერხდებოდა.

— არა, ჯერ შენ წადი, და რა რომ ბარულას
დაჭვრავ, მერე მეც გადმოვსტები, ეუბნებოდენ ერთი-
ერთმანერთს.

კარგა ხანი ვიეოეძანეთ ასე... უცბად, ლექსომ
იმეორა ხელი და თავის გრძელი ბარულათი გადაე-
რია მუხლზედ თოვლში და სიბ-ქვასთან კი ამოჭეო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი. ლექსო მარდათ და ეოჩაღად დაეერდნო მკერ-
დით ბარულაზედ და ამოკუჭა უშველებელი ენძელა.

— არც ახლა ჩამოხვალთ? მხიარულად, მაგრამ
ხმის კანკალით, შემოგვძახა ქვემოდამ ლექსომ. შორი-
დან ეტყობოდა, რომ ლექსო არეული აქეთ-იქით იც-
ქირებოდა და, მგონი, გულიც ორ ციდაზედ უსტოდა.

შიში გაჭქრა. დავაბირეთ ერთად ჩარბენა ძირს,
მაგრამ ამ დროს სიბ-ქვასთან ახლო მდგომი მეძვი
რაღაცაც შეანძრია. ეველანი შეეზერდით. გვეგონა თუ
მეძვიდან მწეერი ამოჭეფრინდა. ჩვენმა სოლომ გუ-
შინაც კი გვითხრა რომ ზამთარში გველს და მწეერს
ერთად უდევთ თავი და ისე ძინავთო. თუ გაზაფ-
ხულზედ გველი აასწრებს, ხომ შეჭამს მწეერს და
იმ ზაფხულს მწეერი ცოტა იქნებაო, თუ მწეერი აას-
წრებს, მაშინ გველი ცოტა იქნებაო. უთუოდ ეხლა,
რა რომ დათბა, მწეერმა მოასწრო გაღვიძება და ის
ამოჭეფრინდა მეძვიდან,—იმისთვისაც შეირხა მეძვის
ტოტები. მაგრამ, გვეგონა, რომ ასე იყო, და გვინ-
დოდა ჩვენი თავი ამაზე დაგვეჭერებინა; ნამდვილად კი
შიშის ქარმა გაგვიქროლა.

ლექსოც შეკრთა, გაშეშდა, ცასცასი იწყო; თვალ-
წინ ჩლუნგი სასხლავი, საკანიანთ იორდანეს გამოჭრი-
ლი ყელი და იქიდამ თქრიალა სისხლის ნაკადული
წარმოუდგნენ. სასე-ძისდილმა უცბად ძიისდა სიბ-
ქვისკენ: იქ წითელი წინწკლები მოეჩვენენ... ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საშინლად გაგიჟებულა და ძირს სულ სულგულად ზარ-
თანი გასვდა.

ამის დამნახველნი, ჩვენ უარესად შეეკრთით და სა-
სვები დაგვეპრანჭა. არ ვიცოდით, რა გვექნა: გაგ-
ქცეულიეავით, თუ მიეშველებოდით. ვერც ერთს ვერ
ვასერხებდით და ფშატის მარგილებივით ვიდექით ერთ
ალაგას. მე თვითონ გონება დამეკარგა; ორი ნაბიჯი
წავედი წინ ლექსოსკენ, მუხლები ამითრთოლდა, ჩა-
მეკეცნენ. მუხლების დახედვა მინდოდა და უნებურად
ჩემი თვალები ახალი წაღების წვერებს კი მოხვდა.

— ოჰ, წეულო წაღებო! რასკენ ჩაგიცვით, თუ
კი მე და ლექსოს ეს დაგვემართებოდა. ნუთუ წუხან-
დელი და დილანდელი ბედნიერება ასე მოკლე იყო?..

მერე აღარ მახსოვს, როგორ გავჩნდი ლექსოს-
თან. დავინახე თუ არა ლექსოს მიეთრებული სახე,
წელში მოხრილი, წვერ-ულვაშ-გათეთრებული ბერო
და საცოდავი ნენე წამოძიდგნენ თვალ-წინ.

— ,,სანდრო! რასკენ მოგვიკალ ჩვენი ჰატარა ლექ-
სო, სიბერის ჩვენი ერთად-ერთი ნუგეში! თითქო შენ
მისი კარგი მეგობარი იყავ!..'' მოძესმა გარკვევით
საიდანაც საუკეთურით საგსე და სევდიანი ძწარე სმა.

არ ვიცი, ამ სიტყვებმა და იმათი სახის წარ-
მოდგენამ თუ მოძცა მოძეტებული ძალა, თორემ რო-
გორ ავიტაცე ბურთივით ჩემი ტოლი ლექსო და თვა-
ლის დახამსაძებასკენ სერის წვეროს მოვეძეცი, ესლაც
ვერ მივსვედრივარ.

ამის შემდეგ ლექსის „მშიშარას“ ემახდენ. ... არ მოსწონდა, ლექსისაც რცხვენოდა და ვცდილობ-დით მე და ლექსი თავის დღეში ადარ გავშორებოდ-ით ერთმანეთსა...

ა. ფეოხული.

ხარკოვი.

* * *

ვალს მოსწონს და გულს ასარებს,
ვინც შრომაში მამაცია,
ჩვენ სოფოს კი ისევ სძინავს,
რადგანაც რომ ზარმაცია.

—

გაზაფხულდა—არ უნახავს
არც ენმელა, არცა ია,
წიგნის კითხვაც ეზარება,—
ზარმაცია, ზარმაცია...

ი. ფ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვლის ნუკრის ნაამბობი

(პატარა მოთხრობა)

I

ანაწა ვარ, ობოლი. ბედმა დამიბრიალა: ცუდ დროს დავობლდი; ტანზედ მაცვია პატარა მოკლე ბეწვიანი თეთრი თვლებით მოწინწკლული, თხელი ქათიბი. ჯერ რქები და კბილები არ ამომსვლია, ჩლიქებიც არ გამმაგრებია.

გზა-დაკარგული დავდივარ. აი დახედეთ ჩემ სისხლიან ფეხსა,—ეს წელის დასალევად რომ ჩავედი ხევში, მაშინ ვიტკინე... გული მიწუხს... გული... საბრალო დედა ჩემი! მანამ დედა მყვანდა ცოცხალი, სულ ალერსში ვყვანდი: ძუძუს მაწოებდა, მიალერსებდა, მაფრთხილებდა. რაღა მეშველება მე საბრალოს ესლა! ძუძუს აღარა ვწოვ, მხოლოდ ბალახის ნამსა ვსუტავ დილით და საღამოთი, როდესაც ნამია, და რძის ნდომას იმითი ვიკლავ. უპატრონო რომ ვარ, სულ მეშინია, ვკანკალებ,—ძუძამ დღე სიკვდილს ველი, გზა-არეული დავეხეტები... ღმერთო, რამდენი მტერი გვყავს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელან ველის-პირად გავედი დაღონებულიბ.ბ.ქ.ბ.ბ.ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოწოლილა და აქეთ-იქით ხევები ჩაუდის, იქ ვცხოვ-
რობდით, მუდამ დაჩრდილული გაბურულის ტყითა;
უხვედრი იყო ჩვენი ბინა. დედა ჩემი დაწვებოდა ხოლ-
მე გორაკზე, მე გვერდით მოვუწვებოდი; სამივე მხრი-
დამ ხევები გვეფარა,—მეოთხეს თვითონ გაიეურებოდა.
ხან-და-ხან ეურებს დააცქვეტდა, მე შევეურებდი და
ვბაძავდი იმის ქცევას, ჩემს ბატარა ეურებსაც ავცქვეტ-
დი. სამჯერ უჩვეულებრივი ხმაურობა შემოგვესმა: ის
არ გვანდა არც წელის ჩქრიალს, რომელიც მუდამ
მესმის, არც შაშვის ფაჩუნს, არც კოდალას რაკუნს,
არც კიდევ ხმელის ხის წვერიდამ ჩამოვარდნილი ტო-
ტის რახუნს, არც ნიავისაგან გაშრიალებული ფოთ-
ლების ხმასა... ეს შევნიშნე მე. რამწამს ამ საუცხო-
ო ხმას გაიგონებდა დედა ჩემი, ზე წამოვარდებოდა
და მეტყოდა: ,,შვილო! მომყე, მე მომყე!..“ გაიქცეოდა
და მეც მივსტოდი, რაც ძალი და ღონე მქონდა, არ
ვიცოდი და არც მესმოდა, თუ ვის უფთხვებოდა. ეხ-
ლა კი ვიცი... ოჰ, რამდენი მტერი გვყავს! ოჰ, ადა-
მიანო!.. რატომ არ გებრალები მე ბატარა, რატომ
არ მაძლევ თავისუფლებას, რომ გულ-დასვენებული
თავისუფლად ვიარო, ვთელო ლამაზი მწვანე ბალახი,
გადავდგე სერზედ და დავტკბე საღამოს ნიავის სიოთი?

ვერ გავცილებივარ ტყეს: თუ გავედი ველად, უნ-
და ტყის ბირს არ მოვსცილდე,—მაშინაც ნახევარი
სიცოცხლე მაკლდება! სულ აქეთ-იქით უნდა ვიეურო,

ვეფარო ხეებს, კლდეებს, ბალახებს და კანკალით-კანკალ-
მო საჭმელი, შიშისაგან ზეზეურად უნდა დავდნე!.. რას
გიშავებ, ადამიანო, მითხარი, რას? რა დაგიშავა სა-
ბრალო დედა ჩემმა, რა შეგისვა, რა შეგიჭამა, რომ
მოჭკალი და უპატრონოდ დამაგდე, დამაობლე?! ოჰ,
ადამიანებო! თავის ხერხზე და ღონეზე სართ დაიმე-
დებულნი და ჩვენი ჯავრი არა გაქვსთ... არ გრძნობთ,
რომ ჩვენც გვიყვარს თავისუფლება, არ გრძნობთ თქვე-
ნი შეუბრალებელის გულითა, რომ ჩვენც გვიყვარს
სიცოცხლე, ბუნება: ფოთლის შრიალი, წყლის ჩქრია-
ლი, რომელსაც სულ-განაბული ეგრე ხმირად ეურს
ვუგდებ ხოლმე, ბალახის ბიბინი და ტეის ცხოველებ-
თან ერთად ნავარდობა... შენ კი, ოჰ ადამიანო!..
თვალებ-დასისხლიანებული, დაფაციცებული დამეძებ მე
და ჩემ ფერს სუსტს და უპატრონოს ათასს სხვას...
იარაღი გაქვს, მოგვეპარები, მუსთალად გვკრავ ტეეიას
და გამოგვასალმებ წუთის სოფელსა...

II

როგორ არ უნდა მეშინოდეს?.. ჯერ მე სულ ერ-
თი კვირაა, რაც წუთის-სოფელს ვხედავ, და რამდენი
შიში და ვაება გამოვიარე! გუშინ-წინ წვიმიანი დღე
იყო. სიცოცხლით და სიმშვენიერებით აღსავსე დედა
ჩემი, წიფლის გვერდზედ იდგა და გემრიელად იცოხ-
ნიდა... მეც გვერდით ვუდექი, მიხაროდა დედასთან

დგომა, მტერი და სიკვდილი არცკი მაგონდებოდა. ბუ-
დის იმედით. ხშირის ფოთლებიდამ წვიმის ნამი კამ-
კამით ჩამოდიოდა... მე თავს ვუშვერდი, რომ სასია-
მოვნო წვეთებს გავეგრილებინე.

— არ გიამა, შვილო? მკითხავდა დედა.

მე თავს ვუქნევდი და ვსტოდი, ხან ძუძუებში ვბურ-
ჩნიდი.

ჩვენს წინ ერთს ხძელ ხეს გარეშემო კოდალა ევ-
ლებოდა და ისე მაგრა უკაკუნებდა, რომ მიკვირდა,—
დედა ჩემი ამოტელაა და არ შეუძლიან ეგრე ტეის გა-
ხმაურება, როგორც ამ ბატარა ჩიტს-ძეთქი' უვლიდა
გარშემო ხეს ფეხების ფხაკუნით და ხან ერთს და ხან
მეორე ადგილას ჩაჭკრავდა ნისკარტსა... კოდალას ცელ-
ქობას მე სიხარულით შავეურებდი. უცებ „ჩხი!" „ჩხი!"
მოესმა. მოვიხედე გვერდზე: თავზედ ერთი ჩხიკვი გვე-
ვლებოდა. „თავი მოიფარეო,—მითხრა დედა ჩემმა,—
თორემ ჩხიკვი თვალებს დაგთხრისო!.." მე თავი მო-
ვაფარე. დედა ჩემი იგერებდა თავით იმ სამაგელს. ჩხი-
კვი ჩემკენ იწევდა. ბევრი იცოდვილა, ძერე დაგვანება
თავი, თავ-მოკატუნებული წიფლის ტოტზე შესკუბდა
და მოჭვევა კნავილს. მისი ხმა სწორედ ჩემს ხმასა ჭვავ-
და. დედას გაეცინა და მითხრა:

— დიდი ეშმაკი რამეა, შვილო, ეგ ჩხიკვი, გაუ-
ფრთხილდი!.. შენისთანა ბატარა ნუკრებს ძლიერ ემტე-
რება, შვილო... კრუსუნსა და კნავილს მოჭვევა; ახ-

ლო-ძახლო რომ შენისთანა ბრიყვი და გაძოგვლეტილ ნუკრი შეხვდეს, ბანს მისცემს, გადაეძრახნება, მაგასაც ის უნდა: მიახტება და თვალებს გაძოხჩიჩქნის!..

მე ტანში ჟრუანტელმა გამიარა...

— ხმასაც არ გავცემ, დაეძალები მაშინათვე!

— ჰო, ეგრე, ეგრე, შვილო! მანამ დედა ცოცხალი გყავს, ნუ შეგეშინდება, როცა მე აღარ გეყოლები, მაშინ სიფრთხილე გმართებს!

— ოჰ, რამდენი გამოცდილება მაკლია ჯერ კიდე მე საცოდავსა!..

ლ. რაზიკაშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორნი ძმანი

(ხალხური ზღაპარი ქართლში გაგონილი)

ორნი ძმანი იყვნენ: ერთი ჭკვიანი და მეორე მოსულელო. დარჩათ ამათ დედ-მამისაგან ნართი. ჭკვიანმა ძმამ უთხრა მოსულელოს:

— წაულე, ბიჭო, ეს ნართი ფეიქარსა და სამოსლები მოაქსოვინე!

მოსულელომ არ იცოდა, რას ერქვა ფეიქარი, წაიღო ეს ნართი ტყეში, დაჭიდა ერთ ასკილზე და უთხრა: „ამ ნართისაგან სამოსლები დამიქსოვეო“. ასკილი ქარისაგან ირყეოდა, მოსულელოს კი ეგონა, თანხმობის ნიშნად თავს მიქნევსო, და დაიმედებული შინ წამოვიდა.

ერთი კვირის შემდეგ, მოსულელო კიდევ წავიდა ტყეში სამოსლების მოსატანათ, მაგრამ ვერც სამოსლები ნახა ასკილზედ და ველარც ნართი. ბაჯაერებულმა ასკილი ძირიანათ ამოჭგლიჯა და თან ფულით სავსე ქილა კი ამოაყოლა. დასტაცა ქილას ხელი და შინისაკენ გამოაქცუნა.

შინ რო მოვიდა, ჭკვიანმა ჰკითხა:

— ეს ქილა ეგრე ნაკლული იყო, თუ სავსე?

— სავსეო, უპასუხა მოსულელომ,—მაგრამ უკან ერთი მთხოვარი მომდევდა და იმას ვუყრიდი ხოლმე მუჭა-მუჭასა.

ჭკვიანი იმწამსვე მიხვდა, ეს მიმდევარი მოსულელოსავე აჩრდილი იქნებოდაო, ისევ გააბრუნა, თვითონაც უკან მიჰყვა და დაბნეული ფული სულ აჰკრიფა.

მეორე დღეს ორნივ ძმები წავიდნენ და ერთს მდიდარს მოჯამაგირეთ დაუდგნენ. მდიდარმა ჭკვიანი მემცხვარეთ გაგზავნა, მოსულელოს კი შინ იმსახურებდა. ჭკვიანი ძმა სალამ-სალამობით ცხვარს ყოველთვის უკლებლივ მორეკავდა ხოლმე შინა.

ერთხელ მდიდარმა ჭკვიანის მაგივრად მოსულელო გაყოლა ცხვარს. ამან ცხვრის ფარა ვაშლის ძირში მირეკა, თვითონ კი ზედ ვაშლზედ დასარხევათ ავიდა. დაარხია და ცხვრებს ჩამოჰყვირა, რომ იმისთვისაც შეენახათ. ცხვრებმა ვაშლი სულ აჰკრიფეს, მხოლოდ ხუთიოდე ცხვარს-ღა შერჩენოდათ რქებზე ვაშლის კუნწულები. რა დაინახა მოსულელომ, რომ ცხვრებმა მას ვაშლი აღარ დაუტოვეს, ჩამოვიდა და გაჯავრებულმა ყველა ცხვრებს, გარდა ხუთისა, ყელები დაღადრა.

ამ დროს ჭკვიანი ძმაც მოვიდა. შეწყინა ეს ამბავი, მაგრამ რაღას უშველიდა. დაუწყეს დახოცილ ცხვრებს ხევში გადაყრა. ჭკვიანი ძმა თითოს მიათრევდა და მოსულელო კი ორ-ორსა. დანარჩენი ხუთი ცხვარი ჩუმათ მორეკეს და ფარეხში შერეკეს.

იმ ღამეს ჭკვიანმა ძმამ იფიქრა: „თუ აქედგან არ გავეცალეთ, სულით ხორცამდე სულ დავილუპებითო“. მართლაც, მეორე დღეს ჭკვიანმა ოჯახის უფროსს შინ წასვლის ნება სთხოვა და ჯამაგირიც გამოსთხოვა. ამანაც ორთავ ძმებს ჯამაგირებიც სრულად მისცა და პური და ღვინოც მოუტანა. ჭკვიან ძმას ორ-ორს ასმევდა და მოსულელოს კი თითოსა. მოსულელომ ეს ძლიერ იწყინა და უთხრა:

— მე ორ-ორს ვეზიდებოდი და ეგ თითოსა, შენ კი, შე დალოცვილო, მაგას ორ-ორს ასმევ და მე თითოსა!

ოჯახის უფროსმა ჰკითხა ჭკვიანსა, „რას ამბობს ეგაო?“

— იმასა, რომ მე თითო ფიჩხის კონას ვეზიდებოდი ხოლმე და ეგ კი ორ-ორსა.

შემდეგ წავიდნენ ორივ ძმები და ერთ დღეს დაუდგნენ მოჯამაგირეთ. დღემა მოსულელო სახლში დატოვა, ჭკვიანი კი სანადიროთ წაიყვანა და შინ მრავლისაგან-მრავალი ნანადირევით დაბრუნდა.

მეორე დღეს ახლა მოსულელო წაიყვანა სანადიროთ, მაგრამ იმან სულ დაუფრთხო ნადირი და შინ ხელ-ცარიელი დაბრუნდა. დღემა უბრძანა ამას:

— შედი შინა, დედა ჩემს თავი დაბანე და ფაფაც გაუკეთე!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოსულელომაც მაშინათვე ცეცხლზედ ქვაბი შე'დგა, წყალი ააღუღა, ჩასვა შიგ ბებერი და კბილები კი დააკრეჭინა. შემდეგ ფაფაც გაუკეთა და იმით პირი გამოუმსო.

ბაიგო დევმა ეს ამბავი, მაგრამ მოსულელოს ვერა გაუბედა-რა და მის ნაცვლად ჭკვიან ძმას ჩხუბი და დავიდარაბა აუტეხა. მოსულელო კი ამ დროს იჯდა, ფაფას შეექცეოდა და დევს ებუზღუნებოდა: „ჰა, ფეხი ფაფასაო!"

ჩხუბსა და ორომტრიალში დევმა აკი ფეხი ჩაუკრა ფაფაში. წამოუვარდა მოსულელო და დევი სულ მიკუწ-მოკუწა.

დარჩათ დევის ქონება ამ ორ ძმასა. მოსულელო ძმა ბოლოს, როგორც იქნა, მოჭკვიანდა და ორთავემ ერთად ტკბილი და კეთილი ცხოვრება დაიწყეს...

ბ. გეჯაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲭᲐᲯᲘ

(ხალხური ბალადა)

ᲖᲚᲔᲮᲘ, ამდგარი ადრე დილასა,
ტყეში წავიდა, დაადგა გზასა...
ერთგულად მთელ დღეს ოფლის მღვრელია,
მარტოდ მუშაობს, მარტო ხელია...
მზეც დასავლისკენ გადაიხარა,
მწუხრმა ბუნებას შვება მოჰგვარა,—
ბლეხსაც მოუნდა ვახშამი, ძილი,
მაგრამ წინ უძევს გზა და მანძილი.
ბაუდგა კიდეც შინათკენ გზასა,
ძლივს თუ მიაღწევს ვახშმობის ჟამსა...
მზის ნაცვლად მეფობს ნამგალა-მთვარე—
მიყუჩებულა მთლად არე-მარე:
არცა სად მგზავრი, არცა სადგური,
არც ბულბულთ სტვენა, არც ბაიბური,—
მხოლოდ იძახის გულის დამწვავი
ჭოტი და მას ბუ, სევდის მომცვავი,
„უჰუ!..“ დასძინებს, თითქო კვიროობსო:
ამ დროს აქ გაევლას ვინ აპიროობსო!..

*
* *

ბლეხი კი მიდის სულ-განაბული,
შიშით და კრძალვით ძლივს უცემს გული,—
რადგან ახლოა იგი შამბნარი,
იმ გზით გამვლელის საფრთხე რომ არი...
აქ ერთი ხრამი ნაძაგებია:
„შიგ ბუდობენო, რაც ქაჯებია...“
მართლაც, სხვას არ ჰგავს ეს ადგილები,
ჩამობურული, რალაც ხრამები,
სადაც მზის შუქიც ვერ ჩასწდომია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და მთვარისა ხომ სულ არ ჰხდომია.
ხრამს ქვეშ ღურღური რუსა გაუდის
და გზა სასოფლო გვერდით ჩაუდის...
რაც რომ ხრამს გლეხი უახლოვდება,
ფიქრები ფიქრზედ მოდის, გროვდება:
„ვაჰ, თუ დამხვდესო იგი წყეული
ბევრჯერ აქ მგზავრთან შებმას ჩვეული!..“
და ეს-ეს არი ხრამს მიადგება—
თმა ებუძგება, ყირაზე დგება...
ხრამსაც გასცილდა სახიფათოსა
და ფრთხილად მისდევს შარა-ფართოსა...
მერე გულს ეტყვის: „მოვიხედაო,
ხომ არაფერი ამეკიდაო?!.“
„—დალახვროს ღმერთმა!“ ეცა თავზარი
გლეხსა და ტანმა უწყო ზანზარი.
„—საიდამ გაჩნდა ეს თანა-მგზავრი,
სახით დუხჭირი, გულ-შემაზარი,
ამ გაბურძგნულის თავ-პირ-ბანლითა,
და კოჭებამდის მოსილ ბანჯგვლითა?!.
ეს თითო ციდა მისი ღრჯოლები
გულს აშფოთებენ დალრეჭილები;
ცეცხლის მფრქვეველი წვრილი თვალები
ასე უტიფრად მოლაპლაპები!
ხელ-ფეხთა გრძელთა მრუდე ბრჭყალებსა
ხან შლის, ხან კრუჩხავს ვეფხებრ მჭრელებსა!..“
ჭაჯს ჰხედავს ისეთს, როგორც ჰსმენია,
ან იმის აზრსა წარმოსდგენია...
„ვაი!“ საბრალოდ მან დაიძახა,
უცებ პირჯვარი გამოისახა,
ღვთით შეაჩვენა და მაენეთ მტყორცით,
წმიდა ბიორგით სამას-სამოცით,
და გარბის... ერთიც კვლავ მოიხედა,—

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქაჯი გამქრალა... ოღნავ შეჩერდა...
ამ დროს მიდამოს გახდა შრიალი,—
ბლეხს კვლავ აუტყდა გულის ფრიალი:
„—ვეჰ! ჩემზედ შეჰქნეს ქაჯებმა კრება!“
ჰფიქრობს და გარბის, არ იღალება...

*
* *

ქვლავ მოიხედავს—ქაჯიც თან ახლავს,
ბლეხს მისი ქცევა გულსა უმეხავს:
ხან მოიკუტვის ქონდრის-კაცივით,
ხან მოიმართვის ბოლიათივით...
ქაცვი მოედო ჩოხის კალთაზე
და ფარატინი შერჩა ეკალზე.
ბლეხს კი ეგონა, ხელიც მტაცაო,
ბაბრაზდა: „აბა, მე შენ მაცაო!“
ხანჯალი არ აქვს, ცულს მოიგონებს,
სარტყლით გაიძრობს, მკლავს მოიღონებს:
მარჯვნით მოიქნევს—უნდა შემოკვრა,
მარცხნისკენ ქაჯი წუთში გადმოტყვრა;
აქით მოიქნევს, იქით გახტება,
და ბლეხსა სიმწრის ოფლი ასკდება.
მოაგონდება, რომე მავნესა
რკინეულიცა ვერას ავნებსა...
ქუდი დაჰკარგა და ქალამანი,
და, თუმც აღარ აქვს საწყალს ამანი,
ბარბის, ბიორგის წმიდას ახსენებს,
ხე ჩრდილოვანთან იგი ისვენებს.
შედგა და ნახა: მავნე გამქრალა...
იმდენად ღმერთმა, ჰფიქრობს, იბრალა.

*
* *

სულს მოიბრუნებს, გზას გაუდგება,
მიდის, ქაჯიც კვლავ გამოუდგება.
„ფუჰ, შე წყეულო!..“ ეს უნდა ეთქვა,
მაგრამ საბრალოს ენაც წაერთვა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბარბის ქშენითა, რაც აქვს ილაჯი,
აბა, არ იქნა, თან მისდევს ქაჯი...
და მაშინ მხოლოდ გაჰქრა მაცთური,
რა გლეხს წინ დაჰხვდა მისი სადგური.
იგი შიგ შერბის ჯან-დაკარგული,
ჯალაბი დაჰკრთა გაცვიფრებული:
„—რას შემოიქერ? რა შეგმთხვევია?
უბედურება ხომ არ გწვევია?..“
მაგრამ უენოს ხმა ვერ გაეცა,
მუხლთ მოესერა, იქვე ჩაეცა...
ძალი ქვითინებს, ბალღი ღრიალებს
დედა ფათურობს, ქმარს უტრიალებს ..
დილამდის სულსა ძლიეს იბრუნებდა,
ხან შეკრთებოდა, ხმას ვერ იღებდა...
ბოლოს, ·ვითომ სცნეს, რით იყო ავად,
და კვეთებულის წასაკითხავად
მღვდელს მოუწოდეს, ჯვარს ამთხვევინეს;
მკითხავს რამდენი არ არჩევინეს,
მაგრამ ნუგეში მას არ მოეცა:
ავად-მყოფს უფრო მხარი მოექცა.
ცოლ-შვილის ზრუნვამ არგო ვერღარა,
ძვრივ-ობლად გლეხმა ყველა დაჰყარა.
ან რით არგებდენ?.. თავი მოცული
ცრუ-მორწმუნებით სიყრმითვე ჰქონდა,
და, გლეხს საგნებზედ ცნობა ნამდვილი
თუმცა ჰქონოდა, თვით მიხვდებოდა,
რომ ტვინი ჰქონდა ფიქრით აღვსილი
და თავისივე ჰსდევდა აჩრდილი.

*
* *

გლეხის ამბვისა მნახველ-გამგონე
ის სოფელ-კუთხე არის დამფრთხალი:
ხრამის ნაძრახის კრთომით მომგონე
იმ ალაგთ ჰკრულავს კაცი და ქალი...

ვ. კვიცარიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბ ე ს ო

(ოსური ლეგენდა)

ბაზაფხულის მზე კარგა ზემოთ იყო ამოსული მოკრიალებულ ლაჟვარდ ცაზედ და თვის ბრწყინვალე სხივებს უხვათა ჰფენდა ძავკასიონის მთის ამწვანებულ ფერდობებს. სითბო ამ სხივებისა ღრმათ ჩადიოდა დედა-მიწაში და სიცოცხლის ფრთებს ასხამდა ყოველს არსებათ. საკვირველი, გასაოცარი ამბები ხდებოდა ყველგან, სადაც კი ცხოველი მზის სხივთა გამომაფხიზლებელი ძალა ტრიალდებოდა. იქ, სადაც ამ წინაზედ სრული არა-რაობა იყო და დაურღვეველ სიჩუმეს ყოველივე მოეცვა, სადაც თითქოს ყველაფერი მკვდარიაო—იქ ეხლა სიცოცხლე სდუღდა, ახლად აღმოცენებული ბალახები და ნაზად გადაშლილი ყვავილები თვისი მშვენიერის ფერებით ელვარებდნენ, სხვა-და-სხვა ნაირი უთვალავი სულდგმულნი დაფრინავდნენ და დაცოცავდნენ. ვინ იცის, რამდენი ამ სულდგმულთაგანი უსიცოც-

ხლოდ იდო გუშინ დედამიწაში და რამდენს მათგანს ხვალამდი-
სინ ბოლო მოელება, მაგრამ ამისათვის თავს არავინ იწუხებდა
და ყოველი მათგანი მხოლოდ ცდილობდა სიცოცხლით დამ-
ტკბარიყო, დამტკბარიყო ბრწყინვალე მზის სხივებით... ყველა
გრძნობდა, რომ მზე და სიცოცხლე—ერთი და იგივეა.

მხოლოდ ადამიანებს არ ესმოდათ ესა... იმათ საშინლად
სცხელოდათ და შეწუხებულნი თვის სახლებში იმალებოდნენ.
დერეფნების ჩრდილში ნებივრად წამოწოლილი ოსები ნელ-ნელა
სთლიდნენ ჯოხებს; ასე გასინჯეთ, ამათ ქალებსაც კი ხელი აე-
ღოთ მუშაობაზედ, რომელიც შინ და მინდორში მხოლოდ ამათ
აწევთ კისერზედ, თავი მოეყარათ მოფარებულ ადგილებში და
დაიმედებულნი, რომ მათ ქმრები ვერა ხედვენ, ერთმანერთთან
ლაპარაკით ერთობოდნენ. სიცხისგან დაოსებული ბავშვებიც
თვის დედებს მისხდომოდნენ მუხლი ძირას და ძილისათვის გა-
მზადებულიყვნენ.

***

მაგრამ ყველა რიდი იყო ასეთ ზარმაცულ განცხრომაში.
სოფლის ზემოთ, ციცაბო მთაზედ, კლდეებსა და ღრეთ შორის
გატკეპნილს ვიწრო ბილიკზედ მიდიოდა მზისგან დამწვარი, შავ-
თვალ-წარბა, ღონიერი და მარდი ბიჭი, ნამდვილი შვილი ამ
უზარ-მაზარი მთებისა, პატარა მწყევსი ბესო, რომელიც მარჯვედ
მიერეკებოდა თხების პატარა ფარას. ბესო ყველაზედ უმცროსი
იყო ოჯახში და უმფროსებმა სისხამ დილაზედ გამოაგდეს მთებ-
ში თხების საძოვნელად. თუმცა ამასაც გულით უნდოდა შინ
დარჩენა და ჩრდილში გორაობა, მაგრამ უმფროსების ბრძანე-
ბას მაინც ვერ გადვიდა: კარგათ იცოდა, რომ უარის თქმისა-
თვის ბევრიც მოხვდებოდა და მთაში წასვლასაც ვერ აიცდენდა.

და, აი, პირი დაიბანა, ტანთ ჩაიცვა, წამოიკიდა პატარა
გუდა, რომელშიაც ნაცრიდამ ახლად გამოღებული ხმიადი და
ცოტა ყველი ჩაიწყო, წამოავლო ჯოხს ხელი, გაირეკა წინ
თხები და გასწია მაღალ მთის ფერდობებზედ. ადიოდა სულ
მაღლა და მაღლა, ეჯიბრებოდა თავის თხებს კლდიდგან კლდე-

ზედ ხტომაში და მარდათ არბოდა საშინელს დაქანებულ-გვერ-დაებზედ. Cუდ გუნებაზედ მყოფი, ბესო მალე გამხიარულდა და თვის ზარის მსგავსი ხმით მხიარულად დაიძახა მოხდენილი სიმ-ღერა, რომელსაც უზარ-მაზარი მთები გუგუნით ბანს ეუბნე-ბოდნენ.

ის არ გრძნობდა დალალვას, არ გრძნობდა სიცხესაც, რადგან ისეთ სიმაღლეზედ ავიდა, რომ იქ დაშორებით უფ-რო გრილოდა, სანამ დაბლა, სოფელში. წმინდა ჰაერი ამხნე-ებდა მას და გრილი ჰავა სიცოცხლით ავსებდა მის სულსა და გულს.

ბესო დაადგა ერთს პატარა ბილიკას, რომელმაც მალე გა-განივრება იწყო. ამ გზის ორთავ მხარეს მშვენიერი საძოვარი ბალახი იყო ამოსული; თხები მხიარულად ხტუნაობდნენ და სია-მოვნებით შეექცეოდნენ ნოყიერს ნამიან ბალახს. აგერ სალამოს ქამიც მოახლოვდა: მზე ნელ-ნელა დასავლეთის მთებს ეფარე-ბოდა და გრძელ-გრძელი ჩრდილები ჰფარავდნენ არე-მარეს. ახ-ლა კი იგრძნო ბესომ შიმშილი და დასვენება მოინდომა... იქ-ვე ახლო მან დაინახა ანკარა წყარო, რომელიც ქვებსა და ბა-ლახებში თავ-ქვე მიწანწკარებდა... ბესო ამ წყაროს მიუჯდა გვერდით, გაიგრილა ცივი წყლით სახე, დაიბანა ხელები, გახ-სნა თავისი გუდა და იქიდამ ყველის ნაჭერი და ხმიადი ამოი-ღო... ბემრიელად მიაძღა ამ საშხარს ბესო და ანკარა წყაროს წყლით გული გაიგრილა. ამ სამხრის შემდეგ უფრო კარგს გუნებაზედ დადგა; უფრო მხიარულად და თავისუფლად იგრძნო თვისი თავი. ბულითადის კმაყოფილებით დაიცქირებოდა ის ფე-ხებზედ, რომლებზედაც მამისგან ნაჩუქი ახლად-ამოსხმული ლა-მაზი, კოხტა და რბილი ქალამნები ეცვა. დიდხანს სტკბებოდა ბესო ამ ქალამნების ცქერით. ბოლოს თავი მაღლა აიღო და თვალი გადაავლო თვის გარშემო ამართულ უზარ-მაზარ მთებ-სა. საუცხოვო რამ იყო ის არე-მარე... ბესოს ეგონა, რომ ის ძალიან ახლოა ცაზედ. აგერ აქვე, აიმ მწვანე მთას იქით, ია-ლბუზს ამოუყვია ძვირფას მარგალიტივით ბჭყვრიალა, მოელვარე

თოვლიანი თავი. მს ხომ ყველამ იცის, რომ ეს თავი ცაზეა-მოფენილი ბჯენილი!..

„მაშ, ცა აქვე, ახლო ყოფილა! რა კარგი იქნება, რომ ავიდე როგორმე იქ!..“ ფიქრობდა ბესო. „ნეტა, რა ამბავია იქა?“

რა იყო და რა ხდებოდა იქ—ბესომ არ იცოდა... მაგრამ ფიქრები კი ბევრს სიმშვენიერეს და დიდებულებათ უხატავდნენ მას... ბევრი რამ ეგონა იქ, რაც იმათ სოფლელებს ფიქრათაც არ მოსვლიათ...„ნეტა ვინა სცხოვრობენ იმ მშვენიერ ვერცხლისა და ოქროს ოთახებში, რომელნიც მთელი ღამე ცეცხლის შუქით არიან განათებულნი?.. იქ სწორეთ ყოველ დღე ლხინი და შექცევაა!.. აგერ, პირველ ოთახში ინთება კიდეც ცეცხლი!.. საკვირველია, ცეცხლის შუქი ყველაზედ უწინ მაგ ოთახში გამოჩნდება ხოლმე: ჩაეშვება თუ არა მზე, იქ მაშინვე ცეცხლს ანთებენ“.

ბესო გაფაციცებით შესცქეროდა ბინდ-გადაკრულ ლაქვარდ ცას, სადაც ერთი ერთმანერთზედ საჩქაროდ ზეციური ცეცხლები ენთებოდნენ.

— ოჰ, ნეტავი ეხლა იქ დამსვა—გაიმეორა ბესომ!.. იქ ეხლა სწორეთ შექცევა და ლხინია, სიმღერაა გაჩაღებული. სულ-განაბული ყურს უგდებდა ბესო და ხანდისხან თითქო მართლა მოესმოდა ხოლმე მშვენიერი, გასაოცარი სიმღერა.

ამასობაში, კარგა ლაზათიანად ჩამობნელდა. იალბუზის თეთრი თავი თითქმის სრულიად დაიმალა. მთებში დაურღვეველი სიჩუმე დამყარდა; მხოლოდ ხანდისხან გრილი ნიავი წამოიქროლებდა ხოლმე; მხოლოდ წყაროს ნაზი და ნელი წანწკარი ისმოდა... თხებს ტკბილად ეძინათ. ტკბილად დაეძინა ბესოსაც... ძილში ის სულ საუცხოო, საოცნებო სურათებს ხედავდა, რომელთა სიმშვენიერეს ვერ ასწერს ადამიანის ენა.

***

ამოჰყო თუ არა მზემ თავი აღმოსავლეთის მთებიდამ, ბესომაც გააჭყიტა თვალები და დაინახა, რომ თხები კარგა შორს წასულიყვნენ. მარდათ წამოხტა და გამოუდგა მათ უკან... დიდ-

ხანს მიდიოდა ბილიკზედ, რომელიც თან-და-თან ვიწროდებოდა, მაგრამ თხებს მაინც ვერ დაეწია. მიიხედ-მოიხედა და შეიტყო, რომ ის ეხლა სრულიად უცნობ ალაგას იყო. ბესომ კარგათ იცოდა თვისი საყვარელი მთები, მაგრამ ეს ადგილი კი ჯერ არ ენახა თავის დღეში. ზარშემო უძირო უფსკრულები გადაჭიმულიყვნენ და უზარმაზარი კლდეები ისე იყვნენ გადმოწოლილნი, თითქო აი ამ წამში გადმოინგრევიან და გასრესენ საბრალოსო. აგერ თეთრი მოელვარე იალბუზიც!..

„შენი ჭირიმე, აქ სად ამოვედი!“... ფიქრობდა თავის გულში ბესო.

ცოტა არა, შეკრთა ჩვენი ბესო... შედგა და მიიხედ-მოიხედა. იმრგვლივ ყოველივე სიჩუმით იყო მოცული... მაგრამ, აი ჯერ რალაც გასაოცარი ფაჩი-ფუჩი შემოესმა, შემდეგ რალაც ჩურჩულის მსგავსი ხმა... ეგონა, რომ კლდეთა და ღრეთ ერთმანერთთან ჩუმი ლაპარაკი იწყესო... მაგრამ, ეს რა ამბავია?.. ახლა კი ცხადათ შემოესმა ჯერ ყვირილი და შემდეგ კვნესა, კვნესა და ოხვრა ადამიანისა. აი, კიდევ!.. ხელ-მეორედ მოესმა გულ-გასაგმირი გმინვა!.. ეს კვნესა იქვე ახლო კლდიდამ გამოისმოდა. ბესო გულ-კეთილი ბავშვი იყო; გაიფიქრა, ალბათ ვისმეს მაღლა ფეხი დასხლეტია, ჩამოვარდნილა ძირს და დამსხვრეული კვნესის და ოხრავს ახლაო...

ამ ფიქრით ის გაჰქანდა იქით, საიდგანაც ხმა ისმოდა... ამასთანავე თითქო რალაც ძალა ეწეოდა ბესოს იქით და უჩვენებდა გზასა. აი, მის წინ გარღვეული კლდე გამოჩნდა... შიგ საშინლათა ბნელოდა. აქედამ გამოდიოდა ის შესაზარი გმინვა... ბესოს დიდხანს არ უფიქრნია, ყოჩაღათ კლდეში შეძვრა და ცოტაოდენის ფათურის შემდეგ სიბნელეში, უცებ დიდ, ფართო გამოქვაბულში გაჩნდა, სადაც სინათლე მაღლიდამ ჩამოდიოდა.

ბესო შედგა და თითქო გაშეშდა ერთ ალაგას... ზედ შუა ალაგას, სწორეთ სანათურის დასწვრივ, დიდს უშველებელ ქვაზედ, მაგარი და სქელი ჯაჭვით მიბმული, იწვა უცხო რამ ახალგაზდა... დიდი ტანჯვა იხატებოდა იმის სახეზედ; განიერ მხარ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიჯაჭვული ამირანი და ბესო

ბეჭებზედ ოქროს ხუჭუჭი თმა გადასწეწოდა. მან წამოიწია ხა-
შინელის ძალით, მაგრამ ჯაჭვები მაგრები იყვნენ და დანსხვრე-
ვის მაგივრად, მხოლოდ ჩხაკა-ჩხუკი იწყეს.

ბესო იდგა ერთ ადგილას და გაოცებული შესცქეროდა
ყმაწვილს, რომელსაც ტანზედ, მართალია დღეს დაგლეჯილი,
მაგრამ ერთ დროს საუცხოო ოქრომკედით მოქარგული ხა-
ვერდის ტანთ-საცმელი უჩანდა... იდგა და უგდებდა ყურს მის
შესაზარ კვნესას, რომელსაც ქვაბური მწუხარედ ხმას აძლევდა...

— ა? ეს რაღაა?.. სანათურიდამ რაღაც შრიალი ჩამოისმა და
უცებ იქიდამ უზარმაზარი ძერა ჩამოეშვა... მოკუმშა ფრთები,
დააფრინდა პირ-და-პირ ახალგაზდას გულზედ და თავისი მაგარი
ნისკარტით იწყო მისი ნაზი და თეთრი ხორცის წიწკნა-გლეჯა.
სისხლი გადმოსკდა თქრიალით და შესაზარი ვაების ხმა გაისმა
გამოქვაბულში... ბესომ ველარ მოითმინა... ბააფთრებული ეცა
ძერას და, უწყო წევა და ცემა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა.
ძერამ მოიტრიალა მისკენ თავი, გაოცებით შეხედა მას თვისი
გველური ბოროტის თვალით და უცებ იფთხრიალა, გაშალა
ფრთები და სანათურიდამვე ავარდა ზევით.

***

ბესოც დამშვიდდა... ახალგაზდა უცქეროდა მას ისეთის
თვალით, რომელიც გულითადს მადლობასა ხატავდა. უიმედო-
ბის სევდა თითქო მოშორდა მის სახეს, რომელსაც მადლიანი
სხივი იმედისა კვალად გადაეფინა. მან შესწყვიტა კვნესა, მშვი-
დობიანად გადახედა ბესოს და წყნარად უთხრა:

— ბულ-კეთილო ბავშვო! ბმადლობ ამ სიკეთისათვის!.. შენ-
მა მოსვლამ ცოტა ხანს მაინც გამანთავისუფლა ტანჯვისაგან და
ახალი სხივი იმედისა ხელ-ახლად მოჰფინა ჩემს ტანჯულ სულ-
სა. ეს შენ ჩემთვის სიკეთე გსურს,—შეგიძლია სამუდამოდ
დამიხსნა ამ დაუსრულებელის ტანჯვისაგან... ოღონდაც მიშვე-
ლე რამე და, აი, რასაც თავის გარეშემო ხედავ, ყველა ამას
შენ გაჩუქებ.

ბესომ მიიხედ-მოიხედა და მხოლოდ ეხლა შენიშნა, რომ

მთელი გამოქვაბული მოფენილი იყო ოქრო-ვერცხლით და სხვა-
და-სხვა ძვირფას ნივთეულობით.

— ნეტავი ვიცოდე, რითი შემიძლიან შენი შველა!.. წარ-
მოსთქვა ბესომ, რომლის გული ამ წამს სიბრალულით იყო
სავსე.—მიბრძანე და, თუ რამ შემიძლია, მზათა ვარ აღვასრუ-
ლო ყოველივე. მაგრამ, აბა, რა გამეგება! მე ვარ ერთი საწყა-
ლი პატარა მწყეესი... არც რამე მაბადია და არც ვიცი-რა, გარ-
და თხების ძოვებისა და მხიარული სიმღერებისა.

ამ დროს ბესომ უეცრივ თვალი მოჰკრა თავის ქალამნებს,
ცოტა შეფიქრდა, მაგრამ მაშინვე მსწრაფლად თავი მაღლა ა-
ღო და ალერსით უთხრა ახალგაზდას:

— აი, მე მაქვს ახალი კოხტა ქალამნები; მე ესენი ძლიერ
მომწონან; თუ ინებებთ, მომირთმევია თქვენთვის. მე ამათ ადვი-
ლად დავთმობ, ოღონდაც კი რითიმე გასიამოვნო შენა.

— არა, ჩემო ძვირფასო პატარა,—მიუგო ტანჯულმა ალერ-
სიანის ღიმილით: მე შენი ქალამნები არ მინდა... შენი სიკეთე
თავის დღეში არ დამავიწყდება, თუ ეცდები და მომაწოდებ ბო-
ლოს აგერ იმ ჯაჭვისას, რომელიც, ხედავ?—ჩემს პირ-და-პირ
მაღლიდგან ჩამოკიდებულია. მე ისე ვარ შებოჭილი, რომ მის
ხელ'ში ჩაგდება ჩემთვის სრულიად შეუძლებელია... და თუ რო-
გორმე მას ხელი ჩავავლე, მაშინ კი ბოლო მოეღება ჩემს სა-
შინელ ტანჯვა-მწუხარებას...

ბესო ეცა ჯაჭვსა, ასწია რაც ძალი და ღონე ჰქონდა და
მისი ბოლო ტანჯულს გაუშვირა, მაგრამ, საუბედუროდ, ჯაჭვი
მოკლე აღმოჩნდა.

— ოჰ, ბოროტნო სულნო! შესაზარის ხმით დაიღრიალა უბე-
დურმა. როდემდის უნდა მტანჯოთ მე ჩემის შეცოდებისათვის?
საუკუნენი გარბიან და სცვლიან ერთმანეთს და ჩემს ტანჯვა-
ვაებას კი დასასრული მაინც არსად უჩანს!..

— დამიგდე ყური, ჩემო კეთილო ბავშვო, და კარგათ დაი-
ხსომე ყველა, რაც გითხრა, უთხრა მიჯაჭვულმა პატარა მწყეესსა.
იცოდე, რომ თუ ემაგ ჯაჭვის ბოლო როგორმე ხელ'ში ჩავიგ-

დე, მაშინათვე დავამსხვრევ ჩემს ბორკილებს და კვალად თავისუფალი გავხდები... მაშინ მე ლუკმა-ლუკმა დავგლეჯ ბოროტ ძერას, რომელიც სწიწკნის და ჭვლეჯავს ჩემს საცოდავს გულსა. Iცოდე კი, რომ მთელი ჯაჭვი უნდა ერთნაირი იყვეს და უსათუოდ ძველის რკინისა. შეაგროვე ძველი რკინეულობა, საცა შეგხვდეს, გააკეთე სწორეთ ამ ნაირი ჯაჭვი სიგრძით ნახევარი ადლი და მომიტანე აქა. მაშინ ყველა ამ ოქრო-ვერცხლს, სუყველა ამ ძვირფას ნივთეულებათა შენ გაჩუქებ... მაგრამ, გაფრთხილდი... Iცოდე, რომ სხვამ არავინ არ უნდა შეიტყოს ეს ამბავი; არავის თვალმა არ უნდა იხილოს ამ ჩემი გამოქვაბულის კედლებიც კი...

მოისმინა ყველა ეს ბესომ, კარგად ჩაინერგა გულში ყოველივე სიტყვა მიჯაჭვულისა, და აღუთქვა მალე დაბრუნება ჯაჭვითა...

***

გამოვიდა თუ არა კლდიდამ, ბესომ იქვე იპოვნა თავის დაკარგული ფარა თხებისა... მალე იპოვნა სოფლის ბილიკიცა, რომელსაც დაადგა და მალე თავის სოფელში ჩამოვიდა. ნახულს და გაგონილზედ კრინტიც არავისთან დაუძრავს... Iს მხოლოდ იმას ფიქრობდა როგორ აესრულებინა დაპირებული, რაც შეიძლება მალე, და მით გაენთავისუფლებინა საბრალო მიჯაჭვული.

სამწუხაროდ, ამის აღსრულება ადვილი არ აღმოჩნდა. ბესო აგროვებდა ძველ რკინეულობას: ლურსმებს, ნალებს და სხვათა ყველგან, სადაც კი მათი მოპოვება შესაძლებელი იყო. მაგრამ გადიოდნენ თვეები და შეგროვილი ძველი რკინა ჯერ მაინც არ იყო საკმარისი ნახევარი ადლის ჯაჭვის გასაკეთებლად. ბოლოს, თითქო მოწყალეს თვალით მოხედა ღმერთმა ბესოსა.. მრთხელ, ჩვეულებისამებრ, ბესო მიწასა სთხრიდა სოფლის ნაპირას და უცებ ისეთი დიდი ნაჭერი რკინა იპოვნა, რომ მარტო ეს იყო საკმარისი მისი აღთქმის განსახორციელებლად.

საშინლად გაეხარდა ბესოს. მაშინათვე სამჭედლოში გაჰ-

ქანდა და, რადგან მჭედლობა წინათვე იცოდა, ფაცა-ფუცით ჯაჭვის კეთება იწყო... საქმე ისე მარჯვედ მიდიოდა, რომ თვით ბესოს უკვირდა თავისივე ხელების ოსტატობა.

გააკეთა ჯაჭვიცა. ახლა ბესო ამ ჯაჭვს ზურგზედ წამოიკიდებს და გამოქვაბულისკენ გაჰქანდება.

დალამდა თუ არა, ბესო ჩუმათ გავიდა სოფლიდამ და მთებში მიმავალ ბილიკს გაუდგა. ის დარწმუნებული იყო, რომ ამ დროს მას ვერავინა ხედავდა. ის კი არა, სოფელში ბევრმა დაუწყო ბესოს თვალ-ყურის დევნება. შენიშნეს, რომ ის ისე გულმოდგინედ აგროვებდა ძველ რკინებს. იფიქრეს, ბევრი იფიქრეს, რას ნიშნავდა პატარა მწყეესის ამ გვარი ქცევა და ბოლოს გადასწყვიტეს: უთუოდ ბესოს ოქრო უპოვნია მთებშიო.

რამდენიმე კაცმა გადასწყვიტეს თვალ-ყური ადევნონ ბესოს და, როდესაც ეს მთაში ოქროს ჩამოსატანათ წავიდეს, ესენიც უკან წაჰყვნენ, შეიპყრონ იქ და ძალათი ოქროს ზოდების მადანი აჩვენებინონ. მიდიოდა ბესო ვიწრო ბილიკზედ და უკან ფეხაკრეფით მას ზემოთ მოხსენებული ოსები მისდევდნენ. დიდ-ხანს იარეს ამათ, ხან ალმა, ხან ჩალმა; ადიოდნენ ერთი მთიდამ მეორეზედ. ბოლოს, ცოტა არა, დალალვა იგრძნეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთელი ღამე ამ გვარ ხეტიალში გაატარეს... ბოლოს მტრედის ფრად ინათლა, ბესომ სპეტაკ-გვირგვინიანი იალბუზი დაინახა ახლოს... აი ის ხევიც, აგერ ის კლდე და ღრეებიც, რომელნიც მაშინ ერთმანერთს თითქო რაღაებსაც ეჩურჩულებოდნენ... ერთი ასიოდე ნაბიჯი კიდევ და ბესო გამოქვაბულში შეჰყოფს თავს.

ამ დროს დაქანცული და გაბრაზებული ოსები შემოეხვივნენ მწყემსს გარეშემო და, მოღერებულის ჯოხებით, მოსთხოვეს მას, რომ ამ წამშივე ეჩვენებინა მათთვის ნაპოვნი ხაზინა. ბესო, რომელიც ამ გვარ შემთხვევას სრულებით არ მოელოდა, საშინლად შეშინდა. ამავე დროს მას კარგათ ახსოვდა საბრალო მიჯაჭვულის სიტყვები, რომ გამოქვაბული მის მეტს არავის არ უნდა ენახა... დაუწყო ოსებს ვედრება, რომ თავი დაენებებინათ მისთვის, მაგრამ ჯიუტი ოსები ყურადღებასაც არ აქცევდნენ მის ხვეწნას და სულ ოქრო-ვერცხლის ხაზინას გაიძახოდნენ.

— ბეჩვენე ჩქარა ოქროს ხაზინა—უყვიროდნენ საცოდავ ბესოს ესენი—თორემ ამ ხანჯლებით სულ ლუკმა-ლუკმა აგჩეხავთ. და მართლაც უღერებდნენ მას გაშიშვლებულ ხანჯლებს.

საწყალ ბესოს თავ-ბრუ ეხვეოდა შიშისაგან.

— თავი დამანებეთ, მომშორდით, გამიშვით, ნუ დამიწყებთ თვალ-ყურის დევნას—იძახოდა ბესო,—და მაშინ მოგიტანთ ოქროს, იმდენ სიმდიდრეს, რომელნიც თავის დღეში თვალითაც არ გენახოთ.

— აჰა, ხაზინას მიაგენ განა?.. დაიძახეს ოსებმა: წაგვიყვანე ჩქარა, სად არის ოქრო? ჩქარა გვაჩვენე!..

ამ სიტყვებით მისცვივდნენ ბესოს, დაუწყეს ცემა და ძალათი გაიგდეს წინ...

მდუღარეს ცრემლით იწყო ტირილი ბესომ... მისი გული რაღაც უბედურებას გრძნობდა და თითქმის გულ-შეწუხებული მიათრევდა ფეხებს... აი, ის კლდეც... აგერ გამოქვაბულის კარებიც... ერთი წამიც და ის კიდეც დაინახავს მიჯაჭვულს ტანჯულსა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ, უცებ, საშინელის ხმით იგრიალა კლდემ, — მოსმენა შეირყა, უზარ-მაზარი კლდე გადმოვარდა და გრგვინვით თვალ-ჩაუწვდენელ ხეობაში დაეშვა... ყოველის მხრიდამ ხმა მოსცა მთამ და დიდ-ხანს გაგრძელდა შესაზარი გრიალი. ბესომ ერთი შეჰკივლა და უგრძნობელად მიწაზედ დაეცა.

***

მას აქეთ დახეტიალობს ის მთებში. საშინელის სახით, დაგლეჯილს კონკებში გამოხვეული, მხეცივით დარბის ტყეებში და იმალება ადამიანებისაგან... სცხოვრობს, როგორც ტყის ნადირი და იკვებება ნადირის მსგავსათვე. არც ახსოვს რამე და ვერც-არარასა გრძნობს... დაჰყურებს სამშობლო ქვეყნის დიდებულს ბუნებას, მაგრამ კი ვერა ხედავს მას. შეჰყურებს უთვალავს ვარსკვლავებს, მაგრამ ეხლა როდი-ღა ეჩვენებიან ისინი ცაში ანთებულ ცეცხლებათ. . მხოლოდ, როდესაც დაიხედავს ხოლმე ფეხებზედ, საშინელის ხარხარით გამოჰკრავს ხოლმე ტაშს და შესაზარის დაღრეჯილობით ხატავს თავის კმაყოფილებას... მას ჰგონია, რომ ახალი ქალამნები ისევ აცვია ეხლაც ფეხებზედ...

როდის მოხდა ყველა ეს, ოსებს არ ახსოვთ... დარწმუნებულნი კი არიან, რომ უბედური ბესო დღესაც დარბის იალბუზის ახლო-მახლო, თუმცა ის, კაი ხანია, აღარავის არ ურახავს...

***

ასე ამ გვარად დარჩენილა ხალხში და საშვილიშვილოდ ერთი შთამომავლობიდამ მეორეში გადადის ქავკასიონის მთებზედ მიჯაჭვულის გმირის ამბავი, რომელსაც ბოროტი ძერა გულს გლეჯდა...

საუკუნოები საუკუნოებს მისდევენ. სიცოცხლეს სიკვდილი მოსდევს და სიკვდილს სიცოცხლე. ხალხი ხალხსა სცვლის... მაგრამ დღემდე ცოცხალია და ხალხის მახსოვრობაშია ძველი ამბები, რადგან ამათში დამარხულია უდიდესი მისწრაფება ხალხისა და უკვდავი ჭეშმარიტება... დღემდე, როგორც ძველს დრო-

ში, იტანჯება ქავკასიონის კლდეზედ მაგრათ მიჯაჭვული ამი-
რანი, ცდილობს თავის ბორკილი აიხსნას, განდევნოს თავიდ-
გან მისი გულის დამაშხამებელი ძერა, რომ ციდამ მაცოცხლე-
ბელი კვარი ჩამოუტანოს ხალხს... მაგრამ ამაოა ყოველივე...
დღემდე, როგორც ძველად, ეს მაცოცხლებელი წმინდა კვარი—
ეს ერთად-ერთი სახსარი უკვდავებისა და განათლებისა—მხო-
ლოდ ზეცას არის ანთებული...

ანასტ. ერისთავისა

გორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა არის ფრინველი?

ოგორ ამ მვენიერებენ ბუნებას მრავალნი სხვა-დასხვა გვარნი ცხოველნი, რომელნიც სიცოცხლეს აძლევენ მობიბინე მინდვრებს, დაბურულს ტყეველებსა, და იპყრობენ ჩვენს ყურადღებას—ზოგნი თავიანთის მშვენიერის გარეგნობით, ზოგნი თავიანთის თვისებებით, ზოგნიც გალობითა, თუ სხვა-და-სხვა გვარ ჭიკჭიკით.

პირველში თავ-ბრუ გესხმის, არ იცი რომელს მიაქციო ყურადღება, რომელი გაშინჯო, მაგრამ შემდეგში კი, როდესაც ცოტათი შეეჩვევით ამ მოძრაობას, ყველაზედ მეტად ამ ცხოველთაგან ფ რ ი ნ ვ ე ლ ე ბ ი მოგეწონებათ.

ასე დამემართა მე და, მგონია, რომ თქვენც ეგივე დაგემართოთ; მართლა და, ესეც რო მოხდეს, აკ გასაკვირველი არა არის-რა.

შემკულნი მშვენიერის ფერადი, პრიალა ბუმბულითა, მხიარულნი, კმაყოფილნი, მოძრავნი, თავისუფლად მფრენავნი და მხიარულად მოგალობენი,—ფრინველები ბუნების სიმშვენიერეს შეადგენენ. მოაშორეთ ბუნებას ფრინველები და განქრება ბუნების ის მხიარულება და ის მშვენიერება, რომლითაც ამდენათ ვსიამოვნობთ.

მე სრულებითაც იმისათვის არ ვაქებ ფრინველებს, რომ თქვენ ისინი შეიყვაროთ; არა, მე დარწმუნებული ვარ, რომ უამისოთაც გიყვართ თქვენ ისინი... რამდენჯერ გამიგონია თქვენგან: „ოჰ, მშვენიერო ჩიტუნიავ!.. ოჰ, თავისუფალო ჩიტო!..“ შეჰნატრით იმათ და გაიძახით ხოლმე: „ოჰ, მე რომ ფრინველი ვიყო, მერცხალივით მაღლა ავფრინდებოდი იმ ქვეყნების დასანახავათ, რომლებზედაც ამდენს ამბობენ წიგნებში!“

დიაღ, დიდი ხანია, რაც ადამიანი ფრინველების ფრენას

შეჰნატრის. რამდენიმე საუკუნეა, რაც ადამიანი ჰფიქრობს ფრინველს მიბაძოს, როგორმე ფრთები მოიპოვოს, როგორმე ჰაერში ფრენა ისწავლოს. Oქვენ იქნება გაგეგონოთ, რომ ეს ცდა ცოტათი მაინც აღსრულებაში მოიყვანეს. სწორედ ერთი საუკუნეა მას აქეთ, რაც პილიატრი დე როზიე ავიდა ჰაერში მონგოლფიერის ჰაეროსტატით. ამ ასი წლის განმავლობაში ბევრნი ეცადნენ ამ უკანასკნელის გაუმჯობესობას, და იქამდის მივიდნენ, რომ ეხლა ჰაეროსტატით ადიან მაღლა ჰაერში, არამც თუ მარტო იმისთანა გამოჩენილნი და მამაცნი, როგორიც იყო პილიატრი დე როზიე, არამედ სუსტნი და მშიშარნიც კი. მაგრამ ჰაეროსტატი მაინც ფრთები არ არის. შედარებაც კი არ შეიძლება ამათი ერთმანერთს შორის.

ადამიანი ვერ იხმარს ჰაეროსტატს ისე მოხერხებულად და მარდათ, როგორც მაგ. ორი კვირის წიწილა თავის ფრთებსა. მერე რა უბრალო, მარტივი რამ შენობისაა ფრთა.

ფრთის ძვლებზედ, რომელნიც ჩვენს ხელებს მიემსგავსებიან, დამაგრებულია რამდენიმე რიგი ბუმბული და, აი, ესენი შეადგენენ ფრთას. ფრთის ბუმბულის რიცხვი 20-30-დეა. ესენი სხვა ბუმბულებზედ გრძელები არიან, ძვალში მაგრა ჩამჯდარნი არიან და აქეთ-იქით არ იხრებიან. ბაჰშლის ფრინველი ფრთას, ორიოდჯერ ერთი ერთმანერთს შემოჰკრავს და აფრინდება. აი, როგორ სიმარტივესა. ვხედავთ ჩვენ ყველა ამაში; ასე გეგონებათ,—კმარა ადამიანმა თავის ხელებზედ დიდრონი ბუმბული შეისხას, შემოჰკრას ერთი ერთმანერთსა და კიდეც აფრინდებაო... დიალ, იყვნენ კიდეც მაგისთანა სულელები, რომელნიც იკეთებდნენ ხოლმე ფრთებს, მაგრამ ორ გოჯზედაც ვერ ასცილდებოდნენ ხოლმე დედა-მიწას; მაშინ სხვა ხერხსა ხმაროობდნენ ისინი: ავიდოდნენ ხოლმე ხეზედ, ხეზედ გაშლიდნენ თავიანთ მიბმულ ფრთებსა და ძირს ვარდებოდნენ; საქმე მით თავდებოდა, რომ ამის მომქმედი ან ფეხს იმტვრევდა, ან ხელსა და ხანდისხან უარესიც ემართებოდა—თავის სიცოცხლესაც ზედ გადაატანდა ხოლმე. ყველა ამ გვარ ცდათა ის კი ემჯობინებოდა, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავ-და-პირველად, მინამ საქმეს ხელს მიჰყოფდნენ, ის საიდუმ-
ლო მიზეზი გაეგოთ, რომელიც ასე მშვენიერად ხელს უწყობს
ფრენაში ფრინველსა.

მე აგიხსნით თქვენ ამ საიდუმლოს, რომ თქვენც არ გაი-
კეთოთ ფრთები და არ დაიწყოთ იმგვარი ფრენა.

ეს საიდუმლო ადვილი გასაგებია. სცადეთ შემდეგი: შე-
დით სამზარეულოში, აიღეთ ახალი დაკლული, გაპტკენილი,
გამოუწლელი ქათამი, მოსჭერით ფრთა სწორედ იმ ალაგას,
სადაც ეს უკანასკნელი ტანთან ერთდება. ბადაჭრილ ყაყრან-
ტოში გაუკეთეთ შუშის მილი; ჩააგდეთ ქათამი წყალში, მაგრა
ჩაბერეთ შუშის მილში და უყურეთ: იმ ალაგიდამ, სადაც გა-
დასჭერით ფრთა, წყალში ჰაერის ბუშტები გამოჩნდება; რომ
არ ჩაჰბეროთ, ის ბუშტებიც აღარ გამოჩნდება წყალში. ცხადია,
რომ ჰაერი ქათმის სასუნთქი ყაყრანტოდამ ნელ-ნელა ფრთის
ძვალში გადის.

ახლა ამავე ქათამს რო ფრთხილათ მუცელი გაუჭრათ, დაი-
ნახავთ: კუჭს, ნაწლავებს და სხვა შინაგან ორგანოებს; გარდა
ამისა, ამათ შუა ჰაერით სავსე პატარ-პატარა პარკებსა (ბუშ-
ტებს). აი, სწორედ ესენია ის საიდუმლო მიზეზები, რომელ-
ნიც ესე ხელს უწყობენ ფრინველს ფრენაში. ფრინველის მთე-
ლი სხეული სავსეა ამ გვარი პარკებით, ამათით ავსებულია ყვე-
ლა ცარიელი ალაგები სხვა-და-სხვა ორგანოებს შუა. ეს პარკე-
ბი მილებით ფილტვებს უერთდებიან. ამათგანვე გატანილია მი-
ლები ფრთების, ფეხების და თავის დიდ-ონ ძვლებში. ამ ძვლე-
ბში ქონი, ანუ ტვინი, როგორც ჩვენ ვუწოდებთ, სრულებითაც
არ მოიპოვება.

ჰაერი, რომელსაც ფრინველი ჰსუნთქავს, ყაყრანტოში მი-
დის, იქიდგან ფილტვებში, ფილტვებიდგან ჰაერით სავსე პარ-
კებში და აქედგან კიდევ ფრთის და ფეხის ცარიელ ძვლებში. აი
ეს იყო იმის მიზეზი, თავ-მოჭრილ ქათმის ყაყრანტოში რომ
ჩაჰბერეთ მილით და მოჭრილ ფრთის ადგილიდგან ჰაერის ბუშ-
ტები გამოვიდნენ.

ამიტომაც ფრინველის მთელი სხეული სავსეა ჰაერით, რამ-დენიც მეტად გაიბერება ფრინველი, რამდენსაც მეტს შესუნთ-ქავს ჰაერს, იმდენად დასუმბუქდება იმის სხეული, ასე რო ადვილად და თავისუფლად შეეძლება თავის ფრთების საშუალებით ჰაერში მოძრაობა.

მხლა თქვენც იცით რა საიდუმლოებაᲐ ფრინველის ფრენაში. აი რის გამოც ადამიანს ვერ უფრენია ჰაერში. რაც უნდა ეცადოს, იმის სხეულის ჰაერით ავსება შეუძლებელია.

ფრინველს ფრენაში ბევრს შველის ბუმბული, რომლითაც შემოსილია მთელი იმისი ტანი. გაგეგონებათ, როგორ ხშირად ვამბობთ ხოლმე, როდესაც ჩვენ გვინდა რომელიმე საგნის მეტის-მეტი სისუმბუქე გამოვხატოთ: „ეს საგანი სუმბუქია, ბუმბულისაებ სუმბუქიაო“. მართლაც, ბუმბული საშინელი სუმბუქი საგანია. ბუმბული ადიდებს და ამასთანავე ასუმბუქებს კიდეც ფრინველის სხეულს. ამის გარდა, ბუმბული იცავს ფრინველს სიცივისა და სიცხისაგან.

ფრინველის ბუმბული ბევრ-გვარი და მრავალ-ფეროვანია; ამიტომ ადამიანს ყოველთვის უყვარდა ფრინველის ბუმბული და ამასთანავე შენატრიდა მას. ამერიკაში, აფრიკაში და ავსტრალიაში ფრინველის სიმშვენიერით გატაცებულნი ველურნი ხალხნი ცდილობდნენ დამსგავსებულიყვნენ მათ და ამიტომაც ფრინველების ბუმბულებისაგან სხვა-და-სხვა სამკაულებს იკეთებდნენ, რადგან ქსოვილებისა და ლითონის შემუშავება არ იცოდნენ.

ნუ თუ თქვენ არას დროს არ შესტრფიხართ ფრინველის ბუმბულს? ნუ თუ თქვენ არას დროს არ შეგიმოსავთ ამ მშვენიერის პრიალა ბუმბულებით თქვენი ქუდი? ნუ თუ არას დროს არ დაჭკვირებიხართ იმ მშვენივრად შემკობილს ბუმბულს, რომელიც თავის სიმშვენიერით მარტო პეპელის ფრთას და მრავალ-ფეროვან ცისარტყელას შეიძლება შევადაროთ?.. ასე რომ, როდესაც გკითხონ, რა არის ფრინველიო, ასე უპასუხეთ: იგი არის უმშვენიერესი ქმნილება, შემოსილი ბუმბულითა და გავსებული ჰაერით; უპასუხეთ, რომ იგი არის ჰაერის ნაწარმოები, რომე-

ლიც გასაკვირველის სიმარდით მოძრაობს ჩვენ დედა-მიწაზედ მთლად შემოზღუდულს ჰაერში.

მაგრამ ეს ცოტა სიცრუე იქნება ჩემის მხრით. ფრინველი ისეთივე ნაწარმოებია დედა-მიწისა, როგორც მე და თქვენ. ამიტომაც ფრინველისათვისაც ისე საჭიროა დედა-მიწა, როგორათაც ჩვენთვის. ფრინველი, რაც უნდა მაღლა ჰფრინავდეს ჰაერში, მაინც კიდე თვალი დედა-მიწაზე აქვს. ბინახავთ როდისმე როგორ დაჰფრინავს ჰაერში მშვენიერ ზაფხულის დღეს უზარ-მაზარი არწივი? დაწექით გულ-ალმა მწვანეთ მობიბინე მინდორზე და უყურეთ.

აგერ იქით, შორს, ჰაერში ლრუბელნი დასცურავენ... არწივმა მიაღწია იმათამდის, ავიდა უფრო მაღლა, მაღლა... აი, ძლივს-ღა მოჩანს კიდეც. ის უშველებელი ფრინველი ერთ შავ წერტილად გარდაიქცა. მერე რა განუსაზღვრელ სიშორეზეა იგი ჩვენგან! იცით, ჩვენ და იმას შუა ერთი ხუთი ვერსი მაინც იქნება. იცით მერე, რათ ფრინავს იგი იმ სიმაღლეზედ?—იმიტომ რო მშიერია და უნდა იქიდგან დაზვეროს ან კურდღელი, ან კრავი.

მაგრამ მარტო საშოვრის პოვნა არ აყვარებს არწივს დედა-მიწას. იგი დედა-მიწაზედ ისვენებს, დედა-მიწაზედვე სალ კლდეებში ან უზარ-მაზარ მცენარეებზე იშენებს სადგომსა. ყველა ფრინველი პატარაობისას დედა-მიწაზეა ხოლმე; ამაზედ მეტსაც გეტყვით: ფრინველზედ მომეტებულად არა ქმნილებას არ უყვარს დედა-მიწა. ისე არავინ არ ნაღვლობს სამშობლოსათვის, როგორც ფრინველი, რომლის თავისუფალ ფრენას ასე შენატრის ადამიანი.

თვით ცხოვრება ფრინველისა დიდათ საგულისხმოა ადამიანისათვის. ჩვენდა უნებურად, მრავალი ამის თვისებანი იზიდვენ ჩვენს ყურადღებას. ავიღოთ, მაგალითად, ფრინველის ბუდე. როგორის ხელოვნებითაა აშენებული იგი! რა რიგათ უყვარს თავის ბღარტები, როგორის მეცადინეობით ჰპოულობს და მიაქვს იმათთან საზრდო. როგორს გმირობას იჩენს იგი, როცა მას

ხანდისხან მაზედ ბევრად ლონიერი ფრინველი, ანუ ნადირი თავს ეცემა, რომ შვილები მოსტაცოს.

ბანა არ მიგიქცევიათ ყურადღება ამათ მოგზაურობისათვის შემოდგომაზედ და გაზაფხულზედ?

ვინ იყო სიმღერის ჩვენი პირველი მასწავლებელი? ვინ გაგვაგონა ის უმშვენიერესი ხმები, რომლითაც შემკობილია მთელი ბუნება?—სულ ფრინველმა.

ცხადია, რო ფრინველი ერთი იმ ცხოველთაგანია, რომელსაც ჩვენს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობა აქვს. ფრინველში შეერთებულია იმისთანა უმშვენიერესი თვისებანი, რომელნიც არა ცხოველში არ მოიპოვებიან. აი, ამიტომაც ადამიანს ყოველთვის უყვარდა და დაზდევდა ფრინველს. ამაოდ არ ჩაიარა ამ სიყვარულმა, რადგან ფრინველი ადამიანისათვის ყოველთვის სასარგებლოა და მასთან ყოველთვის ალხენს მას.

ბადაათვალიერეთ ყველა ფრინველები: მოიპოვება თუნდა ერთი ამათში, რომელიც მტერი იყოს ადამიანისა? ვერც ერთს ვერ იპოვნით ამისთანას. მაშ გამოვიკვლიოთ ეხლა—რა გამოსადეგია ჩვენთვის ფრინველი.

ა) ამათი ხორცი ადამიანისათვის გემრიელი საჭმელია.

ბ) ბუმბული ჩვენთვის ბევრ-გვარად სახმარია.

გ) რით შეგიძლიან შესცვალოთ ქათმის კვერცხი თქვენს სამზარეულოში?

დ) ფრინველები ურიცხვ მწერსა ჭლეტენ, რომელნიც მეტად მავნებელნი არიან ვენახისა, ბალისა, ტყისა და მინდვრისათვის.

ე) ფრინველები დიდათ გვასიამოვნებენ გალობით.

ვ) ფრინველებზედ ნადირობს ხოლმე ადამიანი.

ესეც კმარა, რომ ვთქვათ: არა ცხოველი არ არის ისეთი გამოსადეგი ადამიანისათვის, როგორც ფრინველი.

შეუძლებელია ერთბაშად გამოთქვას კაცმა ყველა ის, რითაც დავალებულნი ვართ ამ ცხოველისაგან. ამისათვის საჭიროა შესწავლა ფრინველისა. ეს კი ძალიან ადვილი მოსახერხებელია და ამასთანავე სასიამოვნო და სასარგებლო.

ჯერ მე პატარა ვიყავი და მასწავლებელიც არ მყავდა, რო-
დესაც შემიყვარდა თავისუფალი ჩიტუნია. იმ დროს არავის არ
უამბნია ჩემთვის ყველა ეს, რაც მე ეხლა თქვენ გიამბეთ.

თუმცა ძალიან მიყვარდა ფრინველები, მაგრამ ამასთანავე
მრავალი უბედურებაც მიმიყენებია იმ საწყლებისათვის, ასე რომ,
ეხლაც რო მომაგონდება ჩემი მოქმედება, მრცხვენია. რამდენი
დამიჭერია და დამიმწყვდევია გალიაში!

«რა შეუბრალებელი ყმაწვილიაო» ამბობდნენ ჩემი მშობ-
ლები და ნათესავები ჩემზედ.

«რათ სტანჯავ და ამწყვდევ მაგათ? ბანა შენ თვითონ გია-
მებოდა, რომ საპყრობილეში ჩაგსვან?..»

მე საშინლად მეჯავრებოდა ამისთანა სიტყვები. როდესაც
ჩემს ჩიტუნიებს გამოუშვებდენ ხოლმე გალიიდგან, საშინელი
ბრაზი მომიეიდოდა და გაჯავრებული უფრო მეტს ვიჭერდი.
მაგრამ, იცით რა გითხრათ! მე მტყუანი ვიყავ ამ შემთხვევაში,
თუმცა ისინიც კი, რომელნიც მე მიჯავრდებოდენ, არ იყვნენ
ყოველის მხრით მართალნი.

რადგან მე არ ვიცოდი ფრინველების მოვლა, ამის გამო
ბევრის უბედურობის მიზეზად გავმხდარვარ, ბევრი შემომკვდო-
მია ხელში; ამასთანავე ისიც უნდა გითხრათ, რომ გალია ამათ-
თვის სრულებითაც ის არ არის, რაც კაცისათვის საპყრობილე;
ამიტომაც ფრინველების გალიაში დამწყვდევის სიყვარული არ
არის ნიშანი შეუბრალებლობისა. რამდენი ფრინველი შეუძლია
დაიხსნას გალიამ ზამთარში სიკვდილისაგან! როდესაც გავიზარ-
დე, მაშინ მივხვდი, რისთვისაც მიჯავრდებოდენ უმფროსები:
იმისათვის რომ არ ვიცოდი ფრინველების მოვლა და ამის გა-
მო ბევრსაც ვლუპავდი საწყლებსა.

ეხლა მოვიდა დრო, როდესაც შემიძლია გავასწორო ჩე-
მი ყმაწვილობის შეცდომილებანი და, აი, ამისათვის დავიწყე
კიდეც თქვენთან ფრინველებზედ ლაპარაკი.

თუ თქვენშიაც მოიპოვება ამ გვარი შეცოდებანი, მაგა-
ლითად, ჩიტების დაჭერა, გალიაში დამწყვდევა, მაშინ მე გან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაგრძობ ჩემს ბაასს თქვენთან. ნელ-ნელა, დაწვრილებით გიამბობთ შემდეგში, როგორ უნდა დაიჭიროთ ფრინველები, როგორ შეინახოთ ისინი უენებლად გალიაში, როგორ შეისწავლოთ მათი ბუნება, ჩვეულება; როგორ მიიჩვიოთ, გაამრავლოთ ბაღებში, ბოსტნებში; როგორ დაიცვათ მტრისგან, როგორ ასწავლოთ გალობა, როგორ გაამრავლოთ შინაური ფრინველი და სხვა ამ გვარები. ბევრს, ძალიან ბევრს გიამბობთ თქვენ ფრინველებზედ, თუ ყურს დამიგდებთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ყრმას

ევრს რომ ვერ გეტყვი მცირე-წლოვანსა,
მისთვის მაწვება გულს კაეშანი... *)
მაგ სიყრმეს ნორჩსა, ყვავილოვანსა
ვიცი რაც მოსდევს... კვნესა, ხვნეშანი...

*
* *

ძვეყნად ბევრია დაუნდობელი,
ხშირად შეგარყევს შენ დრო და ჟამი,
და დაგმწარდება ეს აწინდელი
თვით ნათელი დღე და ტკბილი წამი...

*
* *

სანამდის სცელქობ, ესეც გახსოვდეს:
როცა ცხოვრების გზას შეუდგები
და მის ტალღები შეგეხლებოდეს,
შენ იცი, როგორ მტკიცედ დადგები:

*
* *

ნურცა დაჰკარგავ უმანკოებას,
ნუ გასდევ სოფლის ამაოებას,
და შეუდექი კეთილის საქმით
ქაცთადმი კაცის მოვალეობას...

ვ. კვიცარიძე

*) კაეშანი—მწუხარება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მელიას ცულლუტობა *)

III

ივიდა ქატა მელიასთან და უთხრა:

— ბატონო მელია! ლომს ძლიერ ენატრება თქვენი ნახვა; მე დამბარა, მოვიდეს და მნახოსო და, თუ წაბრძანდებით, ჭეშმარიტად ფრიად გაახარებთ; ის ამ ჟამად თავის სახელმწიფოს საქმეებშია გართული და თქვენ შეგიძლიათ დაეხმაროთ თქვენი გონივრულის რჩევით.

— რაღა თქმა უნდა, მეფესთან ხლება და მისი სამსახური სიტყვითაც და საქმითაც გასახარელია ჩემთვის, მაგრამ, ჩემო ქატუნია, რადგან ღმერთმა შენი თავი ჩემს ოჯახში მაღირსა, მინდა უპურ-მარილოთ არ გაგიშვა და ყველაზედ უწინ ამ სურვილს ავისრულებ.

— არა, სჯობია წავიდეთ, უთხრა ქატამ.

— აი, მაგრამ ღამეა და როგორ შეიძლება ეხლა წასვლა, ვინ იცის, გზაზე რა შეგვემთხვევა: შეიძლება ნადირს რასმე შევხვდეთ გზაზე და უბედურებას გადავეკიდოთ. ამაღამ აქ ვიყოთ ჩემსას, ლაზათიანად ვახშამს შეეექცეთ, მშვენიერ კიპრუჭს მოგართმევ, და ხვალ ატონთან წავიდეთ.

ქატას ვახშმის ჭამის უარი არ უთქვამს, მაგრამ კიპრუჭის დაპირება-კი ვერაფრად ეპიტნავა და მიუგო:

— მე თაფლს არ გიახლები, არ მიყვარს... თაგვებს რომ მიშოვნიდე...

— რამდენიც გინდა! მეტი რა არის აქ? ასე გეთქვა აქამდის... აი, ჰხედავ იმ სახლს? იმაში ერთი მდიდარი გლეხი ჰსცხოვრობს; სახლის უკან ბეღელი უდგია, აუარებელია იმაში თაგვები, გადაგრევს იმათი ნახვა: თამაშობენ, დარბიან, ხტუნაობენ,

*) იხ. <ნობათი> № 1.

წრიპინობენ... წამოდი, წავიდეთ იქ, დაიჭირე და ჰსჯაბ-ოლ-ოლ
დენიც გინდოდეს; დამშლელი კაცი არ არის, კიდეც დაგი-
მადლებენ.

წინა დღეებში მელიამ ამ გლეხის ეზოში საძროომი გაიკეთა, შეიპარა შიგ და ერთი კარგი ინდაური მოიტაცა. ეს რომ გლეხის უფროსმა ვაჟმა გაიგო, დაიჩემა უსათუოდ უნდა დავიჭირო ის წყეული მელიაო. წავიდა, მოძებნა მისი საძროომი და მახე დაუგო — მაყურჭად ბაწარი გაუკეთა საძროომში, რომ მელია თავით გაბმულიყო შიგ. ეს ამბავი მელიამ იცოდა. წაიყვანა ქატა და მიიყვანა იმ საძროომთან. ქატამ რომ ჰკითხა, საშიშო ხომ არაა აქ გაძროომაო, იმან უთხრა: სრულებით არაო, დღეს დილას მე თვითონ გავძვერი აქ, მაგრამ ხომ ჰხედავ არაფერი მომწვეიაო. ღმერთმა შეგარგოს და შენ რომ იქ თაგვებს შეჰსჭამ, იმდენი შენ თვალითაც არ გენახებაო.

დაუჯერა ქატამ, შეჰყო თავი საძროომში და ფეხით მახეში გაება. მელიამ იმ წუთშივე შინისაკენ მოჰკურცხლა. საწყალმა ქატამ საცოდავათ დაიწყო ჭყავილი. მის ჭყავილზე გამოცვივდნენ გლეხის სახლიდგან დიდი და პატარა, შეჰქნეს ერთი ვაიუშველებელი, მიაშურეს იქითკენ, საიდგანაც ხმა მოდიოდა, და ჩვენი ქატუნია მახეში გახლართული ნახეს.

— ჰხედავთ ამ წუწკს, თურმე ეს ყოფილა ჩვენი ამოომგდები! ამან მოგვტაცა თურმე ინდაური! ეს უნდა იყოს, ჩვენ საქათმეში რომ დაიპარებოდა! იძახოდა გახარებული პატარა გლეხი.

ბევრი უთაქეს საწყალს ქატუნიას: თვითონ გლეხმა ჯოხი დაჰკრა თავში, მისმა პატარა ბავშვებმა იმდენი ჰსცემეს წკეპლებით, რომ სულ აჭყავლეს საბრალო. ბლეხის ცოლსაც არ დაუკლია ხელი, იმანაც რამდენიმეჯერ ტუჩზე დაჰკრა წკეპელი, რატომ შემიჭამე ჩემი ნაჭირნახულევი ინდაურიო. ცოტა დაკლდათ, კინალამ მთლად სული ამოახდინეს. მაგრამ, მისდაბედათ, საზოგადო ფაცა-ფუცის დროს, გლეხმა ისე ახლოს გაუარა ქატას, რომ მოასწრო და გამწარებულმა კანჭზე უკბინა მაგრათ. ბლეხმა „ვინ-ხარ მამაცი“ შეჰქნა. მაშინ ყველა იმას

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიცვივდნენ, შველა მოუნდომეს, და ამ დროს ქატამ, როგორც იყო, თავს უშველა.

ეს ამბავი ლომმა გაიგო და საოცრად გარისხდა; მაგრამ მაჩვმა მოახსენა:

— ნუ ინებებთ, დიდებულო მეფევ, მაგ-რიგად გარისხებას, მოითმინეთ ცოტა. ბიძა-ჩემი თვითონ გიახლებათ თქვენს წინაშე და ყველაფერს მოგახსენებსთ; მაშინ გაიგებთ ნამდვილსა. ამ წამში გადავცემ თქვენს ბრძანებას, რომ დაუყოვნებლივ თქვენთან გამოცხადდეს.

მართლაც მაჩვი წავიდა ძელიასთან, ურჩია ლომთან მისვლა და დააჯერა.

— აბა, თუ ბიჭები არიან, რომ მიჩვიან, ახლა გაჰბედონ და ჰსთქვან ჩემის თანა-დასწრებით, რაც რამ სათქმელი აქვთ, ჰსთქვა ძელიამ: იმათ ვაჩვენებ სეირს. წამოდი, ჩემო ძმის-წულო, წავიდეთ ლომთან, თვალი ავუხვიოთ მასა და მის კრებას და მერმეთ ვიცხოვროთ ლამაზად, ვიქეიფოთ, სულ „მრავალ-ჟამიერ“ ვიძახოთ.

IV

ძელია თამამად გამოცხადდა წინაშე კრებისა და ასე მოახსენა ლომსა:

— დიდი ყურადღება და მოწყალება მახსოვს თქვენი, დიდო, ბრწყინვალეო ლომო! თავის დღეში არ დამავიწყდება, რაც თქვენ ჩემთვის ბედნიერება მოგინიჭებიათ და, როდესაც მოვკვდები, ეს ხსოვნა გულში ნუგეშად ჩამყვება სამარეში. მეც ყოველთვის ერთგული გახლდი თქვენი; თქვენს სამსახურში მუდამ იმას ვცდილობდი, რომ თქვენი მორჩილება და ჭეშმარიტება ყოფილიყო ჩემი ხელმძღვანელი. ამიტომაც ბევრი მტერი გადვიკიდე, რომლითაც ჩემი გაუბედურება ჰსურსთ და მოსაკვლელადაც არ დამზოგვენ, ხელში რომ ჩამიგდონ სადმე. მაგრამ იმედი მაქვს, რომ თქვენი სიბრძნე და კეთილი გული დამიფარავს: თქვენი მართლ-მსაჯულობის შემხედვარე ვარ, ბატონო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ენა-კი მოუცია ღმერთს შენთვის, სხვა სიკეთე თუ არ-ეროვნული ბიბლიოთეკა
უთხრა მელიას მეფემ: ვინ დაჰმართა დათეს იმისთანა საქმე? ქატას ვინ-ღა დააყენა ჯოჯოხეთის დღე? ვინ არის, რომ აღუშფოთებია ყველა ჩემი ქვეშევრდომები? მამლის ტირილმა რომ ქვა დაადუღა, ვინ აატირა ის ასე მწარედ?

— ბატონო მეფევ, მიუგო მელიამ,—ჯერ ინებეთ მოხსენება, საქმე როგორ იყო: დათვმა თვითონ მიაგო თავის თავს, რაც მოუვიდა. როგორ არა ჰრცხვენია, რომ თაფლის მოპარვა განიზრახა და ქურდობაში შეისწრეს! ქოფაქობა და გაუმაძღრობა ისეთი ნაკლულევანებაა, რომ არავის ხეირს არ დააყრის თავის დღეში. დათეს, ბატონო, ჩხუბი მოუვიდა სკის პატრონთან: თაფლი კი არა, კინაღამ თავიც დაავიწყეს. შიშის ზარი დაეცა საწყალს, დაჰსჭრეს კიდეც და მაგის ბედი, რომ როგორღაც გამოქცევა მოახერხა და ამითი თავს უშველია... ჩემი რა ბრალია?.. ქატის ამბავიც ამ გვარად გახლდათ: სხვის ბელელში ნავარდობა მოინდომა და იმის გულისათვის ლაზათიანად გაბერტყეს. მე რა ბრალი მედება, არ ვიცი?

მოთმინებიდგან გამოვიდნენ ყველა მხეცები, ამ ნაირი სიცრუე რომ გაიგონეს მელიასაგან, და ერთხმად შეჰქნეს ბღავილი: „სტყუის ეს ბოროტი, სტყუის! ჩამოხრჩობის ღირსია ეს არამზადა!“

ბევრი ეცადა მელია, მაგრამ ისეთი გამამტყუნებელი საბუთები წარმოუდგინეს, რომ მის გამართლებას აღარა ეშველა-რა.

სასტიკი განჩინება დაადგინა ლომმა: მელია ჩამოხრჩობილ იქმნეს.

მაშინ კი დაინახა მელიამ, რომ საქმე ცუდათ წავიდა და შეეშინდა. მისი მტერნი-კი სიხარულს მიეცნენ. მგელი, დათვი და ქატა ძლიერ იჩქაროდნენ, რომ განჩინება, რაც შეიძლება, მალე აღსრულებაში მოსულიყო.

დანიშნულს დროს აუარებელი ნადირი მოჰგროვდა იმ ადგილს, სადაც უნდა ჩამოეხრჩოთ მელია. თვით ლომი, და მისი მეუღლეც მობრძანდნენ. მოიყვანეს დამნაშავე, რომელმაც უკა-

ნასკნელი სიტყვის ნება ითხოვა სიკვდილის წინეთ და, როდესაც ნება დართეს, დაიწყო:

— ძმანო და მეგობარნო! ეს არის ერთი ფეხი სამარეში მიდგია და მოვმიტევეთ, თუ რამ შეცოდება მიმიძღვის ვისმესთან. ბავტყდები და ჩემის ცოდვილის პირით ვიტყვი ყველაფერს და თქვენ ყური დამიგდეთ: ჩემი სიტყვა მოძღვრობად გამოგადგებათ, ავის და კარგის გზას გასწავლისთ. მე, ჩემო ძმებო, პატარაობიდგანვე შევეჩვიე თამაშობაში და ხუმრობაში სხვისი კბილის გაკვრას. ერთხელ პატარაობისას ერთს წიწილასთან დავრჩი მარტო, დავუწყე მას თამაშობა და ხუმრობა; ხუმრობაში აკი შემომეჭამა! მაშინ ვსცანი, რომ წიწილას გემრიელი ხორცი ჰქონია. არ ვიცი კი, რამ მაფიქრებინა სხვისი ხორცის ჭამა... ვინ იცის, რამდენი სული გვიმსხვერპლებია მე და მგელსა! ბევრი ნავარი გვიქმნია მე და იმას, მაგრამ ბევრჯერაც მოვტყუვებულვარ მისაგან, ბევრი შეურაცხება მინახავს მისაგან და ბევრიც დამკლებია. რა მეშველებოდა აქამდის, რით ვიცხოვრებდი, რომ დიდი ხაზინა არ მქონოდა?..

— რა ხაზინა გქონდა? მითხარ, ვინ მოგცა ხაზინა?

— ეჰ, ბატონო ლომო! ბევრი რამე მაქვს სათქმელი, თევზისა არ იყოს, მაგრამ „წყლითა მაქვს პირი სავსე“, მიუგო მელიამ: ჩემმა ენამ ცუდი როგორ უნდა სთქვას განსვენებულს მამა ჩემზე, მაგრამ რა ვქნა, ჭეშმარიტების სიყვარული და თქვენი ერთგულება რას არ გამაბედვინებს?.. თქვენი რისხვა ნუ მაქვს, მეფევ, ახლავე შემიძლია გამოვაშკარაო და დაგიმტკიცოთ, რომ თქვენ მოღალატენი გყავთ. თქვენ წინააღმდეგ შეთქმულობაა; არეულობა უნდათ მოახდინონ თქვენს საფლობელოში და თქვენი სისხლი დაანთხიონ...

ამის გამგონე ნადირთ-მეფის მეუღლე შეეხვეწა ლომსა, რომ მელიას ნება მიეცი და ყველაფერი დაწვრილებით ათქმევინეო, რადგან, ეტყობა, სიმართლეს ლაპარაკობსო. ლომი დაეთანხმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

V

დაიწყო მაცდურმა მელიამ ლაპარაკი და მეტად ხერხიანი სიტყვა ჰსთქვა. აღარავინ დაუზოგავს: არც მშობელი მამა, არც მაჩვი. „ბატონო! ერთხელ საცოდავმა მამა-ჩემმა დიდი ხაზინა იპოვა დაფლული. თქვენ, ბატონო, ხომ დიდი მწყალობელი ბრძანდებოდით ბისი, მაგრამ იმ საწყალს ეს კი აღარ გაახსენდა, ისე გაებნა გონება. ბაგზავნა მაშინვე კაცი დათვთან—ქატა გახლდათ მოციქული—შეატყობინა ეს ამბავი. საიდუმლოთ მოილაპარაკეს და გარდაწყვიტეს, რომ არეულობა მოეხდინათ. მაჩვი და მგელიც დაითანხმეს ამ საქმეზედ, იმათაც მონაწილეობა მიიღეს შეთქმულობაში. ყოველთვის თქვენი ერთგული ვიყავი და ახლაცა ვარ: ამ ამბვის გამგონეს ზარი დამეცა. ერთ ხანს ჩემს ჭკუაზედ ვერ მოვედი. მერმე ვიფიქრე, ვიფიქრე, როგორ ჩავშალოთ-მეთქი ეს საქმე და მოვიფიქრე, რომ უფულოთ იმათ შეთქმულობის სისრულეში მოყვანა არ შეეძლოთ, და გარდავწყვიტე ხაზინა გარდამემალა სადმე. წავედით მე და ჩემი ცოლი და მართლაც გარდავმალეთ სხვა ტყეში. ხაზინის დაკარგვამ მამა-ჩემი თან გადაიტანა: იმდენი იჯავრა მისი დაკარგვა, რომ ავად გახდა და მოკვდა. რალა უნდა ყოფილიყო ჩემთვის უფრო ავი ასატანი, ვიდრე მამის ამ გვარად სიკვდილი, მაგრამ ჩემ თავს იმით ვანუგეშებდი, რომ მეფე სიკვდილს გადავარჩინე...

ლომმა და მისმა მეუღლემ ხაზინის ხელში ჩაგდება მოინდომეს და მოსთხოვეს მელიას, რომ ეჩვენებინა, სადაც ხაზინა იყო შენახული. მელია უარზე დადგა: მაინც არაფერი ეშველება ჩემს საქმეს, ჩამოხრჩობა მაინც არ ამცილდება და, დაე, საფლავში ჩამყვეს ეს საიდუმლოება, არავის გავუმხელო. მაშინ ლომი დაერწმუნა მელიას, მისმა მეუღლემ დააჯერა:

— მელია თუ მართალი არ იყოს, თავის მამასაც არ დაასახელებდა. მაგისთვის უფრო ადვილი არ იყო სხვა ვინმე დაესახელებინა?

ლომმა აპატივა მელიას დანაშაულობა იმ პირობით, რომ ხა-

ზინა ეჩვენებინა მისთვის. მელიამ მოახსენა, რომ ჩემი სიტყვა ნამდვილი სიმართლეა; თუ არ დამიჯერებთ, წაბრძანდით, სადაც მე გითხრათ და, თუ იქ ხაზინა არ აღმოჩნდეს, მაშინ რაც გენებოსთ, ის მიყავითო.

მელიამ ასწავლა, სად იყო შენახული ხაზინა და ისიც უთხრა მეფეს:

— ამიერიდგან ეს საუნჯე თქვენ გეკუთვნისთ და ღმერთმა მოგახმაროსთ. მე თვითონ გიახლებოდი, მოახსენა მელიამ, მაგრამ ამის შემდეგ რაღა ჩემი საქმეა ამ ქვეყნიურს საქმეებში გარევა, სჯობია ეხლავე სულის საქმეს შევუდგე. აქედგანვე ვიწყო მზადება იერუსალიმში წასასვლელად და იქ ბერად შევდგე, რომ შევინანო, თუ რამ შეცოდება მაქვს და თქვენ თქვენის მეუღლის დღეგრძელობისათვის შეევედრო შემოქმედსა...

ამ სახით მელიამ განითავისუფლა თავი.

ალ. ჭიჭინაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაკაბაძე

(შაჰი აბასის საქართველოში შემოსევის დროიდან)

ვენი წმიდანის ქეთევან წამებულის მეფობის დრო დიდებული და მასთან უბედური საუკუნე იყო: თათრები, ლეკები, სპარსელები, ქისტები და სხვ. არ ასვენებდენ საქართველოს და ისე წელიწადი არ გაივლიდა, რომ სისხლი არ დაღვრილიყო სხვა-და-სხვა ხალხთან შეტაკებაში.

Ცხონებულმა დედოფალმა, როგორც იყო, დაამშვიდა, მოიგერა გარეშე მტერი და განზედ გასული თავად-აზნაურობაც შეირიგა, როდესაც მის-და-საუბედუროდ, გამაჰმადიანებული ბატონის-შვილი ქოსტანტინე შაჰი აბასის ჯარით საქართველოს მოადგა;—მიიწვია თავისთან თავისი მამა და ძმა: შაჰისაგან დაბარებული საქმე მაქვს და მინდა საიდუმლოდ შეგატყობინოთო. მივიდნენ. ქოსტანტინემ ტყეში სანადიროდ მიიწვია ისინი და იქ დაახოცვინა. შემდეგ მიუგზავნა დედოფალს მოციქულები, რომ, როგორც ჩემი ძმის ნაცოლარი, მაჰმადის რჯულით მერგები და მინდა ცოლად შეგირთოვო, ამასთან საქართველოს მეფობაც მე მეკუთვნისო.

ქეთევანი განრისხდა ამისთანა ურჯულოებით, მამაცად წინააღუდგა ქოსტანტინეს სურვილს და შეეტაკა. ქართველნი მამაცად იბრძოდნენ. ქეთევანი მათ შუა იყო და ჯარს ამხნევებდა. დასასრულ სძლია ქოსტანტინე, ჯარი დაუხოცა და, ვინც გადარჩა, საქართველოდგან განაძევა.

შაჰი განრისხდა ქეთევანზედ, შეაგროვა უთვალავი ჯარი, რომელსაც პატარა საქართველო ვერა ღონის-ძიებით ვერ გაუმაგრდებოდა, და გამოილაშქრა მაზედ. როდესაც ტფილისის ქა-

ლაქს მოადგა, ძეთევან დედოფალს მოციქულნი გაუგზავნა, ეუბნებდიო: სამტროდ კი არა—სამოყვროდ მოვსულვარო და თავისთან გაიწვია.

ძეთევანი რამდენიმე კაცით შაჰისაკენ გაემართა და გაჰყვა კიდეც მის სატახტო ქალაქს თეირანს. შაჰს ძეთევანი მოეწონა და მისი ცოლად შერთვა მოიწადინა, რაზედაც ძეთევანმა გარდაწყვეტილი უარი უთხრა. ბანრისხებულმა შაჰმა საბრალო დედოფალი შეუბრალებელ წამებას მისცა.

ასე ამ გვარად შესწირა თავის ქვეყანას თავი ნეტარ-ხსენებულმა დედოფალმა, და შაჰის ცოლობაზედ-კი არ დასთანხმდა, რადგან ამის ყემდეე შაჰის საქართველოში გაბატონება და ქართველთა გამაჰმადიანება აუცილებელი იქნებოდა.

მაგრამ არც ისე დაადგათ კარგი დღე ქართველებს. ბამძვინვარებული შაჰი-აბასი მოიქცა საქართველოზედ და დაუწყო სისხლის-ღვრა. ვინც მაჰმადიანდებოდა, იმას არას ერჩოდენ, მაგრამ რომელიც-კი მაჰმადის რჯულს უარს ჰყოფდა—აუცილებელი სიკვდილი მოელოდა.

—

ამ საერთო სისხლის-ღვრის დროს ძ. ტფილისში სცხოვრობდა ერთი საწყალი, ცოლ-შვილის პატრონი, თერძი, გვარათ ქაკაბაძე. ამისი მამა მეფის მონადირე ყოფილიყო და, თურმე, რამდენიც სანადიროდ წავიდოდა, სულ კაკბების მეტი არა მოჰქონდა-რა,—რის გამოც მეფემ ქ ა კ ა ბ ა ძ ე უწოდა.

ქაკაბაძე, როგორც ზემოთაც მოვიხსენიეთ, თუმცა, ღარიბი კაცი, მაგრამ მაინც ძალიან ხუმარა იყო. იმის ხუმრობა მთელს თერძებში განთქმული იყო. მუდამ მხიარული, ხუმარა ქაკაბაძე გულ-მოდგინეთ მუშაობდა და არ იყო ბედის მომდურავი. ოცდა-ერთის წლისამ ჯვარი დაიწერა და, ეხლა ოც-და-თორმეტის წლისა, მაინც არ გამოცვლილიყო, ისევ ის ხუმარა და ოხუნჯი იყო. შვიდს შვილში ღმერთმა მხოლოდ ერთი ქალ-ვაჟი შეარჩინა, რომელთაც დასტრფოდა და თავზედ ევლებოდა. ერთის სიტყვით ოჯახისათვის თავი გადადებული ჰქონდა.

როდესაც მუშაობით დაიღლებოდა და საღამოზედ შინ-კი ეიდოდა — გვერდით თავის თორმეტის წლის ნიკოს მოისვამდა და თავის ქვეყნის სხვა-და-სხვა კეთილ-მსახურთ თავ-გარდასავალს უამბობდა. ბედნიერი იყო ქაკაბაძე, როდესაც რომელიმე შვილი გააწყვეტინებდა სიტყვას და სხვა და-სხვა გვარის კითხვებით მიუბრუნდებოდა მას. ხან რომელიმე გმირის სიმამაცით აღტაცებული, გაკვირვებით წამოიძახებდა: „უჰ, რა ლონიერი ყოფილაო“ და ხან კიდევ, რომელიმე მამაცი გმირის უდროვო სიკვდილით დალონებული, სიბრალულით თავს ჩახრიდა და შენანებით ჩაიბუტბუტებდა: „საწყალია!“

დრო გადიოდა და საერთო კეთილ-დღეობისთვის თავის შეწირვა თორმეტის წლის ნიკოს თან-და-თან გულ-გვამში უჯდებოდა. რასაკვირველია, რომ ამისთანა ნიადაგზე აღზრდილი ბავშვი კარგს ნაყოფს გამოიღებდა.

ასე ტიტინებდა ქაკაბაძე ნიკოსთან, თითქმის შუაღამემდინ; მაშინ-კი ყველანი კმაყოფილნი დაიძინებდენ.

ერთი საკვირველი ხასიათი სჭირდა ქაკაბაძეს, რომლის ყველა მაყურებელი შტერდებოდა: როცა ყველანი მხიარულნი იყვნენ, მაშინ, თითქოს გაჯავრებულიაო — დალონებული და წარბებ-მოჭმუხვნილი იყო; მაშინ-კი, როდესაც შეატყობდა, რომ მის გარშემო დალონებულნი იყვნენ — გამხიარულდებოდა, შუბლი გაეხსნებოდა და ჩვეულებრივ ხუმრობას და ოხუნჯობას დაიწყებდა.

—

მაისის დილა იყო. ბრწყინვალე მზემ ტფილისზე უხვად გადმოფანტა თავისი სხივები. ბაღებში ვარდის ბუჩქები გაფურჩქნილიყვნენ და დილის გრილი სიო წყნარად არხევდა მათ ყლორტებს.

ტფილისის მცხოვრებნი გულ-დინჯად დასეირნობდენ ყაბახზე. კვირა დღე იყო. აქა-იქ დუქნებიდგან, — სამიკიტნოებიდგან უზრუნველი თავად-აზნაურების „მრავალ-ჟამიერის“ ხმა გამოისმოდა ტკბილს დუდუკთან ერთად.

ამ მხიარულს ხალხს ფიქრადაც არ მოსდიოდა, თუ რა განსაცდელი მოელოდა მათ და „ჩვენებურათა-ძველებურათა" ლხინსა და შექცევას ეძლეოდენ.

ძეთევან-დედოფალი შაჰთან იყო თეირანში და იმისი იმედი ჰქონდათ, რომ საქმე მორიგებით გათავდებაო.

სწორეთ ამ დროს შაჰ-აბასი ფრთხილად უახლოვდებოდა ტფილისს თავისის ჯარით. თუმცა დარწმუნებული იყო თავის გამარჯვებაში, მაგრამ, ცოტა არ იყოს, მაინც შიში ჰქონდა გულში. ქართველების მამაცობა არა ერთხელ გაეგონა და თვითონაც არა ერთხელა ყოფილიყო მოწამედ. რა საკვირველია, რომ განთქმულს სპარსეთის შაჰს ამის შემდეგ შიში ჰქონოდა გულში ქართველებისა.

მაგრამ მაინც აბასი იმ ნაირი კაცი არ იყო, რომ გულის თქმას გადაჰყოლოდა და უკან დაბრუნებულიყო. იგი ნეტარებით მოელოდა იმ წამს, როდესაც თავ-ზარს დასცემდა ქართველებს და ძეთევანის ჯავრს იმათზე ამოიყრიდა. მარტო ძეთევანის ჯიუტობით გაჯავრება არ იყო შაჰის გამოლაშქრების მიზეზი. იმას დიდი ხანია სურდა საქართველოს დაპყრობა, რომლის შემდეგაც სპარსეთის მშვიდობიანობაც კარგს საფუძველზე იქნებოდა დამყარებული. აი, ეს იყო სწორედ მიზეზი, რომ სპარსეთი უ-საქართველოდ გრუშად არა ღირდა, რადგან ღია ადგილი იყო და ამიტომაც მტრის შესასევად ადვილი, მაშინ, როდესაც საქართველო თავისი მაღალის მთებით სპარსეთსაც დაუძლეველ სიმაგრეთა ხდიდა.

დალამდა. სიბნელემ მოიცვა დღის სინათლე. შავი ღრუბელი ცას ზეწარივით გარდაეფარა. ხმა მოქეიფეთა შეწყდა და მათთან დუდუკის ზუზუნიც გაჰქრა. ვარსკვლავები ჩვეულებრივად არ მოჩანდენ ცაზედ; მთვარემ არ ამოჰყო თავისი ბრწყინვალე და კაშკაშა თავი და არ გადმოაფინა შუქის მომფენი სხივები წყვდიადით მოცულს ქალაქს, თითქოს წინათვე იგრძნო, თუ რა საშინელი დღეც უთენდებად ქართველებს, და არ უნდა უბედურების მახარობელად შეიქმნესო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისწყდა ყოველ-გვარი ხმაურობა, ჩაჩუმდა, მიიძინა ქალაქი-მარემ... მტკვარმა შესწყვიტა ჩვეულებრივი დუდუნი... ამ დროს რომ საქართველოს სატახტო ქალაქისათვის შეგეხედათ, გეგონებოდათ, რომ აქ ცხოვრება შემდგარა, ხალხი შემწყდარაო... გარშემო მდგომნი მთანი ჩანთქმულიყვნენ ღამის წყვდიადში და მათი ამაყი თავები აღარ მოჩანდა.

აგერ მამლის ყივილიც მოისმა, მას მოჰყვა მეორე, მესამე და, არ გაუვლია რამდენიმე წუთს,—ქალაქის ყოველის კუთხიდგან მოისმა ეს ყოველ დღის გათენების შემატყობინებელი ხმა, თუმცა მაშინ-კი უბედურის დღისა...

გარდაიწმინდა ნისლი და გამოჩნდა ტრედის ფერი ცა. რიჟრაჟებდა. ბაირღვა ცის საფარი, დაიყო რამდენიმე ნაჭრად და გაჰყვა ჰაერის მიმდინარეობას. ჰაერში წყნარად-მოცურავე ღრუბლები სხვა-და-სხვა გვარად სურათდებოდენ, თან-და-თან პატარავდებოდენ,—იკუმშებოდენ—და ცაში უკვლოდა ჰქრებოდენ. ბანქრნენ ღრუბლები და გამოაჩინეს ლურჯი ცა.

გათენდა.

გამოიღვიძა ხალხმაც, გამოეფინა ქუჩებში და გაიხმაურა. შეხედეს და, თქვენმა მტრის თვალებმა ნახოს, რაც მათ დაინახეს: სპარსის ურიცხვი ჯარი გარს შემორტყმოდა ტფილისს. ხალხი გაიქცა სასახლისაკენ, სადაც ჯერ არა იცოდენ-რა, და შეატყობინეს. იქაც დაფაცურდენ, წუთზე ჯარი შეაგროვეს და საომრად მოემზადენ.

სამი ათასამდე რჩეული ყმაწვილ-კაცები გამოვიდენ და სპარსეთის ჯარს დაუპირდაპირდენ. ერთი წუთიც და დაეტაკნენ ერთმანერთს; მაგრამ როგორც ერთი ცვარი წყალი ზღვას ვერ აამღვრევ-ააღელვებს, ისე ქართველებმა სპარსეთის ჯარი ვერ დასძრეს ადგილიდამ.

დამარცხდენ ქართველები, მოსქდა სისხლის ღვარი და მას დედებისა და ცოლების ცრემლიც მიემატა. შემოცვივდენ სპარსები და მთლად აიკლეს, მოაოხრეს, გადასწვეს მშვენიერი ქალაქი. ბამგელებულნი სპარსელნი არ ინდობდენ დედა-კაცს,

ყრმაწვილს, მღვდელს და მოხუცს—გაურჩეველადა ჰხოცდენ ეროვნული ბიბლიოთეკა კი ხელში მოხვდებოდათ.

დაეცნენ მოვაჭრე სომხების დუქნებს და სულ ფეხით გაიტანეს. შიშით დამფრთხალი ხალხი მთებსა და მინდერებს მოედვა.

მწუხარებაში ყოველთვის მხიარულს ქაკაბაძეს, დაავიწყდა თავისი ხუმრობა და თავის მოძმეების დარდმა გაიტაცა. მოაგონდა ცოლი, შვილები, თავისი სათუთად გაზრდილი ნიკო და ცრემლები მოერია თვალებში. პირველში თავ-დავიწყებულს ნაკადულივით ცვიოდა ცრემლი და ისიც უგრძნობლად ეძლეოდა ამ მწუხარებას და ცრემლს თავისუფლებას აძლევდა, მაგრამ შემდეგში-კი, როცა გონზედ მოეგო, გაჯავრებით მოიწმინდა თვალები, თითქოს თავს უსაყვედურებს და ეუბნება: „ვაქ-კაცს ტირილი არ შეშვენისო.“

შაჰ-აბასმა დაანგრია სიონი, აართმევინა გუმბათი და თავის სამეფო ტახტად გაიკეთა. მოაგროვა თავისი აქა-იქ დავლაზედ დაქსაქსული ჯარი და ავლაბრის ხიდთან დარაზმა. რამდენიმე ჯარის კაცი გაგზავნა და მოარეკინა დამფრთხალნი ქართველნი, გამოატანინა სიონიდგან მღვთის-მშობლის ხატი და შუა-ხიდზე დაადებინა. აქედგან თითო-თითო ქართველს უშვებდენ: ვინც მღვთის-მშობელს შეაფურთხებდა და შეურაცხებას მიაყენებდა, იმას უვნებლად გაუშვებდენ, ვინც არა და—ჯალათი ნაჯახით თავს მოაგდებინებდა და იქვე მტკვარში გადაუშვებდა.

ბევრი ცრემლი დაილვარა: ზოგი ქმარსა სტიროდა, ზოგი შვილს, ძმას, დედას, და ამ საერთო წუხილს და გლოვას ზედ ერთვოდა მტკვრის შფოთიანი შხუილი, რომლის ძირშიაც ურიცხვთა ხალხთა თავ-ტანნი უპატრონოდ ეყარნენ, და რომლის ტალღებიც, ქართველთა სისხლით შეღებილნი, ალის-ფრად მოგორავდენ.

ბევრმა უარ-ჰყო ქრისტე, ტკბილი სიცოცხლე ვერ გამოიმეტა და ჰგმო სარწმუნოება; მაგრამ უფრო ბევრმა მიიღო წამება რჯულისათვის და „სახელოვანი სიკვდილი“ არჩია „ნაძრახს სიცოცხლეს“.

ასე გადიოდა დრო და ერთის მსხვერპლის შემდეგ მეორე გამოჰყვანდათ: ან უნდა ურწმუნო მაჰმადიანად ქცეულიყო, ან არა და წამებული, რომლის სახელიც შვილის-შვილთა საამაყო მოსახსენებელად შეიქმნებოდა. დედა-კაცს, ბავშვს, მოხუცს— ყველას ეს კითხვები ეძლეოდათ, ეს არჩევანი ჰქონდათ მინიჭებული.

ბევრი უსუსური ბავშვი გამოიყვანეს, რომელსაც სარწმუნოებისა და რჯულისა არა ესმოდა-რა და, რასაც უბრძანებდენ, იმას ასრულებდენ და ამ წესით თავის ნორჩს სიცოცხლეს სიკვდილიდამ იხსნიდენ ხოლმე.

აგერ მოხუცი, თეთრის თივთიკის წვერით ყავარჯენზე დაბჯენილი გამოდის და სასოებით ემთხვევა მღვთის-მშობლის ხატს, რომლის გულისათვისაც მძვინვარე შაჰ-აბასის მსხვერპლი შეიქმნება.

მოხუცის შემდეგ წინ წამოაყენეს თერთმეტ-თორმეტის წლის ბავშვი და იგივე წინადადება მისცეს. ერთ-ერთს იმ დამსწრეთაგანს, ამის დანახვით ფერი წაუვა, წატორტმანდება და წინ მიიწევა. ბავშვის ყოველს ფეხის გადადგმას, ყოველს ნაბიჯს იგი თავის ამღვრეულს თვალებს ადევნებს, ყოველს წუთზე ფერი ათას გვარად ეცვლება, მისი გულის ცემა მის გვერდზედ მდგომებსაც კი ესმისთ; ესენიც მოეცალნენ და სიბრალულით დაუწყეს ცქერა; თავისი მწუხარება დააავიწყდათ; დააავიწყდათ, რომ იმათაც ის ხვედრი მოელით, ისე შეიპყრო ამ კაცის ნაღველმა ყველანი.

ბავშვი წინ წამოდგა, თვალი გადააელო ქართველებს, შემდეგ მიბრუნდა, წყნარად რამდენიმე ნაბიჯი წინ წადგა... ქვლავ შედგა და თვალი ჯალათის გასისხლიანებულს ნაჯახს მიაჩერა... შეხედა და შეჰზარდა, შეკრთა იმ კაცის შეხედულებით, რომელიც ამდენს ხალხს თავს აგდევინებდა და, მაინც გულ-გრილად გამოიყურებოდა, თითქოს კიდევ მსხვერპლს ითხოვსო...

„ოჰ, რა გულ-ქვა ყოფილაო!“ გაიფიქრა ბავშვმა და ზიზღით პირი მოარიდა. იგი იმდენად გონება გახსნილი იყო, რომ

კარგად იცოდა, რაც მოელოდა; იცოდა, რომ, თუ წმიდა ხატი არ შეურაცხ-ჰყო, აუცილებელი სიკვდილი მოელოდა. ამისთვისაც თვალი მიაჩერა ჯალათის ნაჯახს და შეჰზარდა, შეკრთა, სარწმუნოებას სიცოცხლის სიტკბოებამ სძლია; მაგრამ ხანგრძლივი არ იყო ეს გრძნობა: წუთზე შემკრთალს ბავშვს მოაგონდა მამის ნაამბობი, — გმირების მამაცობა, სარწმუნოებისთვის თავგანწირვა, და ამ მოგონებამ ისე გაიტაცა, რომ ყოველისფერი დაავიწყდა: სად იყო და რა მდგომარეობაში. ბატაცებული მიბჯენოდა ხიდის მოაჯირს და გაწითლებულს მტკვარს დაჰყურებდა. ამ ყურებაში არც სიხარული გამოიხატებოდა, არც მწუხარება, რალაცა უგრძნობარი, გაქვავებული ცქერა იყო.

სპარსელთაგან ვილამაც დაუყვირა და ხელი ჰკრა, რომლითაც წინ წასვლას ანიშნებდა; — ამ ხელის კვრამ წუთზე დავიწყებული ბავშვი გამოაფხიზლა და წინ წავიდა, — ეხლა უფრო მტკიცის ნაბიჯით, ვიდრე უწინ.

მივიდა ხატთან, რალაცა უცნაურის ღიმილით, წუთს დააჩერდა მას, შემდეგ... წყნარად ჩაეკეცა მუხლები და გამშრალის ტუჩებით ზედ დააკვდა ღვთის-მშობლის ხატს.

ამავე დროს იმ კაცს, რომელიც ამღვრეულის თვალებით ხალხში იდგა, სიხარულის ღიმილი გამოესახა პირზედ და თავგანწირულებით მიიწია წინ, გაარღვია ჯარი და ხიდისკენ გაექანა: მოხვია ხელები ბავშვს და გულზედ მიიკრა.

იქით მხარეს რამდენიმე სპარსელს ეგონათ გაქცევას აპირებსო და დააპირეს მისი დაჭერა, მაგრამ ერთი ნაბიჯიც არ გადმოედგათ, როდესაც ქაკაბაძე და იმის თორმეტის წლის ვაჟი ნიკო, ერთი-ერთმანერთს გადახვეულნი, მტკვრის გაწითლებულმა ზვირთებმა ჩაიხვიეს.

ა. ა—ი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიგვზის ხე

(პატარა მოთხრობა სომხური ჟურნ. «ალბიური»-დან გადმოკეთებული)

ეშვენიერი მაისი დადგა და ტყე-მინდორი მთლად მწვანით შეიმოსა.. ამოვიდა ნორჩი ბალახი, ფერადფერადი ყვავილები სუნსნელოვნებენ, შეიქნა ფოთოლთ ნაზი შრიალი... ხშირად მოისმის მწერთ სასიამოვნო ზუზუნი და ფრინველთ გულ-დასატკბობი ჭიკჭიკი... შინაურმა და გარეულმა ცხოველებმა ცელქურად იწყეს სტუნვა; ქალი, კაჟი, დიდი და პატარა, ყველანი მხიარულობენ, ყველას მომცინარე პირის-სახე აქვთ. გატოცლდა და გამხიარულდა მთელი არე-მარე, ოიოქოს განოვალისუფლდა რალაც ძალით ხახგრძელივ ძილიდგან...

არც ცისკენაგით გამაგრებული და განმარტოებული, წამობერთილი კლდე დარჩენია ბუნებას უყურადღებოდ... აგერ, მის ქვეან ზურგზედაც ობლად ამოსული, თუმცა ჯერ ისევ ნორჩი და პატარა, ნიგვზის ხე მოჩანს. ალბათ, შემთხვევით დავარდნილ კაკალს, აქაც, ამ ქვეან და გამაგრებულ ნიადაგზედ, უგრძნია გამატოცლებელი ძალა ბუნებისა და ამოუხეთქავს ეს პატარა ნაყოფის მომცემი მცენარე. ვინ იცის, შეიძლება ქარისაგანაც იყო ეს კაკალი ჩავარდნილი ამ კლდის პატარა ნახეთქში, სადაც ძლიერ ცოტა მიწა მოიპოვებოდა, მაგრამ ამოფეთქილ მცენარეს მაინც დიდად უსარიან, რადგან მისი თესლი უვნებლად გადარჩენია ჭიის კბილებსა და ჭვეესად აღმოუცენია ესეთი ნაზი ნიგვზის ხე.

თავ-მომწონე ამ გამარჯვებითა, პატარა მცენარე, მალიად ირთვება პატარ-პატარა ტოტებითა და მწვანე ფოთლებით; წენარად და ფრთხილად უშვებს ოვის ფესვებს ღრმად მიწაში და დამშვიდებით სუნთქავს გაზაფხულის წმინდა ჰაერსა. აგერ გაიარა ერთმა თვემ და ბუნების ნაზი ქმნილება გამაგრდა წელში, თუმცა კი ვერ იყო საჭირო ნაყოფიანი...

— მარო, მარო! აგერ რა ლამაზი ნიგვზის ხე ამოსულა ჭიდ-ზედ, წავიდეთ მოვთხაროთ და ჩვენ ბაღჩაში დავრგოთ,—ეუბნებოდა თავის დას ჯერ ისევ გამოუცდელი გაბო.

— ესლაგ, ესლაგ! წავალ ბარს მოვიტან და მოვთხაროთ, თორემ ამ ზავსულში სწორედ გახმება უწყლობისაგან, ეს რომ მანდ დარჩეს,—მიუგო დამ გაბოს და გაექანა შინისაკენ.

სასეირნოდ გამოსულ უმაწვილებს ძლიერ მოეწონათ ეს პატარა ნიგვზის ხე და ცოტას ხნის შემდეგ კიდეც დაუწყეს თხრა... მაგრამ მეტად გაუკვირდათ ბალღებს, როდესაც ნახეს, რომ ამ პატარა მცენარეს ღრმად გაედგა ფესვები ქვიან ნიადაგში და ისე მჭიდროდ ჩაკვროდა მშობლის გულს, დედა-მიწას, რომ გეგონებოდათ: ძლიერ უყვარს და მიტომ ვერ დაუთმია სამშობლო მიწა... პატარებს სრულებით ვერ წარმოედგინათ, რომ ამ მცენარის დედა-მიწიდგან ამოღება გაუძნელდებოდათ... მართლაც და, თითქოს მშობელი მიწა არ უთმობდა ნიგვზის ხეს, მაგრამ ბოლოს ცელქ უმაწვილების გულმოდგინეობამ მაინც სძლია მისი სინორჩე, მისი ფესვების უძლურობა და მოაშორეს იგი საბრალო მშობელ დედას.

— ოჰ, ძმაო, რა რიგად დაგიკეჭნია ეს ერთი ფესვი! შებრალებით წამოიძახა მარომ.

— არა უშავს რა... გაბომ ჯიბიდამ ხელსახოცი ამოიღო და მცენარის მიწიანი ფესვები შიგ შეახვია.

— წადი, დაიწინაურე და ბაღჩაში წყალი გამოიტანე, რომ ჩვენი პატარა ნიგოზი, დავრგოთ თუ არა, მაშინვე მოვრწყოთ,—არიგებდა მაროს თავისი ძმა.

ჯერ კიდევ გამოუცდელი პატარები გულ-მოდგინედ შეუდგნენ შრომას და, როგორც იცოდნენ, ნაზი მცენარე მარდათ თავიანთ ბაღჩაში დარგეს...

მაგრამ რა დაემართა პატარა ნიგვზის ხეს, როცა ის თავის წინანდელ ადგილში თავისუფალ და მსიარულ ყოფნას მოაშორეს ამ გადარგვით? რა მდგომარეობაში ჩავარდა?

მნელი და შესაბრალისი მდგომარეობა იყო ეს მდგომარეობა ამ ნაზი მცენარისათვის... მისი ფესვები ველარ ეკვრებოდნენ დედა-მიწის

გულში, იგი ველარ გრძნობდა თვს-ქვეშ მშობელ ნიადაგსა და უსმოდ, იძულებულად მიდიოდა დაჭკნობის გზასა... ნიგვზის ხე კარგად იგრძნო ეს და მისთვის უფრო ფერ-მკრთალად და ნაღვლიანად აწვდიდა ძირს ახალს მიწას თავის შეუვითლებულ ფოთლებსა, თითქოს ეუბნებოდა: „აჰა, წაიღე ეს ფოთლები, რადგან პატარაობიდგანვე გახდენ და არ შეძიძლია მათი გადარჩენა“.

ჭაერი, მიწა, პატარა და დიდი მტენარეები სულ სხვად ეჩვენებოდა საბრალოს და მისუსტებული ნაზი ნიგვზის ხე ნელ-ნელა ხმებოდა. ვერ გაახარა იგი ვერც ბალღების მეცადინეობით მოვლამ და ვერც ამ გვარივე მდგომარეობაში ჩავარდნილმა ნორჩ ალუბლის ხემ, რომელიც გაბოსა და მაროსაგან ამ გვარათვე მოშორებული იყო მშობელ ნიადაგს, მაგრამ უფრო შეთვისებულიყო გამოცვლილს ახალ მიწასა... აი, გავიდა კიდევ ერთი წამიც და იმედ-დაკარგულ მტენარეს სისუსტისაგან გული წაუვიდა და პირველად გამოტანილი ფოთოლი სრულიად გასცვივდა...

მაისის მშვიდი ბუნება ყველა სულდგმულს ამშვიდებს, აკეთილგულოვანებს; ყოველ ცხოველს კეთილ გრძნობებს უღვიძებს. ადამიანშიაც იგი ასულებს და აღონიერებს ყოველ ადამიანურ გრძნობას და მის ტკვინს მომეტებულ გამჭრიახობას აძლევს...

გაბო და მარო ძლიერ მოსაწონად მოიქცნენ, დაინახეს თუ არა მწარედ დაღონებული პატარა ნიგვზის ხე, შეიბრალეს და გადიტანეს იგი თავის უწინდელ ნიადაგში. წინანდელ ალაგას ჩარგვის მერე შემოაყარეს პატარა მიწა და მორწყეს ამ კლდიდამ გამონადენ წყაროს წყლითა. მაგრამ, არ იქნა, მტენარე არ გახარდა... ყმაწვილები ძლიერ დაღონდენ და ბოლოს მარგალიტი თვალებიდამ მწარე ცრემლებიც გადმოჰყარეს... გაბოსა და მაროს გულკეთილობის შედეგი იყო ეს ცრემლები, თუმცა თვითონ ბავშვები ვერა გრძნობდნენ მას და სლოკინით მიდიოდნენ ბაღჩისაკენ, სადაც ელოდებოდა მათ გულმოდგინედ მოვლას პატარა ალუბლის ხე, რომელიც, თუმცა დაღონებულიყო და სწუხდა თავის დედა-ალაგის მოშორებას, ტოტათი მაინც შეთვისებოდა გამოცვლილ ადგილსა და არ ჰკარგავდა სიცოცხლის ნიშანს... პატარა ნიგვზის ხის დამკარგველები უფრო დაკვირვებით და მოფერე-

ბით ეძებდნენ ესლა ამ ალუბლის ხეს, რომელმაც ტანჯვით და წვალებით განვლო მხოლოდ ნახევარი სიცოცხლის გზა და უკვე გახმა...

II

გავიდა ბევრი წელი. დადგა ცხელი ზაფხული. ცხელი ჰაერის მაგრილებელ მდინარეებს და პატარა მოჩანჩქარე წყაროებს დიდი მნიშვნელობა აქვთ ამ დროს კაცისათვის; ხშირ-ხშირად თოთლით შემოსილი ხე, ოთველი ბუჩქი, რომლის გრილოში მიიწევს დიდი და პატარა ცხოველი, როდესაც მას გაფიცხებული ზაფხულის მზის სხივი სწვავს, ამ დროს ყველა ესენი უფრო-და-უფრო ენატრება კაცის გულს...

კამკამი და ყინვასავით ცივი მოჩქეფარე წყარო პატარა კლდის ტინიდამ და ამ კლდეზედ გადამდგარი შლილ-კალთებიანი, მსხმოიარე ნიგვზის ხე დიდ სიამოვნებას აძლევენ ესლა ოკვასის უფროსს გაბრიელს, რომელიც ხშირად მოდის ხოლმე აქ საღამოობით, სადაც ბუნების სიამოვნებით და თავის პატარა ნიკოსა და ლადოს ცელქურ თამაშობით მეტად სტკბება.

— განა ამაზედ დიდი ხე კიდევ არის სადმე ქვეყანაზედ, მამილო? გაკვირვებით ჰკითხა მამას ცნობის მოყვარე ლადომ. მოხუცებული გაბრიელი ამ კითხვაზედ თვიქრმა გაიტაცა: მოაგონდა თავის წარსული, პატარა ნიგვზის ხე, და ვეღარ მიუგო პასუხი ლადოს, რომელიც მოუთმენლად შესცქეროდა მამას.

მცირეს ხანს შემდეგ, თითქოს ძლივს გადასწყვიტა ძნელი პასუხი, სიხარულის სახით დაიწყო გაბრიელმა:

— ეს ხე, ჩემო ცელქებო, ჩემი დარგული ხე არის... და უამბო შვილებს როგორ ნახა თავ-და-პირველად პატარა ნიგვზის ხე. ბოლოს მაშინდელმა გაბოლ და ახლა გამოცდილმა მამამ, დარიგებით უთხრა პატარებს შემდეგი:—არას დროს არ მოაშორონთ მცენარე თავის სამშობლო მიწას, რადგან სხვა უცხო ნიადაგზედ იგი ვერც დიდხანს იცოცხლებს და ვერც გამოიტემს ჯეროვან ნაყოფს. ყველა მცენარე ვერ ითვისებს უცხო მხრის ნიადაგსა და გარემოებათა, ამიტომაც მომე-

ტებულ შემთხვევაში უნაყოფოდ რჩება... ის ალუბლის ხეც, რომელ-ზედაც გელაშვრაგეთ, ამ დიდი ხის ამსანაგია,—განაგრძო მოხუცმა— და ამიტომ თავის მოკლე სიტყვაში იგი სულ მუდამ იმ სნეულ კაცს ემსგავსებოდა, რომელსაც ტკივილები არ სტოვებს. წელიწადი არ გავიდოდა, რამდენიმე შემომსმარი ტოტი არ შემომეჭრა. ბოლოს კი დიდ-ხანს ველარ გაატანა და ოც-და-თორმეტი წლისა სრულიად გახმა...

ნიკოსა და ლადოს მოხუცებულმა მამიდამ, მარიამმა, მაშინდელ-მა ცქვიტმა მარომ, მძიმედ თავი გააქნია და რაღაც ზუზუნით, თითქოს ტირისო, სთქვა:

— აგე, შვილო, ჩვენს ბაღჩაში თუღურობზე გამხმარი ხე რომ დგას, ის არის ის ბატარა ალუბალი... შეხეთ, შვილო, იმ დაყანდებულსა და ამ მშვენიერ ნიგვზის ხეს შორის რა გარჩევა!..

რასაკვირველია, მოხუცებულ გაბრიელსა და სიბერისაგან დაუძლურებულ მარიამს რომ ჩვენამდის მოელწიათ, უფრო აშკარად დაინახავდნენ, რამოდენად გაიწია და გადიდდა მაშინდელი ნიგვზის ხე, რომელსაც უფრო ღრმად და თავისუფლად ჩაუშვია კლდეში მორგვის სიმსხო ფესოები და ამაყად გადმოიყურება იქიდამ. უფრო ნათლად იგრძნობდენ ბუნების წესთა ძალას, რომელსაც დაინახავდნენ, რომ ამ უდიდეს და მშვენიერ ნაყოფის მომტან ნიგვზის ხის ფესოებს სრულიად გაუშიათ მაგარი კლდე და დაუტოვებიათ თვრთო ადგილი, საიდგანაც წყარის წყალი გადმოჩუხჩუხებს, ეფინება მინდვრებს და წყურვილს უკლავს ყველა გვარ სულდგმულსა...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბიჭია-მენახირე

(ხალხური ზღაპარი ზემო იმერეთში გაგონილი)

ძალი და ძლიერი ხელმწიფე იყო, ჰყავდა ერთი მზეთ-უნახავი გასათხოვარი ქალი. ხელმწიფეს გადაწყვეტილი ჰქონდა: ვინც სამს კარგს ტყუილს ეტყოდა, იმას მისცემდა ცოლად, და, თუ სასიძო მოხერხებულს ტყუილს ვერ ეტყოდა, მაშინვე თავს გააგდებინებდა. ამ გვარად არა ერთი, ოცი და ორმოცი გამოჩენილი კაცების თავი მოეკვეთათ და ჩამოეგოთ გალავნის სარებზედ.

იმავე სახელმწიფოში სცხოვრობდა ერთი მენახირე—ბიჭია. ერთს საღამოს, როდესაც ნახირი სოფელში მირეკა, ბიჭია შინ მივიდა და უთხრა დედას:

— დედა ჩემო! ჩვენი ხელმწიფე თავის მზეთ-უნახავ ქალს იმას აძლევს, ვინც სამს ტყუილს ეტყვისო: მოდი წავალ, რაც იქნეს და იქნეს, ვეტყვი სამს ტყუილს და, ეგებ, ღმერთმა ინებოს გავიმარჯვო და ის ხელმწიფის ქალი რძლათ მოგიყვანო?

— ფუი, დამიდგეს თვალები, შვილო! ეგ რა გავიგონე? ხელმწიფის ქალს მენახირეს ვინ მოგცემს?

— როგორა დედა? განა მენახირე რო ვარ, არ ვარგი ვარ? განა კაცის შვილი არა ვარ? რა მაკლია—ჭკუა, თუ გონება?

— კარგი, შვილო, მაგრამ მაინც ხელმწიფის ქალს შენ არ მოგცემენ.

— რატომა, დედა?

— ხომ იცი, შვილო, რამდენ კაი კაცისთვის მოუჭრიათ თავი და ჩამოუგიათ სარებზედ, მიტომ რომ კარგი ტყუილი ვერ უთქვამთ?—აბა, სად შეგიძლიან, გენაცვალოს დედა, იმისთანა ტყუილი, რომ თავი არ მოგკვეთონ?

— შემიძლია თუ არა, ეგ სხვა არის, დედა ჩემო,—განა ვინც მკითხავს ჩემისთანა კაცები არ იქნებიან?.. მამა ჩემი ასე

არ იტყოდა: „კაცმა ყოველისფერი უნდა გამოსცადოო?“ ბიჭიც ესცდი და გამმარჯვე ღმერთი და ბედია.

დედამ, თუმცა ბევრი უშალა, მაგრამ ბიჭიამ არ დაიშალა; წავიდა ხელმწიფესთან, მიეიდა სასახლეში და აიტუზა კარებზედ. აქ თვალი გადაავლო სარზედ ჩამოცმულ კაცის ხმელ თავებს, მაგრამ გული ოდნათაც არ შეკრთომია. ბამოვიდნენ კარის კაცები და ჰკითხეს: „ვინა ხარ, ან ვინ გინდაო“?

— მე მენახირე გლეხი გახლავარ, მინდა ხელმწიფეს ტყუილი მოვახსენო.

ᲙᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡ ᲛᲝᲐᲮᲡᲔᲜᲔᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲡᲘ ᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲘᲗ ᲛᲘᲘᲬᲕᲘᲔᲡ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲨᲘ ᲑᲘᲭᲘᲐ, ᲛᲝᲐᲠᲗᲕᲔᲡ ᲡᲐᲕᲐᲠᲫᲔᲚᲘ ᲓᲐ ᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ ᲓᲐᲑᲠᲫᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲧᲝ.

ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲪ ᲒᲐᲛᲝᲑᲠᲫᲐᲜᲓᲐ ᲓᲐ ᲯᲐᲚᲐᲗᲔᲑᲘᲪ ᲛᲝᲘᲮᲛᲔᲡ. ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲛ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲐ ᲛᲔᲜᲐᲮᲘᲠᲔᲡ:

— ᲐᲑᲐ, ᲡᲗᲥᲕᲘ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ!

— ᲛᲝᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲗ: ᲡᲐᲚᲐᲛᲝᲖᲔᲓ ᲜᲐᲮᲘᲠᲘᲓᲒᲐᲜ ᲨᲘᲜ ᲛᲝᲕᲔᲚ; ᲓᲔᲓᲐ ᲩᲔᲛᲡ ᲡᲐᲭᲐᲛᲐᲓᲘ ᲐᲠᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ-ᲠᲐ ᲕᲐᲮᲨᲛᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ; ᲛᲔ ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲓᲘ ᲨᲘᲜᲘᲓᲒᲐᲜ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜ ᲧᲐᲜᲐᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲕᲮᲢᲘ—ᲘᲥ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲮᲘ (ᲒᲝᲒᲠᲐ) ᲛᲔᲒᲣᲚᲔᲑᲝᲓᲐ ᲓᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲛᲝᲬᲧᲕᲔᲢᲐ ᲛᲘᲜᲓᲝᲓᲐ. ᲛᲘᲕᲔᲚ, ᲕᲜᲐᲮᲔ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲙᲕᲐᲮᲘ ᲐᲠ ᲔᲑᲐ. ᲑᲐᲕᲧᲔᲕᲘ ᲙᲕᲐᲮᲘᲡ ᲑᲐᲠᲓᲡ (ᲢᲝᲢᲡ) —ᲑᲐᲠᲓᲘ ᲔᲠᲗᲝᲑ ᲒᲐᲖᲓᲘᲚᲘᲧᲝ—ᲬᲕᲔᲠᲗᲐᲜ ᲕᲔᲠ ᲛᲘᲕᲐᲢᲐᲜᲔ ᲓᲐ ᲕᲔᲠᲐ! ᲑᲐᲕᲧᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲖᲚᲕᲐᲖᲔᲓ ᲙᲘ ᲛᲘᲛᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲑᲐᲠᲓᲘ ᲖᲚᲕᲐᲖᲔᲓ ᲨᲔᲡᲣᲚᲘᲧᲝ. ᲛᲔᲪ ᲨᲔᲕᲓᲔᲥ ᲑᲐᲠᲓᲖᲔᲓ, ᲒᲐᲕᲧᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲖᲚᲕᲘᲡ ᲒᲐᲚᲛᲐ ᲜᲐᲞᲘᲠᲐᲡ ᲒᲐᲕᲔᲚ. ᲘᲥ ᲕᲜᲐᲮᲔ ᲩᲔᲛᲘ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲙᲕᲐᲮᲘ, ᲛᲝᲕᲡᲬᲧᲕᲘᲢᲔ; ᲨᲔᲕᲓᲔᲥᲘ ᲘᲡᲔᲕ ᲙᲕᲐᲮᲘᲡ ᲑᲐᲠᲓᲖᲔᲓ ᲓᲐ ᲖᲚᲕᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲚᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲕᲔᲚ; ᲙᲕᲐᲮᲘ ᲨᲘᲜ ᲛᲝᲕᲘᲢᲐᲜᲔ, ᲓᲔᲓᲐ ᲩᲔᲛᲛᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲐᲠᲗᲕᲐ, ᲒᲐᲐᲙᲔᲗᲐ ᲙᲕᲐᲮᲘᲡ ᲡᲐᲭᲐᲛᲐᲓᲘ ᲓᲐ ᲕᲐᲮᲨᲛᲐᲗ ᲒᲘᲐᲮᲔᲚᲘᲗ.

ᲘᲡ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲛᲝᲔᲬᲝᲜᲐᲗ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲔᲡ, ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲙᲐᲠᲘᲡ ᲙᲐᲪᲔᲑᲡᲐᲪ ᲓᲐ ᲣᲗᲮᲠᲔᲡ ᲛᲔᲜᲐᲮᲘᲠᲔᲡ:

— ᲛᲔᲒ ᲔᲠᲗᲘ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲘᲧᲝ; ᲐᲮᲚᲐ ᲬᲐᲓᲘ, ᲮᲕᲐᲚ ᲛᲝᲓᲘ ᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲢᲧᲣᲘᲚᲘ ᲮᲕᲐᲚ ᲒᲕᲘᲗᲮᲐᲠᲘ!

ᲑᲐᲗᲔᲜᲓᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲓᲦᲔ. ᲑᲘᲭᲘᲐ-ᲛᲔᲜᲐᲮᲘᲠᲔᲛ ᲓᲐᲘᲑᲐᲜᲐ ᲮᲔᲚ-ᲞᲘᲠᲘ,

ჩაიცვა, დაიხურა და მივიდა სასახლეში. მიიწვიეს დარბაზში, სადაც ხელმწიფე და დიდებულნი შეკრებულიყვნენ, მოართვეს სავარძელი და უთხრეს, რომ მეორე ტყუილი დაეწყო.

— ბუშინ დედა ჩემმა საჭამადი მოხარშა—დაიწყო ბიჭიამ—და შესამზადებლათ მარილი აღარა ჰქონდა. მაშინვე გავიქეცი მარილისათვის ბუმბრში. როცა მარილის კლდესთან მიველ, მაშინ გამახსენდა, რომ არც ურო და არც წერაქვი არ წამოლია თან შინიდგან მარილის მოსამტვრევათ. რაღას ვიზამდი? ხან აქეთ ვარტყი მარილის კლდეს თავი და ხან იქით: ერთი დიდი ქვა მოვამტვრიე, გავიდევი ზურგზედ და შინ მოვიტანე. შევამზადეთ საჭამადი და გიახელით ვახშმათ.

ეს ტყუილიც მოეწონათ და უთხრეს:

— ახლა წადი და მესამე ტყუილი ხვალ გვითხარი.

თუმცა ბიჭია სიამოვნებაში იყო, მაგრამ სამაგიეროთ ხელმწიფე ჩავარდა საფიქრებელში, უნდოდა როგორმე ხრიკი მოედვა საწყალი მენახირისათვის და საიქიოსკენ გაესტუმრებია. ამის ასასრულებლათ კიდევაც მოიწვია სადარბაზოთ ნაზირ-ვეზირები და გამართა ბჭობა. ბევრი სჯის შემდეგ ესე გადასწყვიტეს: ხვალ, რაც უნდა სთქვას მენახირემ, ყველამ ერთ-ხმად დავიწყოთ ძახილი: „ეგ ტყუილი არ არი, ეგ მართალია, მართალიაო!“ ქრება მხიარულად დაიშალა იმ იმედით, რომ ხვალ მენახირე-ბიჭიას ვერავითარი ღონე და ხერხი ველარ გამოგლეჯდა მათის ბრჭყალებიდგან. მაგრამ ბიჭიას ბედი კიდევ სხვას უმზადებდა...

გათენდა მეორე დღე: ბიჭია-მენახირემ ერთი დიდი ჭური სადაც იყო იშოვნა და რამოდენიმე მუშის შემწეობით წააგორა ხელმწიფის სასახლისაკენ. დაინახეს თუ არა ვეზირებმა ეს ჭური, მაშინვე მიაძახეს ბიჭიას: რა არის ეგაო?

— ოქრი ეს ჭური სავსე ძვირ-ფასი თვალი და მარგალიტი მართებია ხელმწიფის მამას მამიჩემისაო.

— მართალია! მართალია!—გაიძახოდენ ვეზირები.

ამ ხმაურობაზედ ხელმწიფეც გამოვიდა გარეთ და დაუწყო ვეზირებს ჯავრობა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რათ მლუპავთ! როდის ემართა მამა ჩემს მაგისი ძეირფასი თვალი და მარგალიტი? ან სადა მაქვს მაგდენი შეძლება?

— ტყუილია! ტყუილიაო!—დაუწყეს ძახილი ვეზირებმა ბიჭიას.

რალას იზამდნენ? ოქრში ერთი უნდა აესრულებინათ:—ან ორი ის დიდი ჭური თვალ-მარგალიტი მიეცათ და ან მზეთ-უნახავი ქალი მიეთხოვებინათ ბიჭიასათვის. რადგან სახელმწიფო იმოდენად მდიდარი არ იყო—ისევ მზეთ-უნახავი ქალის მიცემა არჩიეს. დასწერეს ჯვარი, გადაიხადეს ქორწილი და მისცეს ნახევარი სახელმწიფო.

გამარჯვებულმა ბიჭია-მენახირემ წამოიყვანა ცოლი დედასთან, სადაც ბედნიერად და მხიარულად ცხოვრობდენ.

მთას ურემი გამოვსწერი, შინ მოვიდა გორებითა,
ეჭ სიცოცხლით გამიძეხით, საიქიოს ცხონებითა.

სოსიკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ძმა

(ლეონ კლადელის მოთხრობა, ფრანგულიდგან)

ემოდგომა იყო. კერსის მაღლობები და ახლო-მახლო მდებარე მდელოები სულ მოფენილი იყო გლეხებითა, რომელნიც გულ-მოდგინეთ ეწეოდნენ გუთნებსა.

მდიდარი გლეხი ორიენტის-დ'ორიენტისი *) თავის სახლის წინ ქვაზედ იჯდა და ჩაფიქრებული დაჟინებით ჩასცქერიდა ბილიკებს, რომელნიც ისევ ერთად წვრილად ამაღლებულს სანაპარნიუს სერზედ თავს იყრიდნენ.

— აბა, ჩემო კარგო, ნუ აგვიანებ, სიჩქარით გასძახა მან თავის ცოლს,—აგერ, ჩემი ძმები მოდიან, ალბათ ჩვენკენ!

სთქვა ესა და ორიენტისი ადგა, თავის ძველ ძალლს, პასტურას, დაუძახა და პატარა მინდორზედ გამოვიდა, საიდგანაც სჩანდა მთელი სოფელი, შემოდგომის ყვავილებში ჩამალული.

— სწორეთ ისინია, აი, სწორეთ! წამოიძახებდა ხოლმე ორიენტისი და უფრო-და-უფრო აღტაცებაში მოდიოდა, როცა წარმოიდგენდა, რომ მალე თავის ძმებთან შეყრას ელირსებოდა.

— ფრანსუა, ეი!.. ბატისტ!..

სერზედ მღვდელი გამოჩნდა, ხელში ლოცვანი ეჭირა, თან თეთრი ძალლიც მოსდევდა. როცა მოესმა, რომ ეძახიან, წიგნს თვალი მოაშორა. ოტა მოშორებით, იქით სერზედ, მხედარი გამოჩნდა—აფიცერი—ესეც მეძებრით იყო.

---

*) კერსში გვარი ორ-კეცად იხმარება, და ამით გაირჩევა ხოლმე უფროსი ძმა უმცროსისაგან. ავტ.

ძალლი სიხარულით მეტის-მეტათა ხტიდა და ჰყეფდა, პატრონი კი სულ იქით გაიყურებოდა, საიდგანაც მისი ძმის ხმა გამოისმოდა.

— მალე მეგობრებო! მოუჩქარეთ მოსვლას!..

— ბეატიუს, აქ მო! იძახოდა მღვდელი. თეთრი ძალლი ამ სიტყვების შემდეგ მიირბენს პატრონთან და ლაქუცს დაუწყებს.

— სეზარ, აქ მო! ხმა-მაღლა წამოიძახა აფიცერმა და მეძებარი მსწრაფლ თავის პატრონთან მიირბენს.

— დაჩუმდი, პასტურა! ამშვიდებდა გლეხი თავის ნაგაზს— ესენი ჩვენები არიან. ზანა ვერ იცან ისინი? პასტურა დამშვიდდა და მორიდებით მიუახლოვდა სტუმართ.

ერთი მინუტის შემდეგ ძმები მეგობრულად ერთმანერთის ხვევნა-კოცნით სახლისაკენ მიდიოდნენ.

— შენი ცოლი? როგორ სცხოვრობს შენი ქანნა? ეკითხებოდნენ ძმები.

— ჩინებულად, უკეთესად აღარ შეიძლება.

— შენი ბავშვები?

— აი, წავიდეთ და ყველას გიჩვენებთ. პატარა ქალმა ფეხი აიდგა კიდეც...

ამ ნაირის მეგობრულის ბაასით კიდეც მივიდნენ სახლში.

ძმები ძლიერ გვანდნენ ერთმანერთს: ერთნაირად შუა-ტანისანი, შავგვრემანნი და ჯან-ლონიანნი. ბლეხს რომ თავის ბაკები მოეპარსა, აფიცერს თავისი გაცქვეტილი წვერ-ულვაში და მღვდელს სქელი გრძელი თმა და სამთავეს ჩაეცვათ სქელი ტილოს ტანთ-საცმელი, როგორსაც ხმარობდა ხოლმე მამა მათი,— მაშინ ძლიერ გაჭირდებოდა მათი ერთი-ერთმანერთისაგან გარჩევა, თუმცა კი მხედარი უფრო მბრძანებელის სახით გამოიყურებოდა და მღვდელი, როგორც ღვთის-მსახური—მშვიდისა და წყნარის თავ-მდაბლობით. თუმცა ეს ესე იყო, მაგრამ მაინც ეტყობოდათ, რომ სიმართლის გამომეტყველება მათ შთამომავლობას მუდამ სჩვევია, რადგან ყველას აღბეჭდილი ჰქონდა ეს ჩვეულება სახეზე, განსაკუთრებით უფროს ძმას, პიერ ოლრიენ-

ტისს, რომლის მზისაგან დამწვარ სახეს უფრო ღრმათ დასჩენოდა ეს პატიოსნების დალი.

— ჭანნა! ეი, ესენიც! დაიძახა პიერმა, როცა თავის სახლის დერეფანთან მივიდა. სახლიდგან ქერა და სრული ქალი გამოვარდა, თან ხელში ტაფაც ეჭირა. ძმები სათითაოთ მიესალმენ მას.

— ბამარჯვება, ჭანნა-მარია, გამარჯვება, დაო! ესმოდა მას ძმებისაგან.

— მობრძანდით, ძმებო,—ეპატიჟებოდა ჭანნა—მობრძანდით სახლში, სადილი დიდი ხანია სუფრაზეა და მოელის თქვენს მოსვლას.

ყველანი სახლში შევიდნენ და სუფრას მიუსხდნენ, რძალი კი წვნიანის დარიგებას შეუდგა. პატარა ოქროს-თმიანი, ხაშხაშ ლოყებიანი ყმაწვილი დიდი ხანია, რაც თავის აფიცერი-ბიძის მუხლებზედ ზის, მღვდელი კი ნაზათ ეალერსებოდა და ჰაერში შეათამაშებდა ხოლმე მშვენიერ პატარა ქალსა.

— ძმებო! ბავშვებთან ალერსი კარგია, მაგრამ ნურც თქვენი თავი დაგავიწყდებათ; დროა სადილს შეუდგეთ, მოაგონა ყმაწვილების ალერსში გართულს ძმებსა უფროსმა ძმამ.

შეუდგენ სადილს. ყველანი ჩუმათ იყვნენ, მხოლოდ ხანდისხან თავიანთ ძაღლებისაკენ მიიხედავდენ ხოლმე, რომელნიც კარებში შემოიყურებოდენ და დრო-გამოშვებით აგონებდენ თავიანთ პატრონებს, რომ დრო არის ჩვენც ყურადღება მოგვაქციეთო.

— ბეატიუს, წყნარად!

— დაჩუმდი ცესარ!

— პასტურა, მიფრთხილდი!

უფროსმა ძმამ ვერ მოითმინა და სადილის გათავებისას ძაღლები მაინც შემოუშვა სახლში; ერთად შემოცვინდნენ ოთახში და მივარდნენ ძვლებისა და ნასუფრალის ნამცეცების ასაკრეფად.

უფროსი ძმა ისევ მივიდა, ჩაჯდა ორთა ძმათ შუა და ესეთი ბაასი გაიმართა ამათ შორის:

— აბა, მეგობრებო, მე მგონია, ეხლა შეგვიძლია სხვა რა-
მეებზედაც მოვილაპარაკოთ...

— აი კარგი სიტყვა ეგ არის, სთქვა მღვდელმა, და ამოიღო
თავის კაბის ჯიბიდგან რაღაც ქაღალდი. —ამიხსენი, გეთაყვა, რას
ნიშნავს ეს წერილი, რომელიც ეკლესიაში, წირვის დროს, მიმიღია?

— მაშ, თუ ეგრეა, მეც ამიხსენი ერთი წერილის ამბავიც,
სთქვა აფიცერმა და გაიხსნა თავის „მუნდირი“.—ამ წერილის
გამო ტულუზა დავსტოვე და პირ-და-პირ აქ მოვიჭერ...

ოლრიენტისი არ მოელოდა ამ ნაირს იერიშს ძმებისაგან, და,
ცოტა არ იყოს, აღელვებით წარმოსთქვა:

— გამიგონეთ... გამიგონეთ, საქმე რა არის: ჭანნა და მე,
ორთავენი, უთქვენობით მოვსწყინდით; თქვენი ნახვის წყურვი-
ლი მოგვივიდა და, აი, შევეხვეწეთ ჩვენს ნოტარიუსს, რომ
თქვენ აქეთ გამოეხმეთ, როგორც აუცილებელი საქმის საჭი-
როებისათვის... მეტი არაფელი!

— არაფელი?

— სწორეთ!

მღვდელმა და კაპიტანმა ერთხმად და ხმა-მაღლა გადაიხარ-
ხარეს; ამავე დროს ჩუმ-ჩუმად თავის ძმას თვალს არ აშორებდნენ.

— ოლრიენტის მიფრთხილდი! ხუმრობით წარმოსთქვა მღვდელ-
მა, გეტყობა ტყუილს ამბობ, და ტყუილის მთქმელს, ხომ იცი,
საუკუნო მწუხარება მოელის!..

ოლრიენტისი შეწუხდა და მიმართა თავის მეორე ძმას, აფი-
ცერს, რომელიც ამ ლაპარაკის დროს მას გვერდით უდგა და
მის ბეჭებზედ ხელებს ათამაშებდა:

— შენ რაღას იტყვი, კაპიტანო ფრანსუა, შენც გგონია,
რომ ვსტყუვი? დაეკითხა მას.

— რაღა მეთქმის მას შემდეგ, რაც ჩვენმა ბატისტმა სთქვა!
მე მგონია, რომ შენ მართალი არა ხარ!

ოლრიენტისი სრულებით შერცხვა და ამ გაჭირვებიდგან თა-
ვის დასახსნელად ცოლზედ მიუთითა, რომელიც ამ დროს თა-
ვის პატარა ქალს ძუძუს აწოვებდა—და უთხრა მღვდელს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— შენ, ძმაო, მგონია, დამცინი მე, როგორც გატყობ.

— სრულებითაც არა—მიუგო ჟან-ბატისტმა.

ჩაფიქრებულის და მშვიდობიანის სახით, გულ-ხელ-დაკრეფილი, ბატისტმა განაგრძო: გამიგონე, რა გითხრა. სამი წელიწადია, რაც ჩვენთვის ანგარიში არ ჩაგიბარებია, არ გავსწორებულვართ. შეიძლება იმას ჰფიქრობდე, რომ მარტო შენ დარჩი მფლობელი სხვის ქონებისა, რომლისაგან ყოველივე სარგებლობას შენ იღებ, მაშვინ როდესაც ამ ქონებითა ცხონებულმა მამა ჩვენმა—საუკუნოდ იყოს მისი ხსენება—სამთავე დაგვაჯილდოვა? თუმცა მე და ფრანსუას ამის თაობაზედ არ მოგვილაპარაკნია სრულებით, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის ჩემი აზრისა სრული თანახმა გახდება. წრფელის გულით გეუბნები, ძმაო, რომ ჩვენ წილ ფულს შენს ხელში შენახულად ვრაცხთ. ხუთმეტი წლის წინეთ, როდესაც მამა ჩვენი გარდაიცვალა, არ გვინდოდა და დღეს ხომ სულ არ გვინდა გაყრა, გაყოფა, რომელსაც შენ ეგრე ნატრულობ. არ უნდა, ოლრიენტის, ჩვენ მიწას დანაწილება: ნაჭერ-ნაჭერად ის გროშადაც არ ეღირება, მაშინ როდესაც... ოლდესმე, შემდეგში, მოვრიგდებით... ეხლა კი თავი დავანებოთ.

— მერე როდის-ღა ვეღირსებით იმ „შემდეგს“—წამოიძახა უფროსმა ძმამ,—როდის? მე კიდევაც გავთეთრდი და არც თქვენა ხართ ყმაწვილები! შეიძლება, დღეს არა—ხვალ ერთ-ერთ ჩვენთაგანს უბედურება შეემთხვა. ჟანნა-მარია უნდა ჩავარდეს მოხელეებისა და მოსამართლეების, ვექილებისა და ნოტარიუსების ხელში, ე. ი., უკეთ რომ ვსთქვათ მატყუარათა ხელში... არა, ძმებო, გირჩევთ ამ საქმეს ნუ გარდასდებთ.

ძაპიტანმა და მღვდელმა ერთი-მეორეს გარდახედეს, მიხვდენ ერთმანერთის აზრს და ფრანსუამ ესე დაიწყო:

— არა, ძმაო, შენ ანგარიშებს თავი დაანებე. ჩვენ არა გთხოვთ ამ ანგარიშებსა: ბატისტი თავის მრეველის შემოსავლით სცხოვრობს, მე ვარ და—ჩემის ჯამაგირით. ისიც ასრულებს თავის დანიშნულებას და მე ჩემსას; ჩვენ ვპოულობთ ჩვენ სარ-

ჩოს და გაჭირვება არ ვიცით. ხომ გესმის, ძმაო, რასაც ვამბობ ნები?.. არა? მაშ უკეთესად აგიხსნი: ჩვენ ორთავეს—ჩემ ძმას, ხალხში მქადაგებელსა, და მე, ორთავეს შეგვიწირავთ თავი უოჯახოთ დარჩენისათვის; ჩვენ მხოლოდ დაგვრჩენია ჩვენი თავი, რომლისათვისაც უნდა ვიზრუნოთ მარტო... მხოლოდ შენ მარტო გყავს შთამომავლობა... მაშ ვის უნდა დარჩეს საერთო მამული?—რასაკვირველია შენს შვილებს! ჩემი ხვედრი შენს ვაჟს დარჩეს, ბატისტისა კი—შენ პატარა ქალს!.. ესე გათავდეს! ჩემის აზრით ესე ემჯობინება. ბატისტ, შენ რას იტყვი? ძარგათ გადავსწყვიტე, თუ არა, რაც საჭიროა?

ჟან-ბატისტმა, თითქოს დალოცვის სახით, წარმოსთქვა:

— ასე ინებოს უფალმა!

უფროსი ძმა გაკვირვებისაგან ჯერ კიდევ გონზე ვერ მოსულიყო. ორლ-ქმარი ერთმანერთს გაოცებით და ცრემლიანის თვალებით შესცქერიდნენ.

— როგორ ჰფიქრობ, ჟანნა,—წარმოსთქვა როგორც იყო ოლრიენტისმა,—რას ამბობენ ესენი? ხუმრობენ თუ მართალს ამბობენ? ა?... მე ჯერ ვერ გამიგია!..

— არა, ძმაო, ჩვენ სრულებით არ ვხუმრობთ, მიუგო კაპიტანმა; რაც ვსთქვით წრფელის გულითა ვსთქვით... თუ ესე არა, მაშ ჯანდაბას ჩვენი თავიც!.. შენ რას იტყვი, ბატისტ?

— მართალია. ჩვენ სრულებითაც არ ვხუმრობთ, წარმოსთქვა ბატისტმა,—მაგრამ... ერთის პირობით...

— სთქვი, ბატისტ, რა პირობით?

— იმ პირობით, ოლრიენტის, რომ არც ერთი შენი შვილი ჩემ გზაზე არ დააყენო. არ მისცე ნება ანაფორა ჩაიცვას და ფიცი დასდვას იმ მოვალეობის ასრულებაზე, რომლის ვალდებული იქმნება მაშინ, თუ ჩემს გზას დაადგება...

— არც ჩემს გზას დაადგეს, დაუმატა კაპიტანმა ფრანსუამ,—არ მისცე ნება აირჩიოს ეს გზა.

ისე მტკიცეთ და წინ-განზრახულობით იყო ნათქვამი ეს სიტყვები ძმებისაგან, რომ ოლრიენტისმა ვერა მოახერხა რა და,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანაგრძნობისა და მადლობის ნიშნად, ორივე ძმას ხელი ჩამოართვა...

რამოდენიმე ხანს ძმები ჩუმათ ერთმანერთ შესცქერიდნენ... პირველად ქან-ბატისტმა დაიწყო ლაპარაკი;

— მეგობრებო! იჭვი არ არის, რომ ჩემი ხელობის პირთ უფრო უბედურათ გთვლიან, ვიდრე მართლა უბედურნი ვართ. ჩვენი წოდების კაცებზე ისეთი აზრი შეუდგენიათ, თითქოს ჩვენ უნაკლულოთ და უდარდელად ვსცხოვრობდეთ. «სჭამენ კარგათ და სმენ კიდევ უფრო კარგათო; სძინავთ რამდენიც უნდათ—ერთის სიტყვით, სცხოვრობენ სიამოვნებაში და სრულს ნებივრობაშიო!..» გაიძახიან ხოლმე ყველგან. რა გაეწყობა, ძმაო?.. ოცი წლის კაცი უნდა მოშორდე კაცობრიობის ცხოვრებას და მთელი თავისი სიცოცხლე განდეგილის მსგავს ცხოვრებას შესწირო, რომ ბოლოს ჟამს წარმოსთქვა: «მშვიდობით, იმ სოფლად შევხვდებითო!..» რამდენი ვიცი ჩვენ შორის, რომ დიდის სიამოვნებით გასცვლიდენ თავის გრძელს შავ კაბასა, ანაფორას, უბრალო შალის ტანთ-საცმელზე და წულებზე, როგორსაც ხმაროობდენ წინეთ, ესმინარიაში შესვლამდის!.. ეჰ, ძმაო, რომ იცოდე, რა იმედებით მიესწრაფებიან ამ სემინარიაში სასწავლებლათ, ჰგონიათ „აი გაათავებენ სწავლას, მიიღებენ შემოსავლიან მრევლს და მიეცემიან სრულს კმაყოფილებას, იცხოვრებენ უზრუნველად...რასაკვირველია, კარგი განზრახვაა, მაგრამ ამაზედაც უკეთესი შეიძლება განიზრახოს კაცმა. იჭვი არ არის, მამა ჩემს კარგი განზრახვა ჰქონდა, როცა სემინარიაში მაბარებდა; ჰფიქრობდა, რომ ორი-სამი წლის სწავლის შემდეგ შინ დავბრუნდები წყნარის, მშვიდობიანის სულითა და გულით და ვიცხოვრებ ჩემის შემოსავლით... და, აი, მართლაც, როგორც მამა ჩემს სწადდა, სწორედ ისე ასრულდა. ბანა მე მამაზე ვსჩივი, ან სამდურავი რამ მაქვს იმაზედ? არა. მაგრამ ყმაწვილობისას რომ იმდენი ცოდნა და გაგება მქონოდა, რამდენიც ეხლა მაქვს, და თავისუფლად შემძლებოდა ჩემი სურვილის გამოთქმა, მაშინ, ოჰ ოჩრიენტის!.. ბეუბნები, მიწის მუშაობაზე უმჯობესი არა არის რა—მისდიე პატიოსანს შრო-

მას, დაიტკბე შენი ცხოვრება შენი ცოლ-შვილითა. იმას რა სჯობიან, რომ შენი შვილები, მუდამ დაწვრთნილნი ჯაფაში, მზათ იქნებიან გამოენაცვლონ ამ ჯაფაში თავიანთ მშობელთ, რომელნიც ერთხელაა უწყალო სიკვდილის მსხვერპლად შეიქნებიან. — არა, ორიენტის, ამაზედ უფრო სანატრელი და სასარგებლო მამულისათვის არა არის რა ქვეყანაზედ და, დამიჯერე, ძმაო, მხოლოდ ეს არის მისი ბედნიერება... შენი შვილებიც იმ გზას, იმ ხელობას დაადგნენ, რომელზედაც შენ გივლია!..

ბატისტი შეჩერდა. ცრემლიანის თვალებით შესცქერიდა ის თავის რძალს, რომელიც ამ დროს ბავშვებს აძინებდა. ქანნა-მარიამ იგრძნო ესეთი შეხედვა რას ნიშნავდა, სიყვარულით გულზე მიიკრა ისინი და დაიძახა:

— არა, ათასჯერ არა! ჩემი შვილები არასოდეს არ ეწვალებიან იმდენს, რამდენიც შენ წვალებულხარ!

— არც იმდენს, რამდენიც ჩემს თავს გადაჰხდია, წამოიძახა ფრანსუამ, წამოვარდა ზევით და სკამი შორს გადაისროლა...

ძმები გაშტერებით შესცქერიდნენ იმას, ქანნა-მარია კი ამ დროს სტიროდა და ცახცახით გულზედ იკრავდა ბავშვებს, რომელნიც ესეთის სიმწრით გამოუზრდია.

— არა, ესენი ჩემია და არავის ნებას არ მივსცემ ამათ დაღუპვისას! წამოიძახა ქანნამ.

— ქანნა, შენ იმედი არ უნდა დაჰკარგო, — უთხრა ორიენტისმა: ფიცსა ვსდებ ჩემი ძმებისა და ღვთის წინაშე, რომ ჩემი შვილები მიწის მუშაკნი გამოვლენ, როგორც, მაგალითად, მამა ჩემი იყო და როგორიცა მე თვითონა ვარ.

— რისთვის უნდა ვიჯავროთ? სთქვა მღვდელმა. ბანა ჩვენ შორის თანხმობა არ არის თუ? ქანნა! საყვარელო ძმებო! ბანა ჩვენ მისთვის შევიყარენით, რომ უსაქმოთ და უენოთ ერთმანერთს შევყუროთ?! მოდი ერთი გარეთ გავიდეთ — წმინდა ჰაერი ჩავყლაპოთ და დროც გავატაროთ.

ყველანი მღვდელს დაეთანხმნენ.

მშვენიერი მშვიდობიანი ღამე იყო... ცა შეჭედილი იყო

უანგარიშო რიცხვის ვარსკვლავებითა და ახლო-მახლო მდებარე ტყეების საამო სუნი მთლად ეფინებოდა იმ არე-მარეს... ძირს მინდვრებში და ზევით სერებზედ აქა-იქ კიდევ გამოჰბჟუტავდენ სინათლეები, რომელნიც, რაც დრო მიდიოდა, სულ სათითაოდ ჰქრებოდნენ.

მთელი ის არე-მარე სიმშვიდით იყო მოცული, მხოლოდ მდინარის შხუილი გაისმოდა. ოლრიენტისის ოჯახობა დიდ-ხანს ჩუმათ იყო... ბოლოს ცოტ-ცოტათი შეჰყენენ ბაასს და, ცოტა არ იყოს, გამხიარულდენ. ოლრიენტისი სულ იმას უამბობდა, როგორ შეამუშავებს სამერმისოდ მიწას, რამდენი მოგება მისცა უკანასკნელმა მოსავალმა...

— რამდენი ულელი ხარი გყავს ეხლა შენ? სიცილით ჰკითხა მლვდელმა თავის ძმას და მოემზადა იმისი პასუხის მოსასმენათ.

— სამი ულელი.

— მაშ, თითო ულელი შეგვხვდება თითოსა... ხვალ კიდევაც ვსცადოთ ჩვენი თავი, მოვხნავთ თუ არა მიწას. რას იტყვი, ფრანსუა?

ფრანსუა, რომელიც აქამდის ძლიერ ჩაფიქრებული იყო თავის მდგომარეობაზედ, ეხლა მალლა თავი ასწია და სთქვა:

— რა სთქვით?

ჟან-ბატისტმა განიმეორა თავისი წინადადება.

— მე დიდის სიამოვნებითა და კმაყოფილებით ვიმუშავებ. ოლრიენტის, გაგვალვიძე და ადრე დილიან გზას გავუდგეთ!

— მაშ, თუ ესეა, წავიდეთ, დავისვენოთ.

— საჭიროა, დაუმატა ოლრიენტისმა, — თუ მუშა კაცს ძილი აკლია, სიკვდილია ეს იმისათვის.

ძმები დაშორდნენ ერთმანერთსა და თავ-თავიანთ ალაგას მილაგდნენ დასასვენებლად.

მეორე დღის დილა მშვენიერი იყო. ვაკეებზედაც და სერებზედაც, ყველგან გუთანი გამოსჩანდა და გლეხების ხმაურობა გამოისმოდა... ყველა ესენი პირ-და-პირ უმტკიცებდა ადამიანს, რომ გახურებული მუშაობა დიდი ხანია რაც დაიწყეს.

Ორიენტისის მიწა იმ არე-მარეში ყველა მიწებზედ საუკეთესო მიწა იყო. სამი ნაწილი კიდევაც მოეხნა,—ეტყობოდა რამდენი შრომა იყო ზედ მონდომილი.

მეზობლებს არასოდეს არ უნახავთ, რომ Ორიენტისს ვინმე მოხმარებოდა ხვნაში; ამიტომაც ამ დილით ყველანი, ვინც კი ჰხედავდნენ, რომ Ორიენტისს დამხმარებელნი მოჰყვებათ, ძლიერ გაკვირდნენ. უფრო მეტად გაკვირდნენ, როცა ნახეს, რომ დამხმარებელნი თვით Ორიენტისზე ნაკლები არ არიან მკლავ-ლონითა და მოხერხებითა, ისე ღრმათ ხნავდენ ხოლმე. და Ორიენტისი ხომ სახელ-განთქმულია იმ არე-მარეში, როგორც მიწის მომუშავე, ჯაფისა და შრომის მოყვარე პირი... სამთავენი შეუდგნენ მიწის ხვნასა, ქანნა-მარია კი მისდევდა ამათ კვალში და სთესდა პურის მარცვალსა. თუ მტრედი ან რომელიმე ფრინველი მარცვლებს დაედევნებოდენ, ქანნა მაშინვე თავიანთ პასტურას დაუძახებდა, რომელიც ყეფით თავს დაეცემოდა იმათა და ადგილიდგან განდევნიდა; დანარჩენი ძმების ორი ძალლებიც სცდილობდენ პასტურას დახმარებას, მაგრამ, ეტყობოდათ, ამ ხელობაში ისე დაწრთვნილნი არ იყვნენ და თითქოს არც ამ საქმისათვის არიან გაჩენილნიო.

მზე უფრო მალლა-და-მალლა, საშუადღეოსაკენ, ადიოდა და უფრო პირ-და-პირ გზავნიდა თავის მხურვალე სხივებს. მეათე საათი იყო, როცა Ორიენტისმა ყურადღებით თვალი გადააველო ცასა; შემდეგ თავისი გუთანი და ხარებიც იქვე წაბლის ხის ჩრდილში გადაათრია და იმ დღეს აქ პირველად მოიწმინდა თავის დიდი შუბლიდგან ოფლის წვეთები და შესძახა ძმებს:

— ემარა, გეყოფათ მუშაობა, მოდით აქ! აი, შეხედეთ, ბავშვებს საუზმე მოაქვთ კიდეც. მოდით მალე, ლონე მოვიკრიფოთ!..

ამ დაძახების შემდეგ ქანნაცა და ძმებიც წაბლის ხის ჩრდილს მიეშურნენ. მივიდნენ თუ არა, იმ წამსვე Ორიენტისის ვაჟიც, ქაკი, მივიდა იქ, თან ცალ ხელში თავისი პატარა, ჯერ კიდევ ძუძუს-მწოვარე, და ეჭირა და მეორეში—ხელ-სახოცში გახვეული სადილი.

— აი, ეხლა კი შემიძლია ვსთქვა, რომ დიდის სიამოვნებით ვსჭამ ერთ ნაჭერ პურსა, წარმოსთქვა მღვდელმა, რომელსაც მსხვილ-მსხვილი წვეთი ოფლი გადმოსდიოდა შუბლიდგან.

— მეც, დაუმატა აფიცერმა, რომელიც სამჭედურის საბერველსავით იბერებოდა.

ძმები ჩაცმული იყვნენ სქელსა და გრძელს პერანგებში და ტილოს შალვრებში; თავს ჩალის დიდი და ფართო შლიაპები ეხურათ. ოლრიენტისმა გაიღიმა, როცა შეხედა მათ, და სადილზე მიიწვია. ბახსნეს ხელ-სახოცი და გადმოალაგეს ხახვი, მარილი, ნიორი, პური, ერთი ბოთლიც ღვინო და ყველა ესენი მწვანეზედ გაშალეს. იმ დროს, როცა ქანნა-მარია თავის პატარა ქალს ძუძუს აწოვებდა, სტუმარი-ძმები მიუსხდენ თავიანთ ძმას, დაამარილეს პური და მიჰყვეს ხელი ჭამასა.

— აქ მო, ბეატიუს!

— სეზარ, აქ მო!

— პასტურ, პასტურ!..

და სამივე ძაღლები კუდის ქნევითა და მეგობრულად მისცვივდნენ მათთან.

— მართალი გითხრათ, ამ ტანის-სამოსებში რაღაც ახირებულად მეჩვენებით, შენიშნა ოლრიენტისმა თავის ძმებს.

ფრანსუას გაახსენდა, რომ იმან თავისი ტანთ-საცმელი უნდა ჩაიცვას და სახე მოიბანოს.

— აბა, მხედარო! ბამხიარულდი, რას დარდობ! ძიდევ ცოტა ხანს რომ იმსახურო, მერე დაეთხოვები, გექნება შენი პენსია და დაესახლები კიდეც აქ, თუ გინდა სამუდამოდაც.

— რასაკვირველია! მხიარულად წამოიძახა მღვდელმა: მგონია, არც მე მიკლია ბევრი ხანი სრულს განთავისუფლებამდისინ. მაშინ ჩვენ ყველანი, ბავშვებით, ქანნა-მარიათი, ჩვენის ხარებით, ძაღლებით, ქათმებით და ყველა სხვა ცხოველებით... ეჰ, ოლრიენტის, დავლიოთ ყველამ და მშვიდობით მოველოდეთ იმ დროს, როდესაც ჩვენ სამი ძმა ერთად, ძმურად, და თანხმობით, კეთილად ვიცხოვრებთ.

ყველამ დალია. როცა ამ გვარად ღონე მოიკრიფეს, ასლა პარაკეს; შემდეგ მოისვენეს თავიანთ თეთრ ხარებთან ერთად და ხელ-ახლად მუშაობა უნდა დაეწყოთ.

— უნდა ეხლავე დავიწყოთ, თუ გვინდა რომ მალე გავათავოთ ჩვენი საქმე, სთქვა ოლრიენტისმა.

ამ დროს სისწრაფით სოფლის ფოსტალიონმა ჩამოიარა, შენიშნა ოლრიენტისი და გამოესალმა.

— გამარჯვება შენი, შესძახა ოლრიენტისმა: საითკენ მიიჩქარი ეგრე?

ფოსტალიონმა უამბო, რომ პარისიდგან მოდის და გაზეთი მიაქვს სასახლეში; უამბო, რომ პარისში ბევრი უთანხმოებაა, ხალხში არეულობაა და ცხოვრების მიმდინარეობა ბევრათ შეგლალულიაო.

ყველანი გაკვირდნენ ფოსტალიონის სიტყვებით.

— გამიგონეთ, ძმებო! სთქვა მღვდელმა,—რადგან ჩვენ სამთავენი ყველაფერში მოვთავსდით, ეხლა უფალსა იმათთვის ვევედროთ, ვინც რომ ჩვენი შემწე იყოს.

და სამივე ძმამ ლოცვა იწყეს.

ამის შემდეგ ისინი მშვიდობიანის სახით გაუდგნენ კიდეც თავის გზას, რომ ხვნა დაეწყოთ. სამმა ძმამ ერთად თავიანთ საერთო მიწის ხვნას ხელი მოჰკიდეს, ჟანნა-მარია მათ კვალ-დაკვალ მისდევდა და სთესდა თესლს, რომელსაც სამი ძაღლი ერთად უვლიდნენ, რომ ფრინველებს არ ამოეკენკათ...

მარო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყალი და მისი თვისებანი *)

რა შემთხვევამ აჰოვნინა არქიმედს სხეულების მოტივტივების მიზეზი?

ბიერონმა, სირაკუზის მეფემ, ერთს ოქრომჭედელს გვირგვინი შეუკვეთა, რომლისათვისაც ოცი გირვანქა ოქრო მისცა მას. რამდენიმე ხნის შემდეგ ოქრომჭედელმა მეფეს სწორედ ოცი გირვანქის სიმძიმისა საუკეთესოდ გაკეთებული გვირგვინი მოართვა. ბიერონს მეტად მოეწონა გვირგვინ , მაგრამ მაინც ეჭვი შეეტანა: ეს გვირგვინი ოქრომჭედელმა პიტალო (შეურევნელი) ოქროსი გააკეთა, თუ სხვა რამ იაფ-ფასიანი ლითონი შეურია? ამ ეჭვმა დიდად შეაწუხა ბიერონი და ბოლოს გარდასწყვიტა რაიმე გზით უსათუოდ შეეტყო—წმინდა ოქროსია მართლა ეს გვირგვინი, თუ არა.

ამ მიზნის მისაღწევად საკმარისი იყო დაედნოთ ეს გვირგვინი, რომ ბიერონის ეჭვს რამე შველებოდა, მაგრამ გვირგვინის წახდენა არ უნდოდა. მაშინ ბიერონმა დაავალა შესანიშნავს მეცნიერს არქიმედს, რომ გვირგვინის დაუშლელად გაიგოს, წმინდა ოქროსია იგი თუ არა. რასაკვირველია, მაშინდელი დროების-და-გვარად ეს ამოცანა მეტის-მეტად საძნელო იყო: მაშინ ხალხმა ძლიერ ცოტა რამ იცოდა გარემო ბუნებაზედ და უფრო ნაკლები მის მოვლინებებზედ.

თვითონ არქიმედი ძლიერ გაიტაცა ამ ამოცანამ, დღე და ღამე მარტო ამაზედ ჰფიქრობდა, მაგრამ მ-სი ახსნა ვერას გზით ვერ მოახერხა; ბოლოს თითქმის ყოველი იმედიც კი გადაიწყვიტა მის გაგებაზედ. მაგრამ არქიმედი ისეთ კაცთაგანი არ იყო, რომელნიც საქმეს დაიწყებენ და აღარ დააბოლოვებენ,— ისე თავს გაანებებენ.

არქიმედის გონება, როგორც საზოგადოთ ყოველი გამოჩენილი პირისა, მით იყო შესანიშნავი, რომ იგი დაჟინებით, გასაოცარის გულს-მოდგინებით და დაუღალავად მიილტვოდა ერთ-

*) იხ. „ნობათი“ № 1

ხელ ალმორჩეულის საგნისაკენ. არქიმედი არც ერთს წუთს არ სტოვებდა ამ ამოცანას და სულ იმის ფიქრში იყო, რომ როგორმე განემარტა იგი.

ერთხელ არქიმედი აბანოში იყო და, აუზში რომ ჩაეშვა, შენიშნა, რომ წყლის რამოდენიმე ნაწილი გადმოიღვარა. რასაკვირველია, ეს გარემოება ყველას ექმნებოდა შენიშნული და თვითონ არქიმედსაც წინად არა ერთხელ ექმნებოდა ნანახი, მაგრამ მანამდის ყურადღებას არ აქცევდა. ახლა კი, რადგან იგი სულ თავის ამოცანაზედ ჰფიქრობდა. ამ პატარა გარემოებამ სრული მისი ყურადღება მიიპყრა და უცებ დარწმუნდა, რომ ამოცანის ახსნა სრულიად გასაჭირი არ არის.

ამბობენ, რომ არქიმედი ამ შემთხვევითი მიხვედრამ იქამდის გაახარა, რომ იმ წამსვე ამოხტა აუზიდამ და ჩაუცმელი, ტიტველ-შიშველი სახლისკენ გაიქცა და თან იძახდა: „ვიპოვნე! ვიპოვნეო!“

ახლა ვნახოთ, რა იპოვნა არქიმედმა.

სცადეთ თქვენ თვითონ და ნათლად დაინახავთ, როგორ მიაგნო არქიმედმა ამოცანის ახსნას. თქვენ უკვე იცით, რომ წყალში ყველა სხეული შეიძლება ჩავუშვათ, მაგ. ქვა, რკინა და სხვ. როგორ შევიტყოთ: სხეულს თვითონ წყალში მოვათავსებთ, თუ ეს სხეული ამოსწევს წყალს და მის ადგილს თვითონ იჭერს? ამისათვის მოაგვარეთ ცდები; თუ ვერ მოახერხებთ, წაიკითხეთ შემდეგი.

ცდა მე-10. ჭიქა პირამდის წყლით აავსეთ. ჩაუშვით შიგ ქვა, რკინა, ჩაის კოვზი ანუ სხვა ამ გვარი რამ. დაინახავთ, რომ წყალი გადმოიღვრება. რათა?—იმიტომ, რომ ამ სხეულებმა წყალი გამოაძევეს და მისი ადგილი თვითონ დაიჭირეს. თქვენ თვითონ მოიგონეთ ამ გვარი ცდები.

აბა, განმარტეთ: არქიმედი რომ სავსე აუზში ჩაეშვა, აუზიდამ წყალი რად გადმოიღვარა? ჩაასხით სტაქანში ჯერ ზეთი და შემდეგ წყალი; შენიშნავთ, რომ ზეთი მაღლა ამოიწევს. რათა?—ის ადგილი, რომელიც ზეთს ეჭირა, ახლა წყალმა დაიჭირა.

ყველა ეს მაგალითები გვიჩვენებენ, რომ წყალსა აქვს შემდეგი თვისებები: ა) **წყალს ყოველთვის განსაზღვრული ტანი აქვს, განსაზღვრული ადგილი უჭირავს;** ბ) **როდესაც ამ ტანში, ამ ადგილში, რომელიც წყალს უჭირავს, სხვა რომელიმე სხეულს**

მოგვთავსებ, წყალი უსათუოდ გადმოიღვრება. წყლის ამ თვისებას უწოდებენ განმზიდველობას.

როგორც გვითქვამს, მხოლოდ განმზიდველობამ უშველა არქიმედს გვირგვინზედ ამოცანის ახსნაში.

არქიმედი ასე სჯიდა: მე რომ აუზში ჩემს მაგივრად ჩემი წონის ქვა ჩავუშვა, უფრო ნაკლები წყალი განიდევნება, გადმოიღვრებაო; ამის-და-გვარად, ქვის მაგივრად რომ იმავე სიმძიმის რკინა ანუ სხვა რომელიმე ლითონი ჩავუშვა, განდევნილი, გადმოღვრილი, წყლის რაოდენობა ყოველ შემთხვევაში სხვა-დასხვა გვარად გამოიცვლებაო. ამ გარემოებამ აიძულა არქიმედი გამოეკვლია, რომელ სხეულს რამდენი წყლის განდევნა შეუძლია. თავდა-პირველად უნდოდა გაეგო, ერთსა და იმავე სიმძიმის ოქროსა და ვერცხლს რამდენი წყლის განდევნა ანუ გადმოღვრა შეუძლია.

ამ ამოცანის გასარკვევად საჭიროა ჯერ განვსაზღვროთ სხეულის წონა ჰაერში და იმავე სხეულის წონა შიგ წყალში. მხოლოდ ამ ორი წონის შემწეობით შეგვიძლია გავიგოთ, რა სიმძიმე ეკარგება სხეულს წყალში და რამდენ წყალს სდევნის იგი. ამისათვის საჭიროა სასწორი.

სასწორი შეგიძლიათ იყიდოთ,—ისა სჯობია. სააფთიაქო პატარა სასწორი მანათზედ ზევით არა ღირს. ამ სასწორით შეგიძლიათ სხეულის ნამდვილი სიმძიმე შეიტყოთ, რადგან ეს სასწორი ძლიერ სწორეა. თქვენ თვითონ შეგიძლიათ სასწორი გააკეთოთ, მაგრამ ძლიერ მართალს კი, მგონია, ვერ შეიძლებთ.

ვსთქვათ, რომელიმე სხეულის სიმძიმე გინდათ შეიტყოთ. ამისათვის თქვენ უნდა მოამზადოთ სასწორის ქვები: მისხლიანი, გირვანქიანი, ნახევარ-გირვანქიანი და გირვანქის-მეოთხედიანი. შემდეგ თვითოეულ ამ სასწორის ქვებს შეუწონეთ, შეუთანაბრეთ, უბრალო კენჭები, ქვები, რკინის ან ტყვიის ნაჭრები; ამ გვარათ მიიღებთ რამდენიმე მისხლიანს, რამდენიმე გირვანქიანს და სხვ.

ახლა როგორ შეიტყობთ სხეულის წონას? ამისთვის თქვენ აი რას იქთ: სასწორის ერთ-ერთ თეფშზედ დადეთ სხეული, მეორე თეფშზედ დაუდეთ სასწორის ქვები; სასწორის ქვებს უმატეთ ან უკლეთ იქამდის, სანამ სასწორის ულელი სწორედ დადგებოდეს და თეფშები ერთ სიმაღლეზედ გაჩერდებიან. შემდეგ გასინჯეთ, რამდენი და რა სიმძიმე უწყვია მეორე მხარეს და ამით შეიტყობთ სხეულის სიმძიმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოამზადეთ სხვა-და-სხვა ნივთიერების სამი ან ოთხი ერთი წონის ნაჭერი: რკინის ნაჭერი, ტყვიისა, მინისა, ფარფორისა და ქვისა. მცადეთ კი, რომ ნაჭრები აუცილებლად ყველა ერთი და იგივე წონისა იყოს; ეს თქვენ სასწორით შეგიძლიათ შეამოწმოთ.

ცდა მე-11. **თ**ვითოეულ ნაჭერს შეაბით ძაფი. აიღეთ ერთი იმათგანი, მაგალითად, რკინისა და სასწორის მინის თეფშს (სასწორს მინის თეფშები უნდა ჰქონდეს) ქვეშიდამ მოაბით; სასწორის მეორე თეფშზედ იმდენი ქვიშა ან რკინის ლურსმნები დაჰყარეთ, რომ ორივე თეფშები თანასწორად დადგნენ. შემდეგ წყლით სავსე ჭიქა (სტაქანი) შეუდგით ისე, რომ რკინის ნაჭერს წყალში ჩაძირვა შეეძლოს (სურ. 6). სურათზედ მხოლოდ ის თეფშია ნაჩვენები, რომელზედაც რკინის ნაჭერი აბია. ჭიქა (სტაქანი) იმდენად მაღლა ასწიეთ, რომ წყალი რკინას შეეხოს; აქ შენიშნავთ, რომ სასწორის რკინა-მობმული თეფში ზევით აიწევს. რკინა წყალში არ ჩადის. რა უნდა ჰქნათ, რომ რკინა წყალში ჩაეშვას?—უნდა სასწორის მეორე თეფშიდამ საწონებს (სიმძიმეს) ცოტა რამ მოაკლოთ, ან კიდევ რკინა მობმული თეფში როგორმე დაამძიმოთ. მეორე საშუალება უკეთესია.

სურ. მე-6

რკინა-მობმულ თეფშზედ იმდენი საწონები დააწყეთ, რომ რკინის ნაჭერი სრულიად ჩაეშვას წყალში, ისე კი, რომ ჭიქის ძირამდის არ დავიდეს. შემდეგ მიმატებული საწონები ისევ აიღეთ; სასწორის რკინა მობმული თეფში მაღლა აიწევს და სრულიად ასცილდება წყალს. გაიმეორეთ ეს ცდა ხელმეორედ. აბა, დააკვირდით. იმისათვის, რომ რკინის ნაჭერი წყალში ჩასულიყო, რათ დაგჭირდა თეფშზედ საწონების დაწყობა? ან რათ ხდება ისე, რომ, როდესაც ამ საწონებს თეფშიდამ ვიღებთ, რკინის ნაჭერი წყლიდამ მაღლა ამოდის?

ეს მხოლოდ ამ გვარად შეგვიძლია ავხსნათ: რკინის ნაჭერი წყალში დამსუბუქდა. წყალში უფრო ნაკლები სიმძიმე აქვს მას, ვიდრე ჰაერში, ანუ, როგორც ამბობენ, რკინა წყალში თავის სიმძიმის, წონის, ნაწილს ჰკარგავს.

მართლაც, სანამ რკინის ნაჭერს წყალში ჩავუშვებდით, სასწორის თეფშები თანასწორად, ერთ სიმაღლეზედ იდგნენ და

როდესაც წყალში ჩავუშვით, მაშინ მეორე თეფშმა დასძირა, მაღლა აიტაცა, რადგან წყალში სიმძიმე მოაკლდა. რკინის ნაჭერი რომ მიუმატოთ იმ სიმძიმეს, რომელიც მან წყალში დაჰკარგა, მაშინ, თუნდაც რომ იგი წყალში იმყოფებოდეს, სასწორის ორივ თეფშები ისევ შეუთანაბრდებიან, თანასწორად დადგებიან.

ახლა თქვენი ყურადღება იმას მიაქციეთ, თუ რკინის ნაჭერს რამდენ სიმძიმეს ვუმატებთ, რომ იგი ჩაეშვას წყალში, მაგრამ ისე რომ სრულიად არ ჩასძიროს, არამედ გაჩერდეს წყლის შუაგულს. რკინას იმდენ სიმძიმეს ვუმატებთ, რამდენსაც იგი თვითონ ჰკარგავს წყალში.

მართლაც, თუ ნაკლებ სიმძიმეს მივუმატებთ, რკინა წყალში სრულიად ვერ ჩავა, ერთი მისი ნაწილი წყლის ზემოთ დარჩება; ეს შეიძლება ცდით შევამოწმოთ. თუ სიმძიმეს უფრო მეტს მივუმატებთ, ვიდრე თვითონ რკინა ჰკარგავს წყალში, რკინა ჩასძირავს სტაქნის ძირამდის.—ესეც შეიძლება ვსცადოთ. მაშასადამე, თუ რკინის ნაჭერი შუაგულ წყალში არის გაჩერებული, არც ზევით იწევს, არც ქვევით, ამის მიზეზი ის არის, რომ მიმატებული სიმძიმე სწორედ იმოდენაგე არის, რამოდენა სიმძიმეც მან (რკინის ნაჭერმა) წყალში დაჰკარგა.

ეს მიმატებული საწონები ეხლა აიღეთ და დათვალეთ, რამდენ მისხალს შეადგენს. ეს რიცხვი დასახსომებლად ქაღალდზედ დაიწერეთ. იგივე ცდა განიმეორეთ სხვა სამი ნივთის ნაჭრებით. აქაც შენიშნავთ, რომ ყველა ესენი წყალში მსუბუქდებიან, მაშასადამე, თავის სიმძიმის რამოდენიმე ნაწილს ჰკარგავენ. ამასთან წყალში ისინი იმოდენა სიმძიმეს ჰკარგავენ, რამდენ საწონსაც ვუმატებთ იმათ იმისთვის, რომ შუაგულ წყალში გაჩერდნენ. ყოველთვის დასწერეთ ხოლმე იმ მისხლების ანუ, საზოგადოდ, წონის რაოდენობა, რომელსაც თქვენ უმატებთ სხვა-და-სხვა ნივთიერების თვითეულ ნაჭერსა წყალში ჩაშვების დროს.

აბა, ახსენით: რათ გვეადვილება წყლით სავსე ჭურჭლის

ხელში დაჭერა შიგ ჭაში ანუ მდინარეში და რათ გვეძნელება იმავე ჭურჭლის დაჭერა ჰაერში? რა მიზეზია, რომ წყალში ადვილად შეგვიძლია ისეთი მძიმე ქვების აწევა, რომლებსაც ჰაერში ვერას გზით ვერ ავწევთ?

უკანასკნელი ცდებიდამ ჩვენ გავიცანით წყლის ერთი ფრიად შესანიშნავი თვისება: **წყალში ყოველი სხეული მსუბუქდება**, ანუ როგორც ამბობენ, **ყოველი სხეული წყალში ჩაშვების დროს ჭკარგავს თავის სიმძიმის რამოდენიმე ნაწილს.**

ამგვარადვე სცადეთ სხვა სხეულებზედაც და თქვენ გაიგებთ, თუ როგორ ახსნა თავისი ამოცანა Ა რ ქ ი მ ე დ მ ა. გარდა ამისა, გაიცნობთ წყლისა და სხვა სხეულების ახალს, ფრიად საყურადღებო, თვისებებს.

როდესაც თქვენ ერთმანერთს შეადარებთ ყველა იმ საწონებს, რომლებიც დაგიმატებიათ სასწორის თეფშზე მდებარე სხეულისათვის, რომ უკანასკნელი წყალში ჩაუშვათ, შენიშნავთ, რომ ისინი ერთი სიმძიმისანი არ არიან: ზოგი მათგანი მძიმეა, ზოგი მსუბუქი. სწორედ რომ საკვირველია ეს. თქვენ, მართალია, სხვა-და-სხვა ნივთიერების ნაჭრები აიღეთ, მაგრამ ყველა ესენი ერთი წონისა, სიმძიმისა, იყვნენ; თვითეულ ამ სხეულთაგანმა წყალში ჩაშვების დროს თავის სიმძიმის რამოდენიმე ნაწილი დაჰკარგა, მაგრამ ეს დაკარგული ნაწილები კი ერთნი არ აღმოჩდნენ; ამიტომ თქვენა გაქვთ სრული სიმართლე სთქვათ, **რომ ერთი და იმავე წონის სხვა-და-სხვა გვარი სხეულები წყალში ერთსა-და-იმავე სიმძიმეს არა ჭკარგავენ.** 'ესეთი დასკვნა გამოიყვანა Ა რ ქ ი მ ე დ მ ა.

ეხლა კი, მგონია, ადვილად მიხვდებით, თუ როგორ გაიგო Ა რ ქ ი მ ე დ მ ა გვირგვინის დაუშლელად, პიტალო (წმინდა) ოქროსია იგი თუ ვერცხლ-ნარევი.

Ა რ ქ ი მ ე დ მ ა ასწონა ოქრო ჯერ ჰაერში, შემდეგ წყალში. აღმოჩნდა, **რომ ოქრო წყალში თავის წონის ერთი მეცხრამეტე ნაწილით უფრო უსუმბუქესია, ვიდრე ჰაერში;** მაშასადამე, ოქროს წყალში დაუკარგავს თავის წონის მეცხრამეტე ნაწილი. ამ გვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადვე არქიმედმა გაიგო, რომ ვერცხლი წყალში ჩაკარგვისთვის
ვის წონის მხოლოდ ერთი მეათედ ნაწილს. ამიტომ არქიმედმა
ასე განსაჯა: თუ 20 გირვანქიანი გვირგვინი წმინდა ოქროსია,
მან წყალში თავის წონის მეცხრამეტე ნაწილი უნდა დაჰკარგოს,
ე. ი. თითქმის ერთი გირვანქა და 5 მისხალი; მაშასადამე, გვირ-
გვინი რომ სასწორის თეფშს მივაბათ და წყალში ჩავუშვათ, სულ
18 გირვ. და 91 მისხ. უნდა გამოვიდეს. პიტალო ვერცხლისა
რომ იყოს, მაშინ ეს გვირგვინი წყალში მხოლოდ 18 გირვ.
გამოვიდოდა. თუ კიდევ ეს გვირგვინი ოქროსა და ვერცხლის
ნარევით არის გაკეთებული, მაშინ იგი წყალში 18 გირვანქაზედ
მეტი და 18 გირვ. და 19 მისხ. ნაკლები სიმძიმისა უნდა გა-
მოსულიყო.

არქიმედს დარჩა საცდელად ეს საშუალება: გაიგო, რამ-
დენს იწონის ეს გვირგვინი წყალში; აღმოჩნდა, რომ წყალში
იგი 18 გირვანქასა და 72 მისხალს იწონის. უკანასკნელმა ცდამ
არქიმედი დაარწმუნა, რომ გვირგვინი არ არის პიტალო ოქრო-
სი, სხვა ლითონიც ურევია. ოქროში გარეული ყოფილიყო
ვერცხლი. არქიმედმა ისიც კი გაიგო, თუ რამდენი მისხალი
ვერცხლი იყო გარეული. თუ ნაწერების ამოცანები გიკეთებიათ
არითმეტიკაში, შეგიძლიათ გაიგოთ, რამდენი ვერცხლი იყო
გვირგვინში.

როდესაც მეფე ბიერონმა შეიტყო, რომ არქიმედმა ახსნა
ამოცანა, აღტაცებაში მოვიდა და არ იცოდა, რითი დაესაჩუ-
ქრებინა იგი. მაგრამ არქიმედი საჩუქარს არ ჰსაჭიროებდა; რო-
გორც ყველა დიდი მეცნიერი, ჯილდოს გულისთვის არ იყო
გატაცებული; მას ჰსურდა მხოლოდ სხვა-და-სხვა სხეულთა თვი-
სებები გაეცნო და შეეგნო გარემორტყმული ბუნების კანონები.

მართლაც, არქიმედი არ დაკმაყოფილდა ამოცანის ახსნით;
საშინელის გულს-მოდგინებით დაიწყო შესწავლა ბევრი სხვა
ახალი, ჯერ მისგან უცნობი მოვლინებებისა, რომლებიც მის
გონებას იმ პირველ ამოცანამ დაანახვა. არქიმედის ღვაწლი
მუქთად არ დაიკარგა! საფუძვლიანისა და ხანგრძლივის შრომით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიაგნო იმ კანონს, რომელმაც კაცობრიობას უუდიდესი და უუძვირფასესი სარგებლობა მოუტანა. ამ კანონს არქიმედის სახსოვრად უწოდეს არქიმედის კანონი. ამ კანონის პოვნამ სხვა გარემოებათა შორის არქიმედს ისეთი საუკუნო სახელი და დიდება აშოვნინეს, რომ არც ერთს სხვა ჯილდოს მათთან შედარება არ შეუძლია.

სანამ გაიგებდეთ, თუ რა შეადგენს არქიმედის კანონს, საჭიროა კიდევ გამოიგონოთ რამდენიმე ახალი ცდანი, რომ საფუძვლიანად შეიგნოთ და დაიხსომოთ ის, რაც აქამდის შეიტყეთ.

ცდა მე-12. აიღეთ ხის პატარა სწორე ჯოხი ანუ შუშის მილი; ზედ შუა ადგილას ძაფი შეაბით. მკადეთ ისე დააყენოთ, რომ არც ერთმა ბოლომ არ გადააჭარბოს, არ აიწევ-დაიწიოს და ჯოხი სწორედ დადგეს ჰორიზონტალურად. თუ, ვინიცობაა, ერთი რომელიმე ბოლო მძიმეა ან მსუბუქია, ან გაუთალეთ და ან პატარა რამ დამამძიმებელი შეაბით,—არამც-და-არამც არ დაგძელ-დაამოკლოთ: ჯოხის ორივე მხარე უსათუოდ ტოლები უნდა იყვნენ. ჯოხს ბოლოებზედ მოაბით თითო ნაჭერი რომელიმე სხეულებისა, თუნდა რკინისა და შუშისა, ან რკინისა და ფარფორისა. ორივე ნაჭრები ჯოხის შუაგულიდამ ერთ მანძილზედ უნდა მოაბათ. ახლა ეს ნაჭრები ისე უნდა შეათანასწოროთ, რომ წინანდებულად ჯოხი სწორედ, ჰორიზონტალურად, დადგეს.

ამისათვის საჭიროა, რომ შუშის ან ფარფორის ნაჭერი უფრო დიდი, მძიმე ამოარჩიოთ, ვიდრე რკინისა, და შემდეგ წვრილ-წვრილად მოამტვრიეთ, რომ რკინის ნაჭერი შეათანასწოროთ; რასაკვირველია, შეათანასწორებთ მათ წონას.



სურ. 7.

აბა, ახლა თქვენ მიხვდით, რა მოხდება, რომ ეს რკინისა და ფარფორის ნაჭრები წყალში ჩაუშვათ, როგორც არის ნაჩვენები მე-7 სურათზედ?

ჯოხი სწორედ, ჰორიზონტალურად, ალარ დადგება, რკინა დასძლევს. რათა? —იმიტომ, რომ რკინა უფრო ნაკლებ სიმძიმეს დაჰკარგავს წყალში, ვიდრე შუშა. ვსთქვათ რკინისა და შუშის ნაჭერი თითო 24 ლოტის (ლოტი სამი მისხლის წონაა) სიმძიმისაა. წყალში რკინა ჰკარგავს თავის წონის თითქმის ერთ მერვედ

ნაწილს ($^1/_8$), შუშა კი ერთ მესამედსა ($^1/_3$). ერთი მერვე-
დი ნაწილი 24 ლოტისა შეადგენს 3 ლოტს, მაშასადამე,
რკინის ნაჭერი წყალში დაჰკარგავს 3 ლოტსა და წყალშივე იქ-
ნება 21 ლოტის სიმძიმისა. შუშა ჰკარგავს წყალში $^1/_3$ ნაწილს,
ე. ი. 8 ლოტს 24-დამ, მაშასადამე, აიწონს წყალში მხოლოდ
16 ლოტს. ამის შემდეგ ცხადია, რომ რკინა დასძლევს.

ცდა მე-13. აბა, უკუღმა სცადეთ. იგივე ორი ნაჭერი რკი-
ნისა და ფარფორისა ჯერ წყალში ჩაუშვით და შემდეგ შეა-
თანასწორეთ ისე, რომ ერთმა ერთს არა სძლევდნენ და ჯოხი
ჰორიზონტალურად იდგეს. წყალში ჩაშვების დროს თვალი უნ-
და ადევნოთ, რომ ნაჭერი არც ჭურჭლის ძირამდის დავიდეს და
არც კედლებს მიეკაროს. შემდეგ ჯოხი ისე ასწიეთ, რომ ნა-
ჭრები წყლიდამ სრულიად ამოვიდნენ. შენიშნავთ, რომ ჰაერში
რკინისა და შუშის ნაჭრები თანაბრად აღარ დადგებიან: უეჭვე
ლად ერთი მეორეს დასძლევს. აბა, თქვენ თვითონ მიხვდით,
რომელი დასძლევს და რათა?

ბაიგეთ აგრეთვე ორ სხეულთაგან რომელი უფრო და-
სძლევს წყალში,— თუ ჰაერში ისინი წონაში შეთანასწორებულ-
ნი იქმნებიან,—და რომელი დასძლევს ჰაერში—თუ წყალში შე-
თანასწორებულნი იქმნებიან—თუ ამასთან გეცოდინებათ, რომ
რკინა წყალში დაახლოვებით თავის წონის $^1/_8$ ნაწილსა ჰკარ-
გავს, ტყვია $^1/_{11}$ ნაწილს, სპილენძი $^1/_9$, თუჯი $^1/_7$. ყველა ეს
რიცხვები დაახლოვებითნი არიან და არა ნამდვილნი.

ისარგებლეთ ამავე რიცხვებით და ახსენით შემდეგი ამო-
ცანები:

ა) რამდონს აიწონს 32 გირვანქა რკინა, 21 გირვანქა
შუშა, 45 გირვანქა სპილენძი, 33 გირვანქა ტყვია, რომ ისინი
წყალში ჩავუშვათ? ბ) რკინის ნაჭერი წყალში 42 გირვანქის სი-
მძიმისაა, შუშის ნაჭერი 12 გირვანქისა, სპილენძის ნაჭერი 32
გირვანქისა; ესევე ნაჭრები ჰაერში რამდენს აიწონენ? გ) ჰაერში
რკინის ნაჭერი 12 გირვანქით უმძიმესია შუშის ნაჭერზედ, იგი-
ვე ნაჭერი რამდენით იქმნება უმძიმესი, რომ შუშის 36 გირ-

ვანქიანი ნაჭერი იყოს და ორივე წყალში ჩავუშვათ?—დ) ტყვიის ნაჭერი წყალში 16 ლოტით უმძიმესია თუჯის ნაჭერზედ, რამდენით უმძიმესი იქმნება იგივე ნაჭერი ჰაერში თუჯის ნაჭერზედ, რომელიც ჰაერში 63 ლოტის სიმძიმისაა?—ე) შედუღებული სპილენძისა და ტყვიის ნაჭერი ჰაერში 31 გირვანქის სიმძიმისაა; რა სიმძიმისა იქმნება იგივე ნაჭერი წყალში, თუ მასში 9 გირვანქა სპილენძია?—ვ) შედუღებული სპილენძისა და ტყვიის ნაჭერმა წყალში წონის დროს დაჰკარგა 5 გირვანქა; რა სიმძიმისა იქმნება ეს ნაჭერი ჰაერში და წყალში, თუ მასში 9 გირვანქა შემდნარი სპილენძია?

აბა, მოიგონეთ, რა გაიგეთ უკანასკნელი კარიდამ? თქვენ გაიგეთ, რომ: 1) წყლსა აქვს განზადგილობა; 2) ყოველი სხეული წყალში ჩარგვას თავის წონის ერთ განსაზღვრულ ნაწილს და ამიტომ ყოველი სხეული წყალში უფრო მსუბუქია, ვიდრე ჰაერში; 3) ზოგი სხეული წყალში თავის წონის მოძუტებულ ნაწილს ჩარგავს, ზოგი ნაკლებს.

ალ. მირიანაშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები და სხვ.

ქ რთლ-იმერეთში გაგონილი

(წარმოდგ. სოსიკოსაგან)

1.— ერთი რამცა, თეთრი რამცა, თეთრად გადაბუსტიდამცა:
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თსაც არის და ბეცი რამცა.
2.— სახლი აგაგე სისაო, ის არის ნათოტისაო,
შედგან და გამოდიან, ბრძნება არის ღვთისაო.
3.— ღორი-ღორი ღორღობელი, ტან-დაბალი სქელელი,
კარზედ გავა—გასუქდება, შინ შემოვა—შეწუხდება.
4.— ავსადე თეთრეტელასა, დავხედე გულ-ეკითელასა.
5.— უცსო სტუმარა გვეწვია მის დღეში უსტუმრებელი,
სიბერე-სასმელი მიგვართვი სუფრაზედ დაუდებელი.
6.— ასი ასონის ქალი ვარ, ასი კაბა მაცვიაო,
ქარმა რომ შემომიბერაოს, ერთიც ალარ მაცვიაო.

ჩქარა-გამიასათქმელი

(იქვე შეკრებილი და იმისგანვე წარმოდგ.)

1.— ჩემი ვერძი რქა-გრესილი შესსა ვერძსა რქა-გრესილსა რათ ებრძოდა, რას ერჩოდა, რას ერქა-გრესილებოდა?
2.— თეთრს საუდარსა თეთრი მტრედი, თერთა-თეთრი და თერთა თვრეტი, თერთას ეთერთათვრეტებოდა

ანდაზები

(წარმოდგ. ი. დ—საგან)

1.— ანს დასედე, ბანს დასედე, სიგრძესა და განს დასედე.
2.— ასალ სოფელს ქინძარაო გინდ ეოფილა, გინდ არაო.
3.— უღელი ხარის პატრონსა ენა უნდა ჭქონდეს მოკლე,
კამეჩების პატრონს უთხრეს: „საუკვარი დაუმოკლე!“

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები და სხვ.

ქრთილ-იმერეთში გაგონილი

(წარმოდგ. სოსიკოსაგან)

1.— ერთი რამცა, თეორი რამცა, თეორად გადაბუნტალამცა:
ვინც ამას ვერ გამოიცნობს, თსაც არის და ბეცი რამცა.
2.— სახლი აგაგე სასაო, ის არის ნათოტისაო,
შედ.ან და გამოდიან, ბრძნება არის დვთისაო.
3.— ლორი-ლორი ლორლობელი, ტან-დაბალი საქონელი,
კარზედ გავა—გასუქდება, შინ შემოვა—შეწუხდება.
4.— ავსადე თვრთვიტელასა, დავხედე გულ-ყვითელასა.
5.— უცხო სტუმარა გვეწვია მის დღეში უსტუმრებელი,
სიტმელ-სასმელი მივართვი სუფრაზედ დაუდებელი.
6.— ასი ასოანის ქალი ვარ, ასი კაბა მაცვიაო,
ქარმა რომ შემოამბერაოს, ერთიც ადარ მაცვიაო.

ჩქარა-გამიასათქმელი

(იქვე შეკრებილი და იმისგანვე წარმოდგ.)

1.— ჩემი ვერძი რქა-გრესილი შენსა ვერძსა რქა-გრესილსა რათ ებრძოდა, რას ერჩოდა, რას ერქა-გრესილებოდა?
2.— თეორს საუდარსა თეთრი მტრედი, თვრთა-თეთრი და თვრთა თვართვატი, თვრთას ეთვრთათვართვატებოდა

ანდაზები

(წარმოდგ. ი. დ—საგან)

1.— ანს დახედე, ბანს დახედე, სიგრძესა და განს დახედე.
2.— ასად სოფელს ქინძარაო გინდ ეოთვილა, გინდ არაო.
3.— უღელი სარის პატრონსა ენა უნდა ჭქონდეს მოკლე.
კამბეჩების პატრონს უთხრეს: „საყვარი დაუმოკლე!“

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხალხური ლექსები

(ქართლ-იმერეთში შეკრებ. სოსიკოსაგან)

1.— პატარა ქალო, თინია, დედა რას გემუქრებოდა?
—ოქროს საყურე დაგკარგე, მცემდა და მემართებოდა.
2.— ციდამ წამოვა ტორნოლა, ჩამოთოვლის გალობასა,
წიგნი, ჭრა-კერვა გცოდნია, ნეტავ შენ ქალობასა.
3.— შენი ჭირიმე, გუთანო, მაგ შენი მრუდე ყელისა,
შენა ხარ პურის მომყვანი, დამძველებელი ქერისა.
4.— ადიდებულა ტანია, თან მდგრიე მიატანია,
აიტივტივა, წაიღო, შუა მტკვარს მიიტანია.
იქ სამი მჭადი დაჭკარგა, ზარალი იმისთანია,
მცურავთან კაცი გაგზავნა, მცურავი დაიბარაო
სანამ მცურავი მოვიდა, მჭადი შიგ ჩიშალაო...
ნეტავ იმ სამი მჭადისა ამბავი მომატანაო,
მე მაშინკე მუსლს მომკვეთა, ყელს დანა გამიყარაო!..

წინა-გამოცნობის ახსნა

1. წეროები, 2. საათი, 3. წინდის ჩხირები, 4. ნამყენი, 5. ქამბეჩი, 6. ქოდალა (ხე-კაკუნა), 7. ყურძენი.

რედაქტორი-გამომცემელი ს. ს.-ძე ღულაძე.

3/84

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სოფელთვეო

სურათებიანი ერმათა საკითხავი ჟურნალი

„ნობათი“

პედაგოგიური საწილის დამატებით — მშობელთა და ადმზრდელთათვის.

მთელი წლისა ჟურნალი „ნობათი“ (12 წიგნი) ღირს ოთხი მან.

I. **ხელის-მოწერა** მიიღება: თბილისში — ჟურნალი „ნობათი“-ს რედაქციაში (ალექსანდროვის ბაღთან, საზინის გვერდით, თუმანიშვილის სახლში, № 7) და ვ. შავერდოვის წიგნის საცენტრში. ქუთაისში — ჭალაძეების წიგნის მაღაზიაში. გორში — მგ. ფურცელაძესთან და თელავში — ივ. როსტომაშვილთან.

II. **ადრესის გამოცვლა** სელის-მომწერელმა დაუყოვნებლივ რედაქციას უნდა აცნობოს და თან ძველი ადრესიც წარმოუგზავნოს. ადრესის გამოცვლა ათი შაური ღირს.

III. **საჩივარი** ჟურნალის რომელიმე ნომრის მიუღებლობისა პირ-და-პირ რედაქციაში უნდა წარმოიგზავნოს, მასთან მოსსენებული უნდა იყოს: სად, რომელი ადრესით იგზავნება ჟურნალი. საჭიროა აგრეთვე ადგილობრივი ფოსტის კანტორის მოწმობა, რომ ნომერი ჟურნალისა არ მიუღია. თუ ეს ცნობები არ იქმნა წარმოგზავნილი, რედაქციას არ შეუძლია სელის-მომწერელი დაკმაყოფილოს.

IV. რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას არ იღებს თავის თავზე გადად, თუნდაც რომ 7 კაპ. ფოსტის მარკაც იყოს გამოგზავნილი პასუხისათვის.

ფოსტის ადრესი: *Тифлисъ, въ редакцію грузинскаго педагогическаго журнала „Нобати“*

რედაქტორი-გამომცემელი ა. ღუღაძე.